

თინა აბულაშვილი

ბორის კუფტინი

და

საქართველოს არქეოლოგია

თბილისი 2009

ნაშრომი ეძღვნება ცნობილი არქეოლოგის, აკადემიკოს ბორის კუფტინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მისი შრომების, პირადი არქივის, ზოგიერთი გამოუქვეყნებელი მასალის, სხვადასხვა პუბლიკაციების საფუძველზე ავტორი შეეცადა წარმოეჩინა ბორის კუფტინის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ისტორია, მისი ღვაწლი ქართული არქეოლოგიის განვითარებაში და ის ვითარება რომელშიც მას უწევდა მუშაობა.

რედაქტორი: ისტ. მეც. დოქ. დ. ახვლედიანი

რეცენზენტი: ისტ. მეც. დოქ. გ. მინდიაშვილი

## შესავალი

ცნობილ არქეოლოგს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, აკადემიკოს ბორის კუფტინს თვალსაჩინო ადგილი უკავია ქართული არქეოლოგიის განვითარებაში. მისი ფუნდამენტური ბოლომდე შეუფასებელია, სამეცნიერო საქმიანობა კი ვრცელი და ფართო. იგი მეცნიერების ბევრ დარგში მოღვაწეობდა, მაგრამ თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი მთლიანად საქართველოს არქეოლოგიის კვლევას მიუძღვნა.

ბორის კუფტინი ფართო განათლების და ერუდიციის პიროვნება იყო. ეწეოდა კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობას. მის სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედიოდა როგორც საბუნებისმეტყველო, ასევე ჰუმანიტარული დარგები. დიდი ღვაწლი მიუძღვის სავსე პირობებში მასალის მოპოვება-ფიქსაციის ახალი მეთოდების შექმნაში და ამ მასალის საფუძველზე განმაზოგადებელი დასკვნებისა და თეორიების ჩამოყალიბებაში.

ბორის კუფტინის სამეცნიერო მოღვაწეობა ორ ძირითად პერიოდად შეიძლება დაიყოს: რუსეთში და საქართველოში მოღვაწეობის პერიოდები. ძნელია სრულყოფილად ავლწეროთ და წარმოვაჩინოთ ბორის კუფტინის როგორც პიროვნების და მეცნიერის შემოქმედებითი ცხოვრება, ამიტომ შევეცდებით შეძლებისდაგვარად წარმოვადგინოთ მისი მოღვაწეობა საქართველოს არქეოლოგიის განვითარების ისტორიაში, თუმცა ცალკე აღებული ეს თემაც მეტად ფართო და ამოუწურავია.

## ბიოგრაფია

საქართველოს არქეოლოგიის დიდი მოამაგე და მკვლევარი ბორის ალექსის ძე კუფტინი დაიბადა 1892 წლის 21 იანვარს, ქ. სამარაში მოსამსახურის ოჯახში. მისი გვარი თავადაზნაურთა წოდებას მიეკუთვნებოდა (личный дворянин). მამა ალექსი კუფტინი კაპიტნის ჩინს ატარებდა, დედა მარია ნიკოლოზის ასული ფეოდოროვა სოფლის მასწავლებელი იყო. ჰყავდა ორი ძმა, რომელთაგან ერთ-ერთი ქ. სოჭში ცხოვრობდა და ხშირად მონაწილეობდა ბორის კუფტინის ექსპედიციებში.

1909 წელს ბორის კუფტინმა დაამთავრა ქ. ორენბურგის რეალური სასწავლებელი და სწავლა გააგრძელა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე [Дебец 1954: 178; Джапаридзе 1993:246]. ამ დროისათვის იგი უკვე კარგად ფლობდა ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებს. 1910-1911 წლებში რუსეთში ფართოდ გაშლილ რევოლუციურ მოძრაობაში მრავალი სტუდენტი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის იყო ბორის კუფტინიც. ამის გამო ის 1911 წელს გარიცხეს უნივერსიტეტიდან და რუსეთიდან გაასახლეს. ემიგრაციაში იმყოფებოდა საფრანგეთში, შვეიცარიაში და იტალიაში, სადაც ისმენდა ლექციებს ჰუმანიტარულ დისციპლინებში [Куфтин. Лич. Дело]. 1913 წელს ბორის კუფტინი ემიგრაციიდან დაბრუნდა და სწავლა გააგრძელა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც ერთი წლის შემდეგ დაამთავრა ბოტანიკოსის სპეციალობით [აბულაშვილი 2002:101]. 1914 წელს ბორის კუფტინმა მუშაობა დაიწყო ქ. მოსკოვის სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში, ბოტანიკის კათედრაზე ასისტენტ-მასწავლებლად, პარალელურად შანიავსკის სახალხო უნივერსიტეტში კითხულობდა ბოტანიკის კურსს. დაწერა პირველი საკანდიდატო ნაშრომი არალირტიმის წყალგამყოფის ფლორის შესახებ [Массон 1954:91]. ამავე დროს მუშაობდა ქ. მოსკოვის ბოტანიკური ბაღის ლაბორატორიაში პროფ. ვ. ნ. მაიერთან. 1916-17 წლებში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა დამატებითი გამოცდები ანთროპოლოგიაში, არქეოლოგიაში და გეოგრაფიაში და წარმოადგინა მეორე საკანდიდატო ნაშრომი ჯუნგარის

ალატაუს მორფოლოგიასა და ოროგრაფიაზე [Куфтин. Лич. Дело], რის შემდეგ იგი პროფ. დ. ანუჩინმა დატოვა საპროფესოროდ მოსამზადებლად.

1918 წლის შემოდგომაზე ბორის კუფტინი არჩეულ იქნა გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრაზე მასწავლებელ-ასისტენტის თანამდებობაზე. 1919 წლის გაზაფხულზე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ფაკულტეტის საგანგებო კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: აკადემიკოსები – ანუჩინი, სევერცევი, პავლოვი; პროფესორები – კოჟენიკოვი, კრუბერი, ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები და წაიკითხა საცდელი ლექციების კურსი ეთნოლოგიასა და მატერიალური კულტურის ისტორიაში, რის შემდეგ მიიღო დოცენტის წოდება და დაევალა ლექციების კურსის წაკითხვა ანთროპოლოგიის კათედრაზე პირველყოფილი კულტურის ისტორიასა და ეთნოგრაფიაში [Дебед 1954:167]. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი პირველი მეცნიერული პუბლიკაციები ეთნოგრაფიაში. გარდა ამისა იგი კითხულობდა ლექციების სპეციალურ კურსებს: აღმოსავლეთ ევროპის პალეონტოლოგია და ეთნოგრაფია; ციმბირის პალეონტოლოგია და ეთნოგრაფია; შუა აზიის და კავკასიის პალეონტოლოგია და ეთნოგრაფია; თურქული ტომების ეთნოგრაფია (Народоведение). პარალელურად მუშაობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დ. ნ. ანუჩინის სახ. ანთროპოლოგიის ინსტიტუტში, სადაც საბჭოს მიერ დაევალა კათედრაზე ეხელმძღვანელა ანთროპოლოგიის ციკლისათვის. შემდგომში იგი ხელმძღვანელობდა შესაბამის ასპირანტურასაც. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობასთან პარალელურად ბორის კუფტინის სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობდა მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიაში, სადაც ეთნოგრაფიის განყოფილებაში უფროსი მეცნიერის თანამდებობაზე ირიცხებოდა, შემდეგ ეთნოგრაფიის კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ იქნა დანიშნული [Джапаридзе 1993:247]. 1924-30 წლებში ეთნოგრაფიის ცენტრალურ მუზეუმში ბორის კუფტინი ხელმძღვანელობდა შუა აზიის, ციმბირისა და კავკასიის განყოფილებას. იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჩამოყალიბებული ანთროპოლოგიის და ეთნოგრაფიის მოყვარული საზოგადოების მუდმივი წევრი. 1925 წელს გახდა მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის, მოსკოვის სექციის ნამდვილი წევრი. არჩეულ იქნა საფრანგეთის ანთროპოლოგიური საზოგადოების ნამდვილ წევრად [Куфтин. Лич. Дело].

მოსკოვში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში ბორის კუფტინმა განახორციელა რიგი ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ექსპედიციები და ექსკურსები: ყირიმში, ბაიკალისპირეთში, ყაზახეთში, კავკასიაში, რუსეთის ცენტრალურ რაიონებში, ამურზე. 1913 წელს გეოგრაფიული გამოკვლევების მიზნით მოეწყო ექსკურსი ანაუსა და ამურდარიის ზედა წელზე; 1916 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრის დავალებით, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევების მიზნით იმოგზაურა რუსულ და ჩინურ ჯუნგარიაში (ტბა «საირამნორი» ყირგიზეთი); 1918 წელს სწავლობდა «ვიატიჩების და კრივიჩების» ყორღანულ სამარხებს, «დიაკოვის» ნაქალაქარს, ნეოლითურ სადგომებს მდინარე კლიაზმის და ტბა სვიატაიას მიდამოებში; 1919-24 წლებში საბუნებისმეტყველო, ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული საზოგადოების დავალებით და ამ საზოგადოების სწავლული მდივნის პროფ. ვ.ვ. ბოგდანოვის ხელმძღვანელობით სისტემატურად აწარმოებდა გათხრებს მეშჩერის დაბლობზე და მდინარეების ოკისა და კლიაზმის აუზის რაიონებში; 1924-26 წლებში და 1928 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ საბუნებისმეტყველო, ანთროპოლოგიის და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოების და ყირიმის საზოგადოების დავალებით, აწარმოებდა ყირიმის თათრული მოსახლეობის სისტემატურ ეთნოგრაფიულ შესწავლას; 1925-26 წლებში მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის, მოსკოვის სექციის დავალებით ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები მდ. ოკის აუზში; 1926-28 წლებში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ინსტიტუტის და ხალხთმცოდნეობის (ეთნოგრაფიის) ცენტრალური მუზეუმის დავალებით მოეწყო არქეოლოგიურ-ანთროპოლოგიური ექსპედიცია ოსეთში და ნაწილობრივ

საქართველოს ტერიტორიაზე ე.წ. სამხრეთ ოსეთში; 1926 წელს ქ. ქერჩის არქეოლოგიური კონფერენციის დავალებით ჩაატარა გამოკვლევები ტამანის ნახევარკუნძულზე; 1927-28 წლებში ჩაატარა ანთროპოლოგიურ-არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ექსპედიცია ტუნგუსების ტომის ისტორიის შესწავლისათვის ჩრდილოეთ ბაიკალისპირეთში, სახალინზე, თათრების ყურეში, ამურზე, ოხოტის ზღვის სანაპიროზე, კუნძულებზე - უდი და ლანგერი, დაზვერა ბაიკალის და მდ. ანგარის აღმოსავლეთი სანაპიროს მიდამოები; 1929 წელს ხალხთმცოდნეობის ცენტრალური მუზეუმის დავალებით მოაწყო ეთნოგრაფიული ექსპედიცია საქართველოში (რაჭა, მესხეთი) [აბულაშვილი 2002:102].

1927 წელს ეთნოგრაფიაში სამეცნიერო შრომების ერთობლივი ციკლისათვის ბორის კუფტინი დაჯილდოვდა გეოგრაფთა საკავშირო საზოგადოების ოქროს მედლით, ხოლო 1928 წელს დაამტკიცეს საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთის ხალხების და კულტურის ინსტიტუტის პროფესორად და ნამდვილ წევრად.

1929-30 წლებში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურასთან უთანხმოების საფუძველზე ბორის კუფტინი იძულებით გადასახლებაში იმყოფებოდა. ამ პერიოდში ის აგროვებდა მასალებს ჩუქჩების ყოფა-ცხოვრებაზე კერძოდ კი შამანებზე. 1933 წელს იგი გადასახლებიდან დაბრუნდა ქ. მოსკოვში ყველა უფლების აღდგენით.

1933 წლის აპრილში ბორის კუფტინმა დახმარება სთხოვა გიორგი ნიორაძეს, რომელთანაც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ინსტიტუტში ერთობლივი მუშაობა აკავშირებდა, რათა გადმოსულიყო საქართველოში. 1933 წლის დეკემბერში გიორგი ნიორაძის ხელშეწყობით იგი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში, ჯერ მეცნიერ კონსულტანტად, შემდეგ კი უფროს სპეციალისტად [ჭილაშვილი 2002:50]. პირველ ხანებში ბორის კუფტინი გიორგი ნიორაძის სახლში სტუმრობდა, შემდეგ კი ბინა გამოუყვეს მაშინდელი მეტეხის, შემდეგ ალავერდის შესახვევის №7 სახლში (ამჟამად ბ. კუფტინის შესახვევი).

საქართველოში ბორის კუფტინის სამეცნიერო მოღვაწეობა ძირითადად არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას მიეძღვნა. მისი მუზეუმში მუშაობის დასაწყისი დაემთხვა არქეოლოგიური გამოფენის მოწყობას, რომელიც ივანე ჯავახიშვილის ხელისშეწყობით განხორციელდა. სწორედ ამ ექსპოზიციის გეგმის მომზადება და სრულყოფა იყო პირველი მისი დავალება, რომელსაც ბრწყინვალედ გაართვა თავი. მან გულისყურით შეისწავლა ყოფილ კავკასიის მუზეუმში თავმოყრილი უმდიდრესი მასალა, რომელთა მეცნიერული დამუშავების შედეგად 1934 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, პირველად საბჭოთა წლებში მოეწყო არქეოლოგიური გამოფენა, რომელსაც ეწოდებოდა «წინაკლასობრივი საზოგადოება კავკასიაში არქეოლოგიური განყოფილების მასალების მიხედვით». მუზეუმში დაცული ამ კოლექციების შესწავლისა და დაკვირვების შედეგებმა შემდგომ ასახვა ჰპოვა მის შრომებში.

საქართველოს ტერიტორიაზე ბორის კუფტინმა არქეოლოგიური ძეგლები დაახლოებით 53 პუნქტში შეისწავლა. 1934 წლის შემოდგომაზე მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში. აქ იგი იკვლევდა ბრინჯაოს ხანის ძეგლებს, კერძოდ დოლმენებს. 1936 წელს ივანე ჯავახიშვილის წინადადებით სათავეში ჩაუდგა არქეოლოგიურ გათხრებს თრიალეთში. მის სახელთანაა დაკავშირებული ისეთი მნიშვნელობის ძეგლების აღმოჩენა, რომელიც არქეოლოგიურ ლიტერატურაში თრიალეთის ყორღანების სახელითაა ცნობილი. ამ აღმოჩენებმა სრულიად ახლებურად გააშუქა კავკასიის უძველესი ისტორია, მან გამოავლინა მანამდე სრულიად უცნობი «მტკვარ-არაქსის» და «თრიალეთის» კულტურები. გამოყო ბრინჯაოს კულტურის განვითარების საფეხურები ენეოლითიდან რკინის ხანამდე. ამ გათხრების შედეგებზე დაყრდნობით პირველად შეიქმნა საფუძვლიანი პერიოდიზაცია და ქრონოლოგია. თავისი მეცნიერული დაკვირვებები ბორის კუფტინმა შეაჯამა მონოგრაფიაში «არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში», რომელიც ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას მიუძღვნა. ეს ნაშრომი 1941 წელს გამოიცა თბილისში, ხოლო 1942 წელს მას სახელმწიფო პრემია მიენიჭა. როგორც მაშინ მ. არტამანოვი წერდა - «ეს წიგნი პასუხი იყო

ფაშიზმის წინააღმდეგ, რომელიც თავის გზაზე ყოველგვარ კულტურას ანადგურებდა». სწორედ ამიტომ ბორის კუფტინი 56 საბჭოთა მეცნიერთან ერთად სამამულო ომის წლებში გმირული შრომისათვის დაჯილდოვდა საპატიო პრემიით, საპატიო სიგელით და მედლით. სხვადასხვა წლებში ბორის კუფტინი მუშაობდა დაბლაგომში, საჩხერეში, შიდა ქართლში, სამხრეთ ოსეთში და იმერეთში. ამ სამუშაოების შედეგებმა მის არაერთ მონოგრაფიასა და სტატიაში ჰპოვა ასახვა.

1944 წელს ბორის კუფტინი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ამავე წელს დისერტაციის დაუცველად მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1946 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. იგი აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში სისტემატურად ატარებდა ლექციების კურსს თემაზე: «არქეოლოგიური კვლევის მეთოდი და ამოცანები». ატარებდა ლექცია-ჩვენებებს არქეოლოგიური გამოფენის შესახებ საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, პარტიული ყრილობის დელეგატებისათვის, უნივერსიტეტის პედაგოგებისათვის, სამხარეო მუზეუმების თანამშრომლებისათვის. ლექციები ტარდებოდა 26 კომისიების რაიკომში, საქართველოს მხატვართა კლუბში, მასწავლებლის სახლში. აქტიურად მონაწილეობდა მუზეუმის შიდა ცხოვრებაში, ბეჭდავდა სტატიებს კედლის გაზეთში, მაგალითად «ფაშიზმი არქეოლოგიაში», ეხმარებოდა და კონსულტაციას უწევდა ახალგაზრდებს.

ბორის კუფტინის მეუღლე გახლდათ ვალენტინა კონსტანტინეს ასული სტემენკო-კუფტინა. ცნობილი პიანისტი, ვანო სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, წარმოშობით ქ. კიევიდან. იგი მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა კონსერვატორიაში. მისი მოწვევით თბილისში ჩამოვიდნენ ცნობილი პიანისტები: ს. რიხტერი, გ. გინზბურგი. მეგობრობდა ბორის გოლდენმეიზერთან. ვალენტინა მეუღლეს ყველა ექსპედიციაში თან ახლდა და მისი სიძნელების და წარმატებების მოზიარე იყო.

დაუდგრომელი ხასიათის, ინტენსიური მუშაობის და კვლევების გამო ბორის კუფტინი ხშირად იგვიანებდა სამსახურში, ხან კი ხანგძლივი დროით არ ცხადდებოდა, რისთვისაც რამდენჯერმე საყვედური აქვს გამოცხადებული [ჭილაშვილი 2002:50]. ამისათვის ის 1951 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან გაათავისუფლეს და სამუშაოდ გადაიყვანეს ისტორიის ინსტიტუტში. 1952 წელს ბორის კუფტინი თურქმენეთში გაემგზავრა, სადაც მიიწვია თურქმენეთის კომპლექსური არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა მ.ე. მასონმა. იქ იგი ხელმძღვანელობდა თურქმენეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბრინჯაოს ხანის შემსწავლელ არქეოლოგიურ რაზმს და იკვლევდა ე.წ. «ანაუ»-ს კულტურას. 1953 წლის მარტში მოსკოვში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის მეცნიერების განყოფილების მიერ, მოეწყო სესია, რომელიც მიემდგნა 1952 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შედეგებს. სესიაზე ბორის კუფტინმა გააკეთა საანგარიშო მოხსენება თურქმენეთში ჩატარებული სამუშაოების შესახებ. აქვე ექსპონირებული იყო მოპოვებული მასალები. 1953 წელს ბორის კუფტინი ისევ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაბრუნდა სამუშაოდ. შენობაში შესვლისთანავე აღტაცებით წამოუძახია «დღეიდან მე ისევ თქვენი თანამშრომელი ვარ» [დავლიანიძე 2002:75].

ბორის კუფტინმა ქართული არქეოლოგიური მეცნიერების განვითარებაში დაიმკვიდრა სრულიად განსაკუთრებული ადგილი. იგი იყო მრავალმხრივი, ფართო და ღრმად ერუდირებული მეცნიერი. სამწუხაროდ მას ვერ დასცალდა განეხორციელებინა ის გეგმები, რომელიც სამომავლოდ ჰქონდა წარმოდგენილი. 1953 წლის 2 აგვისტოს ლატვიაში ქ. რიგის მახლობლად მეცნიერის სიცოცხლე ტრაგიკულმა შემთხვევამ შეიწირა. მისი ბოლო სურვილის თანახმად ის საქართველოში გადმოასვენეს და ქალაქ თბილისში ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

## ბორის კუფტინის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორია

ბორის კუფტინი საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებს საქართველოს ტერიტორიაზე 1934-1951 წლებში აწარმოებდა. მან შეისწავლა მრავალი ძეგლი, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ხშირად ერთ სეზონში უწყევდა ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული ძეგლების შესწავლა. 1934 წელს მან შეისწავლა დოლმენები აფხაზეთში, 1936 წელს მუშაობდა თრიალეთში ხრამჭესის მშენებლობის ტერიტორიაზე და პარალელურად დაბლაგომში, 1937-40 წლებში მუშაობა გააგრძელა აფხაზეთში და პარალელურად თრიალეთში, 1947-48 წლებში მუშაობდა თრიალეთში, 1945-1946 და 1951 წლებში კი ჩაატარა ცნობილი სამარშრუტო ექსპედიცია შიდა ქართლში, ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და იმერეთში.

1934 წელს მოწყობილი აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც ი.ი. მეშჩანინოვი ხელმძღვანელობდა, ორგანიზებული იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მიერ და ორი რაზმისაგან შედგებოდა: წინაგვაროვნული საზოგადოების შემსწავლელი რაზმი ს.ნ. ზამიატინის, ლ.ნ. სოლოვიოვის შემადგენლობით და გვაროვნული და ანტიკური საზოგადოების შემსწავლელი რაზმი, აკად. ი.ი. მეშჩანინოვის, მ.მ. ივაშჩენკოს, ა.ლ. ლუკინის და პროფ. ბ.ა. კუფტინის შემადგენლობით. ანგარიში გამოქვეყნებულია წიგნში: «Материалы к археологии Кольхиды» т. I.

**ეშერა** – დოლმენები. სოხუმის მახლობლად. ადგილი «კიურუ-დერე» (გამშრალი ხევი თურქულად). გამოყოფილი იქნა სამი კულტურული ფენა: ქვედა - ადრებრინჯაოს ხანა, შუა – წინაყობანური პერიოდი, ზედა - კოლხური მონეტით დაათარილა. მასალა დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და სოხუმის მუზეუმში [Куфтин 1940:15; 1941:305; 1949a:1; ჯაფარიძე 1961:217, 238].

**ეშერა** – ნამოსახლარი. სოხუმის მახლობლად. ანტიკური ხანის. მასალა დაცულია ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1949a:1,5, 18].

1935 წელს ბორის კუფტინმა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის დავალებით, დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა კოლხეთის დაბლობის არქეოლოგიურ ძეგლებზე. გამოიკვლია და შეისწავლა აქ არსებული მასალა. ანგარიში გამოქვეყნებულია წიგნში: «Материалы к археологии Кольхиды» т. II.

**ნაოხვამუს ბორცი** – ნამოსახლარი. სენაკის რ-ნი, სოფ. რეყე. გამოყოფილი იქნა სამი კულტურული ფენა: ქვედა ფენა – შუაბრინჯაოს ხანის მიწურული; შუა – გვიანბრინჯაოს ხანა; ზედა – რკინის ხანის პერიოდი, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე ადრეული ბერძნული კოლონიზაციის თანადროულია [Куфтин 1950:152, 167, 193-238; ჯიბლაძე 1997: 11-12, 41].

**დიხა-გუძუბა** – ნამოსახლარი. ზუგდიდის რ-ნი, სოფ. ანაკლია. მდებარეობს ენგურის მარცხენა ნაპირზე. ბორცვის სიმაღლე 5მ. გამოყოფილი იქნა ოთხი კულტურული ფენა: ქვედა ფენა – ადრებრინჯაოს ხანა; მომდევნო ორი – შუაბრინჯაოს ხანა; ზედა – გვიან-

ბრინჯაოს ხანა. მასალა ინახება ზუგდიდის მუზეუმის ფონდებში [Куфтин 1950:152, 167, 242-257; ჯიბლაძე 1997:12].

**ქ. ოჩამჩირე** \_ ნამოსახლარი. ოჩამჩირის ნავსადგურის ტერიტორია. მდ. ჯიხამურას მარცხენა ნაპირი. სამი ხელოვნური ბორცვი. დასავლეთი ბორცვის სიმაღლე 5მ. გამოყოფილი იქნა სამი კულტურული ფენა: ქვედა ფენა - ენეოლითის პერიოდი; მომდევნო ფენები - ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები. მასალა ინახება აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში [Куфтин 1950:259, 286; ჯიბლაძე 1997:31].

1936 წელს ნ. მარის სახ. ენიძვი-ს ინსტიტუტის დავალებით ბორის კუფტინმა ჩაატარა გათხრები სოფ. დაბლაგომში. კვლევის მიზები იყო საქ. სახ. მუზეუმში 1929 წელს ნ. ბერძენიშვილის მიერ შემოტანილი ნივთების კოლექცია დაბლაგომიდან (ინვ. 20-29; 1-137). არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: პროფ. ბ. კუფტინი, დოც. ნ. ბერძენიშვილი, ასპირანტები: ვ. აუმალი, ნ. ხომტარია. ანგარიში გამოქვეყნებულია წიგნში: «Материалы к археологии Кольхиды» т. II.

**დაბლაგომი** \_ ნამოსახლარი და სამაროვანი. სამტრედიის რ-ნი. ნაციხვარის და ნასაკირვეის გორები. ნამოსახლარზე გამოვლინდა სამი კულტურული ფენა: ქვედა ჰორიზონტები - მტკვარ-არაქსის პერიოდი; ზედა - კოლხეთის უძველეს ნამოსახლართა კულტურას დაუკავშირა. სამაროვანზე გაითხარა 28 ქვევრსამარხი და დათარიღდა კოლხური თეთრით. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1950:1-138; ჯიბლაძე 1997:45; ფხაკაძე 1993:125].

1936 წელს მოეწყო წალკის არქეოლოგიური ექსპედიცია ბორის კუფტინის ხელმძღვანელობით. ექსპედიცია ორგანიზებული იყო საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ძეგლთა დაცვის კომიტეტის და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული განყოფილების მიერ. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: პროფ. ბ. კუფტინი, არქეოლოგი მ. ივაშჩენკო, ასპირანტები: ვ. აუმალი, ნ. ხომტარია, გეოლოგ-ტექნიკოსი ს. ნადიმაშვილი. ანგარიში გამოქვეყნებულია წიგნში: «Археологические раскопки в Триалети».

**ბარმაქსიზი** \_ სამარხი. წალკის ზეგანი, წალკის ჩრდილოეთით. მანგლისიდან სოფ. ბარმაქსიზისაკენ მიმავალ გზაზე. მტკვარ-არაქსის ეპოქის. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1941:112-118; Жоржикашвили, Гогадзе 1974:7].

**ტაშ-ბაში** \_ სამარხი. წალკის ზეგანი. მთის სამხრეთი ფერდის ძირში, ციკლოპური სიმაგრის ნაშთთან. მდებარეობს გვიან რომაული და სასანიდური ეპოქის სამაროვანზე. მტკვარ-არაქსის ეპოქის. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1941:112-118; Жоржикашвили, Гогадзе 1974:7].

**სანთა** \_ ყორღანი. წრიული №3. წალკის რ-ნი. ვიწრო შლეიფიანი, რომელსაც ხეივნის ფორმა აქვს. სიგრძით 7მ. სიგანით 5მ. შუაბრინჯაოს ხანის. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1936:дн; Жоржикашвили, Гогадзе 1974:10-15].

**სანომერი** \_ ყორღანები - «ბეიუკ-თეფე» და პატარა «ბეიუკ-თეფე». შუაბრინჯაოს ხანა. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1936:дн; Жоржикашвили, Гогадзе 1974:14-15].

**ხადიკი** \_ სამარხი. წალკის რ-ნი. მდებარეობს 1855 წელს აშენებული ეკლესიის კედელში. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1936 :дн].

**შეფიაკი** \_ მდგომარე ქვები - «თექელი-დაში». მდებარეობს სოფ. სანომერის და სოფ. შეფიაკის საზღვარზე. შატღლარის სიღრმეში. და მეორე სოფ. იმირის მახლობლად მესაქონლეთა სადგომზე [Куфтин 1936:дн.].

**სანომერი** \_ მდგომარე ქვა «ეკიატინ-დაში». მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით პატარა ტბების - გოსიგუნ-გელის, ეკიატინ-გელის და ბეიუკ-გელის გასწვრივ, ჩრდილოეთით. აქვეა ძველ სამაროვანი «ხარება» [Куфтин 1936:дн.].

**ქციის ხეობა** \_ კულტურული ფენა, 80სმ სისქის. მდ. ქციის მარჯვენა ნაპირზე XII-ის ეკლესიის მახლობლად, რომელიც ექ. თაყაიშვილს აქვს აღწერილი. განეკუთვნება სხვადასხვა ეპოქას [Куфтин 1936:дн.].



**სანთა** \_ ციკლოპური ნამოსახლარი. წალკის რ-ნი. შუასაუკუნეები [Куфтин 1936:დნ].

**სანთა** \_ სამაროვანი. სოფლიდან 1,5კმ-ის დაშორებით, დასავლეთ მხარეს. ანტიკური ხანის [Куфтин 1936:დნ].

**სანთა** \_ სამარხი. სოფ. ჯინისისაკენ მიმავალი დაუმთავრებელი, მიტოვებული გზის მარცხენა მხარეს 1კმ-ში. ადგილი «ჩაირლიკ». პატარა მდ. ნერონ-დერესის ზევით. სასანიდური ხანის [Куфтин 1936:დნ; Куфтин 1941:21].

**სანთა** \_ სამაროვანი. მდებარეობს სოფ. სანთიდან სამხრეთ-დასავლეთით «ნერონ-დერესის» (მშრალი ხევის ნაპირზე). ელინისტური და გვიან აქიმენიდური ეპოქის [Куфтин 1941:21].

**ბარმაქსიზი** \_ «ფინჯანისებური» ქვა. მდებარეობს, მანგლისიდან ბარმაქსიზისაკენ მიმავალ გზაზე 2კმ-ში. ხრამის ხიდთან. აქვეა გვიან სასანიდური ეპოქის სამაროვანი [Куфтин 1936:დნ; Куфтин 1941:21].

**სანთა** \_ სამარხები. სოფ. სანთიდან სოფ. ხაჩკოვში მიმავალ გზაზე. ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანის [Куфтин 1936 :დნ].

**ბარმაქსიზი** \_ გამოქვაბული. წალკის რ-ნი. პალეოლითური ხანის [Куфтин 1936:დნ].

**ნარდევანი** \_ ნარდევანის სიმაგრე სახელწოდებით «კოლა». ტალღისებური ფორმის, დიდი ქვის ბლოკებით ნაგები. მასიური კედლებით. რუსთაველის ეპოქაზე უფრო ადრეული კულტურული ფენა არ აღმოჩნდა [Куфтин 1941:30].

**საფარ-ხარაბა** \_ ყორღანი «პრიზმული». სოფლიდან 1კმ-ზე, მდ. ბაშკევ-სუს მარცხენა სანაპიროს აღმოსავლეთით, მთა «აიუნ-დაჩის» (წმინდა მთა) ჩრდილო-დასავლეთით, ბრტყელ პლატოზე. 2,5მ. სიმაღლის. ყორღანი გათხრილი იყო ადგილობრივი მასწავლებლის აკრიტასის მიერ [Куфтин 1936:დნ].

**სანთა** \_ ყორღანი «მარალ-დერესი». მდებარეობს სოფლის დასავლეთით, ციცაბო ქედის ძირში, შლეიფიანი (გზიანი). დიამეტრით 22მ. სიმაღლე 1,5მ. ოვალური ფორმის. უინვენტარო [Куфтин 1936:დნ].

**სანთა** \_ ყორღანი. ქვამიწაყრილიანი. მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით შემადგენულ ფერდობზე. ჩრდილოეთიდან ჩამოჭრილი ყრილით, გამარცვლი [Куфтин 1936:დნ].

**შეფიაკი** \_ ყორღანი «ბეიუკ-გონც». მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით მეოთხედ კილომეტრზე «ჩურუკურის» მიჯნაზე [Куфтин 1936:დნ].

**შეფიაკი** \_ ყორღანი «ქუჩუკ-გონც» მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით [Куфтин 1936:დნ].

**ედდი-კილისა** \_ ყორღანი დიდი ზომის. მდებარეობს სოფლის ქვედა მხარეს. სიდიდით აღემატება «ბეიუკ-თეფეს» და «კარანტინს» [Куфтин 1936:დნ].

**სანომერი** \_ ქვა «თექელი-დაში». მდებარეობს სოფლების სანომერისა და შეფიაკის საზღვარზე. არანაირი კულტურული მნიშვნელობა არ აქვს. ამ ქვით დაინტერესებული იყო მელიქსედ-ბეკოვი [Куфтин 1936:დნ].

**საფარ-ხარაბა** \_ ციკლოპური ნამოსახლარის ნაშთები. მდებარეობს სოფლისკენ მიმავალ გზაზე, ორი მთის ხეობებს შორის პლატოზე. შემორჩენილია კედლების წყობის და ოთხკუთხა ქვის ნაგებობის ნაშთები [Куфтин 1936:დნ].

**ბარმაქსიზი** \_ სამაროვანი. მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. სასანიდური ეპოქის. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1941:21].

1937 წელს მოეწყო წალკის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ძეგლთა დაცვის კომიტეტის მიერ. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ხელმძღვანელი ბ. კუფტინი, არქეოლოგი მ. ივანჩენკო, ფოტოგრაფი ო. ლეონტიევი, რესტავრატორი მ. სოკოლოვსკაია, დ. გორდევი, კოლექტორი ვ. ჭეიშვილი. ანგარიში გამოქვეყნებულია წიგნში «Археологические раскопки в Триалети».

**სანომერი** \_ ყორღანი IV «კარანტინი». წალკის რ-ნი. მდებარეობს სოფ. სანომერსა და წინწყაროს შორის გზაზე. ადრეებრინჯაოს ხანის ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1937:დნ; Куфтин 1941:102; Жоржикашвили, Гогадзе 1974:10].

**სანომერი** \_ ყორღანი V «კორუხ-ტაში». სოფლიდან 1კმ-ში, მის ჩრდილოეთით. შუაბრინჯაოს ხანის. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1937:дн; Жоржикашвили, Гогадзе 1974:15].

**სანომერი** \_ მდგომარე ქვა, რომლის სახელწოდება თარგმანში ნიშნავს სადარაჯო ქვას. ეს ქვა დგას ყორღანზე «კორუხ-ტაში» [Куфтин 1937:дн.].

**სანომერი** \_ ყორღანი VI «ჩუჩუკ-თეფე». წალკის რ-ნი. სოფლიდან დასავლეთით 2კმ-ში. შუაბრინჯაოს ხანის. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Жоржикашвили, Гогадзе 1974:16].

**სანომერი** \_ ყორღანი VII «აპოსტოლინ-თეფე». წალკის რ-ნი. სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 1კმ-ის დაშორებით. შუაბრინჯაოს ხანის. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1937:дн; Жоржикашвили, Гогадзе 1974:17].

**სანომერი** \_ ყორღანი VIII «ტუმასინ-თეფე». წალკის რ-ნი. სოფელ სანომერიდან 1,5კმ-ში, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს. შუაბრინჯაოს ხანის. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1937:дн; Жоржикашвили, Гогадзе 1974:18].

**სანომერი** \_ ყორღანი, პატარა ზომის. მდებარეობს ყორღანთან «ტუმასინ-თეფე». წალკის რ-ნი. სოფელ სანომერის ჩრდილოეთით 1,5კმ-ში. შუაბრინჯაოს ხანის. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Жоржикашвили, Гогадзе 1974:19].

**წინწყარო** \_ სამაროვანი. წალკის რ-ნი. მდებარეობს ეკლესიიდან აღმოსავლეთით. არანაირი მონაპოვარი [Куфтин 1937:дн].

**მდ. პატარა ნერონი** \_ სამაროვანი. წალკის რ-ნი. მდებარეობს უშუალოდ მდინარესთან. ზევიდან ფარავს ანტიკური ხანის ოთხკუთხა კედელი [Куфтин 1937:дн].

**წინწყარო** \_ სამაროვანი. მდებარეობს სოფლის დასავლეთ ნაწილში. ძველი სასაფლაოს ადგილას [Куфтин 1937:дн].

**დარეკვავი** \_ სამარხები. წალკის რ-ნი. მდებარეობს ძველ სასაფლაოზე ეკლესიასთან. სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში მთის ფერდობზე ხევის ჩამონარეცხ ადგილას [Куфтин 1937:дн].

**წინწყარო** \_ «ხარება». მდებარეობს ქედის ჩრდილოეთ მხარეს მდებარე ტბის აღმოსავლეთით, ბორცვის წვერზე. შუასაუკუნეების სამარხები [Куфтин 1937:дн].

**კერიაკი** \_ სამარხები. წალკის რ-ნი. მდებარეობს სოფლის მოპირდაპირე მხარეს მდინარის მარცხენა ნაპირზე [Куфтин 1937:дн].

**ჩუკურ-ჩაირი** \_ სამარხები. წალკის რ-ნი. მდებარეობს «აშხალას» მიწებზე. სოფ. სანთის საზღვართან, მთაგრეხილის სამხრეთ ფერდობზე, სოფ. წინწყაროდან 3-4კმ-ში, მის ჩრდილოეთით. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის [Куфтин 1937:дн].

**წინწყარო** \_ სამაროვანი. მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით, მინდორში. ბრინჯაოს ხანის [Куфтин 1937:дн].

**თაქ-ქილისა** \_ სამაროვანი. წალკის რ-ნი. სოფლებს გუნია კალასა და თაქ-ქილისას შორის, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე, გზის ორივე მხარეს, სოფ. თაქ-ქილისას მინდვრებზე. ბრინჯაოს ხანის [Куфтин 1937:дн].

**წინწყარო** \_ «ხარება». მდებარეობს შემადღებულ ტბიან პლატოზე. ქედის ჩრდილოეთ მხარეს [Куфтин 1937:дн].

ამავე წელს ბორის კუფტინის მიერ აფხაზეთში მოეწყო არქეოლოგიური დაზვერვები, რომელიც ორგანიზებული იყო ძეგლთა დაცვის კომიტეტის და აფხაზეთის კულტურის ინსტიტუტის მიერ. მასალის დამუშავება და გამოქვეყნება ბორის კუფტინს არ დასცალდა.

**ეშერა** \_ სამი დოლმენი. ქ. სოხუმის მახლობლად. შუაბრინჯაოს ხანის [Куфтин 1949a:259; ჯაფარიძე 1959:78; 1961:220].

**აზანთა** \_ დოლმენები. გუდაუთის რ-ნი. შუაბრინჯაოს ხანის. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1946:дн; ჯაფარიძე 1959:239; 1961: 101, 217].

1938 წლის წალკის არქეოლოგიური ექსპედიცია ორგანიზებული იყო საქართველოს ძეგლთა დაცვის კომიტეტის მიერ. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ხელმძღვანელი ბ. კუფ-

ტინი, ლ. სკლიფასოვსკი, ფოტოგრაფი ა. ნ. ევტეევი, რესტავრატორი გ. ყიფიანი-სოკოლოვსკაია, კოლექტორები ი. ქასაშვილი, თ. კიროვა, ა. ოგანეზოვი, და მ. ქიქოძე. ანგარიში გამოქვეყნებულია წიგნში «Археологические раскопки в Триалети».

**შეფიაკი** – ყორღანი X - (შეფიაკის №1 ყორღანი) «ჩუჩუკ გოლინ გონცზ» (პატარა ოთარის ყორღანი). წალკის რ-ნი. მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,5კმ-ში. ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1938:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974: 11].

**ბეშთაშენი** – ყორღანი XII (ბეშთაშენის №12 ყორღანი). წალკის რ-ნი. მდებარეობს ბეშთაშენიდან ჩრდილო-დასავლეთით 1კმ-ში. ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1938:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974:11].

**ბეშთაშენი** – ყორღანი XIII (ბეშთაშენის №13 ყორღანი). სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით 1კმ-ში. III ათასწ. მეორე ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1938:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974:11].

**ბეშთაშენი** – ყორღანი XIX (ბეშთაშენის №7 ყორღანი). მდებარეობს ბეშთაშენიდან ჩრდილო-დასავლეთით 1,5კმ-ში. ძვ.წ. III ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1938:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974:12].

**შეფიაკი** – ყორღანი XXIII (შეფიაკის №5 ყორღანი). მდებარეობს სოფ. შეფიაკიდან დასავლეთით 1-2კმ-ში. ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1938:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974:12].

**ბეშთაშენი** – ყორღანი XIV (ბეშთაშენის №14 ყორღანი). მდებარეობს ბეშთაშენიდან ჩრდილო-დასავლეთით 1კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1938:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974:19].

**შეფიაკი** – ყორღანი XV (შეფიაკის №2 ყორღანი), მდებარეობს სოფ. შეფიაკიდან ჩრდილოეთით 1,4კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1938:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974:20].

**შეფიაკი** – ყორღანი XVI (შეფიაკის №3 ყორღანი). მდებარეობს სოფ. შეფიაკიდან ჩრდილო-დასავლეთით 1,3კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1938:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974:20].

**შეფიაკი** – ყორღანი XVII (შეფიაკის №4 ყორღანი). მდებარეობს სოფ. შეფიაკის ჩრდილო-დასავლეთით 1,2კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1938:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974:21].

**ბეშთაშენი** – ყორღანი XVIII (ბეშთაშენის №9 ყორღანი). მდებარეობს სოფ. შეფიაკის სამხრეთ-აღმოსავლეთით. 2-3კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1938:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974:21-22].

1939 წლის წალკის არქეოლოგიური ექსპედიცია ორგანიზებული იყო საქართველოს ძეგლთა დაცვის კომიტეტის მიერ. მასში მონაწილეობდნენ: ხელმძღვანელი ბ. კუფტინი, ლ. სკლიფასოვსკი, ვ. ლლონტი, ლ. გილჩევსკაია, ი. ხატისკაცი, ფოტოგრაფი ა. კუფტინი. ანგარიში გამოქვეყნებულია წიგნში «Археологические раскопки в Триалети».

**ბეშთაშენი** – ციკლოპური ნამოსახლარი. მდებარეობს მდინარეების გერიაკ-ჩაის და ბაშკევსუს შეერთების ადგილზე, სამკუთხა ქვიან კონცხზე. სოფ. ბეშთაშენის ჩრდილოეთით 1-2კმ-ში. ცნობილია როგორც ენეოლითური კულტურული ფენა. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Жоржикашвили, Гогадзе 1974:6].

**ბაშკევის ხეობა** – ყორღანი XXIV «დურნა-თეფე». წალკის რ-ნი. მდებარეობს სოფ. ყარაყომიდან სამხრეთით 1-2კმ-ში. ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1939:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974:12].

**ბაშკევი** – ყორღანი XXV «ბეიუკ-აიუ-თეფე». წალკის რ-ნი. მდებარეობს სოფ. ბაშკევიდან 1,4კმ-ში, მის დასავლეთით. ძვ. წ. III ათასწ. მეორე ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1939:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974:13].

**ბეშთაშენი** \_ ყორღანი XXIII. ქვის ყორღანი. მდებარეობს სოფ. ბეშთაშენიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 2-3კმ-ში. სოფელ ბეშთაშენიდან სოფ. სანთაში მიმავალ გზაზე. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1939:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974:22].

**ყარაყომი** \_ ყორღანი. წალკის რ-ნი [Гогадзе 1972:16].

**საბით-ახჩა** \_ ყორღანი XXVIII (საბით-ახჩას №1 ყორღანი). წალკის რ-ნი. მდებარეობს სოფ. საბით-ახჩიდან ჩრდილო-დასავლეთით 1კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1939:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974:22].

**საბით-ახჩა** \_ ყორღანი XXIX (საბით-ახჩის №2 ყორღანი). მდებარეობს სოფ. საბით-ახჩიდან ჩრდილო დასავლეთით 1-2კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1939:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974:22].

**საბით-ახჩა** \_ ყორღანი XXX (საბით-ახჩას №3 ყორღანი). მდებარეობს სოფ. საბით-ახჩიდან ჩრდილო-დასავლეთით 1კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1939:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974:23].

**საბით-ახჩა** \_ ყორღანი XXXI (საბით-ახჩას №4 ყორღანი). მდებარეობს სოფ. საბით-ახჩიდან ჩრდილო-დასავლეთით 1,5კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1939:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974:23].

**საბით-ახჩა** \_ ყორღანი №5. გამარცვლი. შუაბრინჯაოს ხანის. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. ეს ყორღანი ბ. კუფტინს არც დაუნომრავს და არც რუკაზე დაუტანია [Куфтин 1939:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974:23].

**კუმჩი** \_ ყორღანი XXXII ჯინისის ყორღანი. წალკის რ-ნი. მდებარეობს სოფ. კუმჩიდან ჩრდილო-დასავლეთით 2,5კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1939:დნ; Жоржикашвили, Гогадзе 1974:24].

**ბეშთაშენი** \_ ორი ყორღანი. მდებარეობს სოფ. ბეშთაშენის სათიბებზე, თავად ბარათოვის ყოფილ მიწაზე. ბორცვებს შორის ხევში, სამლოცველო «მედამ ავროს» აღმოსავლეთით, სოფ. ახალიკის უკან, ხეობის შუაში მდებარე პატარა ტბის პომტუნ გოლთან [Куфтин 1939:დნ].

**ბეშთაშენი** \_ დიდი ყორღანი. ეს ყორღანი კარგად ჩანს სოფ. ბეშთაშენის და სოფ. ბარმაქსიზის გამყოფი თხემიდან, რომელსაც «გარში» ჰქვია. მრგვალი ფორმის. 5მ. სიმაღლის წვერზე ოდნავ ჩაღრმავებული მოედნით [Куфтин 1939:დნ].

**ედდი-ქილისა** \_ ყორღანი. წალკის რ-ნი. მდებარეობს მდ. ხრამსა და მის შენაკად გაიანის შორის მდებარე სამკუთხედში. მრგვალი ფორმის. 7-8მ. სიმაღლის, ოთხკუთხა ზედაპირით [Куфтин 1939:დნ].

**ბაიბურთ-გარშისი** \_ მცირე ყორღანი. წალკის რ-ნი. მდებარეობს ბაიბურთ-გარშისის წვერზე. არანაირი მონაპოვარი [Куфтин 1939:დნ].

**ბარმაქსიზი** \_ ყორღანი «ტუმბულ-თეფე». წალკის რ-ნი. მდებარეობს სოფ. ბარმაქსიზიდან სოფ. მადიკისაკენ მიმავალი გზის სამხრეთით ამ სოფლების მინდვრების საზღვარზე [Куфтин 1939:დნ].

**ბეშთაშენი** \_ ყორღანი. ქვიანი. არანაირი მონაპოვარი [Куфтин 1939:დნ].

**სანთა** \_ ყორღანი. წალკის რ-ნი. მდებარეობს დიდ ყორღანთან ახლოს [Куфтин 1939:დნ].

**წალკა** \_ ყორღანები. მდებარეობს ზედა წალკის და ქვედა წალკის გამყოფ პლატოზე. დასასრულებელი გზის მარჯვნივ [Куфтин 1939:დნ].

**ჯინისი** \_ ყორღანი. წალკის რ-ნი. მდებარეობს ჭაობთან ახლოს. სოფ. ედდი-ქილისიდან ნახევარ გზაზე [Куфтин 1939:დნ].

**ჯინისი** \_ ყორღანები. მდებარეობს სოფ. ჯინისისა და სოფ. ავრანლოს საზღვარზე [Куфтин 1939:დნ].

**ტაბაწყურის ტბა** \_ ყორღანების ველი. წალკის რ-ნი. მდებარეობს ტბისკენ მიმავალ ბილიკზე, უღელტეხილამდე მესამე პლატოზე (აქვეა თათრების სასაფლაო). ყორღანები გადადიან უღელტეხილის მეორე მხარეს, დასავლეთი ფერდობის ზედა ნაწილში [Куфтин 1939:დნ].

**სანთა** \_ ყორღანი «ანტონინ თეფე». წალკის რ-ნი. არანაირი მონაპოვარი [Куфтин 1939:დნ].

**კიუმბატი (ახალი გუმბათი)** – ყორღანი. წალკის რ-ნი. მდებარეობს სასაფლაოს ახლოს. გაძარცვული [Куфтин 1939:дн].

**ავრანლო** – დიდი ყორღანი («ბეიუკ-თეფე»). წალკის რ-ნი მდებარეობს სოფლების - ავრანლოს და ჯინისის საზღვარზე. არასწორი ნახევარმთვარის ფორმის. 2,5მ. სიმაღლის. დიდი დიამეტრი 45მ. [Куфтин 1939:дн].

**ბაშკევი** – ყორღანი «ქუჩუკ-ფიუ-თეფე». წალკის რ-ნი. მდებარეობს სოფ. ბაშკევში, ყორღან «ბეიუკ-აიუ-თეფეს» აღმოსავლეთით, კალოსთან. უინვენტარო [Куфтин 1939:дн].

**სანთა** – დიდი ყორღანი [Куфтин 1939:дн].

**სანთა** – ყორღანი. უინვენტარო. 1,7მ. სიმაღლის [Куфтин 1939:дн].

**სანთა** – ყორღანი ქვიანი. მდებარეობს სოფ. სანთის გზასთან ახლოს [Куфтин 1939:дн].

**ყარაყომი** – პატარა ყორღანი. მდებარეობს სოფ. ყარაყომის მოპირდაპირე მხარეს, ყორღანების «დურნა-თეფე» II-ის და «აიუ-თეფეს» შორის. (ამ ყორღანების არსებობა ბ. კუფტინმა გადმოცემით იცოდა) [Куфтин 1939:дн].

**თაფარავნის ტბა** – ყორღანი «ჩინგის-თეფე» და ყორღანები. წალკის რ-ნი. მდებარეობს თაფარავნის ტბის წყალგამყოფთან, სამოვრებზე, მოლოტოვიდან 7კმ-ზე. (გრანდიოზული ზომის ყორღანი) [Куфтин 1939:дн].

**ბურნაშეთი** – ყორღანები. მდებარეობს სოფ. ბურნაშეთის ზევით შემადლებულ პლატოზე, სამოვრებზე [Куфтин 1939:дн].

**ბემთაშენი** – სამაროვანი. მდებარეობს მდ. ბაშკევ-სუს მარჯვენა ნაპირზე. მეგალითური სიმაგრის ნარჩენებზე. აქემენიდური ხანის. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1939:дн].

**ბემთაშენი** – სამაროვანი. მდებარეობს ბემთაშენის სიმაგრის უკანა მხარეს, ჩრდილოეთით. მდ. გერიაკ-ჩაის მეორე მხარეს. მიდო-სპარსული და ვანის გვიანი პერიოდის. ეს სამაროვანი მდებარეობს უშუალოდ ბრინჯაოს ხანის დასასრულის პერიოდის სამაროვანზე. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1939:дн].

**საფარ-ხარაბა** – სამაროვანი. წალკის რ-ნი. მდებარეობს გზასთან მთის ფერდობზე. ბრინჯაოს ხანის. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1939:дн].

**სანთა** – სამაროვანი. მდებარეობს სოფლის გზასთან. პარასტადოვების და სპიროვების ნაკვეთზე [Куфтин 1939:дн].

**ედდი-ქილისა** – სამაროვანი. წალკის რ-ნი. მდებარეობს სოფლის სკოლის მახლობლად [Куфтин 1939:дн].

**ყარაყომი** – სამაროვანი. მდებარეობს სოფლის მოპირდაპირე მხარეს [Куфтин 1939:дн].

**ბაშკევი** – ყორღანი «აიუ-თეფე» ანუ დავითის ყორღანი. წალკის რ-ნი [Куфтин 1939:дн].

**ტაშ-ბაში** – სამაროვანი. წალკის რ-ნი. მდებარეობს სოფლის სკოლასთან [Куфтин 1939:дн].

**კუშჩი** – ორი სამარხი. წალკის რ-ნი. მდებარეობს სოფ. კუშჩიდან სოფ. გოლიანიკში მიმავალ გზაზე. უინვენტარო [Куфтин 1939:дн].

**კუშჩი** – სამარხები. მდებარეობს ეკლესიასთან, გალავნის ჩრდილოეთ მხარეს. რომაული ეპოქის [Куфтин 1939:дн].

**თავკვეთილის მთა** – ყორღანები ქვიანი. მდებარეობს მთის ძირში მაღალმთიან პლატოზე, აქედან დაღმართია საბით-ახჩაში [Куфтин 1939:дн].

**საბით-ახჩა** – ყორღანები. წალკის რ-ნი. მდებარეობს ციცაბო კლდეზე, შუა პლატოზე [Куфтин 1939:дн].

**კუშჩი** – სამარხი. მდებარეობს სოფლის სკოლასთან [Куфтин 1939:дн].

**გერიაკი** – სამარხი. წალკის რ-ნი. მდებარეობს. მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე, ტაძართან [Куфтин 1939:дн].

**ავრანლო** – ციკლოპური სიმაგრეები. წალკის რ-ნი [Куфтин 1939:дн].

ამავე წელს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის სახსრებით ბორის კუფტინმა განახორციელა დაზვერვითი სამუშაოები საჩხერის რაიონში. ანგარიში ნაწი-

ლობრივ გამოქვეყნდა სტატის სახით «К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии»

**ნაჩერქეზევი** \_ ათი სამარხი. საჩხერის რ-ნი. მდებარეობს საჩხერის დასავლეთ ნაწილში. შუაბრინჯაოს ხანის. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1940:8].

1940 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია წალკის რ-ში, ორგანიზებული იყო ძეგლთა დაცვის კომიტეტისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების მიერ. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ბ. კუფტინი, ს. ნადიმაშვილი, დ. გორდევი, ლ. ოგანეზოვი, ა. კუფტინი, ლ. სკლიფასოვსკი, ვ. ლლონტი. ანგარიში გამოქვეყნდა წიგნში «Археологические раскопки в Триалети».

**ბეშთაშენი** \_ ყორღანი XXVII «დურნა-თეფე». მდებარეობს სოფ. ბეშთაშენიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1-2კმ-ში. ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Жоржикашвили, Гогадзе 1974:13].

**თაფარავნის ტბა** \_ ყორღანი XV (თაფარავნის №3 ყორღანი «ვონა»). წალკის რ-ნი. მდებარეობს ტბიდან ჩრდილო-დასავლეთით 2კმ-ში, ხოლო სოფ. კუშჩიდან 1,3კმ-ში. ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Жоржикашвили, Гогадзе 1974:13].

**კუშჩი** \_ ყორღანი XXXIII (კუშჩის ოქროს მივიანი ყორღანი). მდებარეობს ნარდევანის ჩრდილოეთით 1-2კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Жоржикашвили, Гогадзе 1974:24].

**კუშჩი** \_ ყორღანი XXXIV (ირმის ყორღანი). მდებარეობს სოფ. ნარდევანიდან 1-2კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Жоржикашвили, Гогадзе 1974:24].

**კუშჩი** \_ ყორღანი XXXV - ღარიბი ყორღანი. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. [Жоржикашвили, Гогадзе 1974:25].

**კუშჩი** \_ ყორღანი XXXVI «თოფ-კარ» I. მდებარეობს სოფ. კუშჩიდან 1კმ-ში, სამხრეთით. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Жоржикашвили, Гогадзе 1974:25].

**ფარავნის ტბა** \_ ყორღანი XXXVII. თაფარავნის ყორღანი №1. მდებარეობს ტბიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2,5კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა არ არის [Жоржикашвили, Гогадзе 1974:26].

**ფარავნის ტბა** \_ ყორღანი XXXVIII. თაფარავნის ყორღანი №2. მდებარეობს ტბიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1-2კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა არ არის [Жоржикашвили, Гогадзе 1974:26].

**ფარავნის ტბა** \_ ყორღანი XXXIX. თაფარავნის ყორღანი №4. მდებარეობს ტბიდან ჩრდილო-დასავლეთით 2კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Жоржикашвили, Гогадзе 1974:26].

**ტაბაწყურის ტბა** \_ ყორღანი XLI. ტაბაწყურის დიდი დანგრეული ყორღანი. წალკის რ-ნი. მდებარეობს ტბიდან აღმოსავლეთით 1-2კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Жоржикашвили, Гогадзе 1974:27].

**ტაბაწყურის ტბა** \_ ყორღანი XLII. ტაბაწყურის პატარა მიწიანი ყორღანი. მდებარეობს ტბიდან აღმოსავლეთით 1-2კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Жоржикашвили, Гогадзе 1974:27].

**ტაბაწყურის ტბა** \_ ყორღანი XLIII. ტაბაწყურის ყორღანი. მდებარეობს ტბიდან აღმოსავლეთით 1კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა არ არის [Жоржикашвили, Гогадзе 1974:27].

**ტაბაწყურის ტბა** \_ ყორღანი XLIV. ტაბაწყურის ყორღანი. მდებარეობს ტბიდან აღმოსავლეთით. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Жоржикашвили, Гогадзе 1974:27].

**ტაბაწყურის ტბა** \_ ყორღანი. ტაბაწყურის №5 ყორღანი. მიწიანი. ცარიელი [Жоржикашвили, Гогадзе 1974:27].

**ფარავნის ტბა** \_ ყორღანების ველი - «თექელი-დაში». მდებარეობს ტბასთან ბოგდანოვკის რ-ნის საზღვარზე. ამავე სახელისაა სასაზღვრო ქვა - მენჰირი [Куфтин 1940:дн].

**კუმჩი** \_ ყორღანები. წალკის რ-ნი. მდებარეობს სოფელ კუმჩიდან ხარებისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს [Куфтин 1940:дн].

**კუმჩი** \_ მეგალითური ნაგებობა. მასზე მდებარეობს ეკლესია «პლადჟამი» თუ «პლატასი» [Куфтин 1940:дн].

**კიუმბატი** \_ მეგალითური სიმაგრე. წალკის რ-ნი. მდებარეობს მდინარე ხრამის ხეობაში, მთის ფერდობზე, წყაროებთან ახლოს [Куфтин 1940:дн].

**ავრანლო** \_ ციკლოპური სიმაგრე. წალკის რ-ნი. შუა საუკუნეები [Куфтин 1940:дн].

**თაქ-ქილისა** \_ სამაროვანი. წალკის რ-ნი. მდებარეობს სოფლის წისქვილთან [Куфтин 1940:дн].

**მთა კორ-ოღლი** \_ სიმაგრე. წალკის რ-ნი. მდებარეობს ფარავნის ტბის ნაპირზე. მასზე მდებარეობს თავშესაფრები, რომელთაც ზევიდან დოლმენური ტიპის ფილები ფარავდა [Куфтин 1940:дн].

**წინწყარო** \_ სამაროვანი. მდებარეობს სოფ. წინწყაროს მახლობლად მდ. ალგეთზე, თეთრიწყაროდან აღმოსავლეთით. აქემენიდური ეპოქის. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1941:34].

**სანთა** \_ სამაროვანი. მარალინ დერესის ხეობა. ვანის ეპოქის. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1941:65].

**ბემთაშენი** \_ სამაროვანი. მდებარეობს ბაიბურტ ანუ გერაკ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1941:65].

**ბაიბურთი** \_ სამაროვანი. ქვის წრით. წალკის რ-ნი. მდებარეობს ბაიბურთ ანუ გერაკ-ჩაის მარცხენა ნაპირას. ბრინჯაოს ხანის [Куфтин 1941:75].

1945 წელს განხორციელდა სამარშრუტო არქეოლოგიური ექსპედიცია ე.წ. სამხრეთ ოსეთში (მდ. ლიახვისა და ფრონეს აუზები) და იმერეთში (მდ. ყვირილას ხეობა). ექსპედიცია განხორციელდა საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველოს არქიტექტურის განყოფილების მიერ. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ ხელმძღვანელი ბ. კუფტინი, ს. ნადიმაშვილი, გ. მჭედლიშვილი და ა. სკლიფასოვსკი. ანგარიში გამოქვეყნდა წიგნში «Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию.»

**საჩხერე-ცარცის გორა** \_ ყორღანული სამარხი. საჩხერის რ-ნი. მდებარეობს საჩხერის აღმოსავლეთით. ძვ.წ. XXIV-XXIIსს. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1949:70, 74-75; ჯაფარიძე 1961:13].

**საჩხერე-ქორეთი-პასიეთი** \_ ყორღანული სამარხი. ძვ.წ. XXIV-XXIIსს. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1949:74-75, 79; ჯაფარიძე 1961:135].

**ქ. ცხინვალი - ქულბაქები** \_ ნამოსახლარი. მდებარეობს ქ. ცხინვალის მახლობლად. სოფ. ოსპრისთან. ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები. აღმოჩნდა ენეოლითური ფენა [Куфтин 1951, ხელნაწ.].

**ქ. ცხინვალი - ზღუდერი** \_ სამაროვანი. მდ. ლიახვის მარცხენა ნაპირას. 1) ზღუდრის გვერდა. ენეოლითური ხანის 2) ზღუდრის ბორცვი. ადრებრინჯაოს ხანის. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1949:17, 67-68].

**ქ. ცხინვალის (სტალინირის) ნაცარგორა** \_ ნამოსახლარი. ქ. ცხინვალის მახლობლად. გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისი. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1949:17, 54, 56-57].

**ნული** \_ სამაროვანი. ზნაურის რ-ნი. მდებარეობს მდ. ფრონეზე. შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი ხანის. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1949:18, 48].

**ზილდი** \_ ნამოსახლარი. მდებარეობს კავკასიონის მთავარ ქედზე, კალდოსანის უღელტეხილთან. დიდი ლიახვის სათავეებთან, ზღვის დონიდან 2600მ. სიმაღლეზე, პლატოზე რომელსაც ეწოდება «აშტირ-ხურ» (დიდი ღორღი). აქვეა კლდის შვერილი

«უაიგუტე მაშიტ» (გოლიათების კოშკი). პლატო მოფენილი იყო ანდეზიტის და წაბლისფერი-ისფერი ლავის ნატეხებით. ჩატარდა დაზვერვები. გაკეთდა გეგმა და აზომვები. კერამიკული მასალა არ აღმოჩნდა [Куфтин 1949:37].

**ედისი** – ბორცვი «ცარცატა». დიდი ლიახვის აუზი. ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები. აღმოჩნდა კვადრატული კოშკი (5X5მ). კერამიკა შუა საუკუნეების ხანის [Куфтин 1949:40-41].

**სტირფაზი** – ბორცვი «მარშიატ-ყადზახი». სამაროვანი. მდებარეობს მდ. ლიახვის ქვედა წელში. ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები. აქემენიდური ეპოქის. მოშორებით ციცაბო კლდეზე კი გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანის მასალები გამოვლინდა [Куфтин 1949:40-41].

**ავნევი** – ყორღანი «ყვავის სადგარი». ზნაურის რ-ნი [Куфтин 1949:51].

**დვანის ნაცარგორა** – გორა-ნამოსახლარი. ზნაურის რ-ნი [Куфтин 1949:51].

**ხვწე** – ბორცვი - «გორა». ზნაურის რ-ნი [Куфтин 1949:51].

**დიდი მუხა** – ბორცვი - «კიბრავა». ზნაურის რ-ნი [Куфтин 1949:51].

**დვანი** – ყორღანი - «სამნიფერდა». აღმოჩნდა ენეოლითური და შუა საუკუნეების კერამიკა [Куфтин 1949:51].

**ავნევი** – ყორღანი - «გორა». აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურული ფენა [Куфтин 1949:52].

**ბჟინევი** – ბორცვი. საჩხერის რ-ნი. აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის კულტურული ფენა [Куфтин 1949:67].

**დურები** – სამაროვანი. საჩხერის რ-ნი. ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები [Куфтин 1949:67].

**ქ. ქუთაისი** – კულტურული ფენა გვიანი ნეოლითიდან ენეოლითზე გარდამავალი ეპოქის [Куфтин 1949:80].

**წყალტუბო** – კულტურული ფენა. ნეოლითიდან ენეოლითზე გარდამავალი ეპოქის [Куфтин 1949a:80].

**ძალინა** – სამაროვანი. ზნაურის რ-ნი. ადრებრინჯაოს ხანის. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [ჯაფარიძე 1961:203].

1946 წელს მოეწყო სამარშრუტო-სადაზვერვო ექსპედიცია საჩხერის რ-ნში და აფხაზეთში. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ბ. კუფტინი, ლ. სკლიფასოვსკი, ო. ბენდუქიძე. მასალის დამუშავება და გამოქვეყნება არ მოხერხდა.

**აზანთა** – დოლმენები. გუდაუთის რ-ნი. ადრებრინჯაოს ხანის. მასალა ინახება სოხუმის მუზეუმში [Куфтин 1946:დნ; ჯაფარიძე 1961:217].

**სული** – დოლმენი. გუდაუთის რ-ნი. სოფ. აზანთის მახლობლად. ადრებრინჯაოს ხანა. მასალა ინახება სოხუმის მუზეუმში [Куфтин 1946:დნ; ჯაფარიძე 1961:10].

**საჩხერე-ცარცის გორა** – ყორღანული სამარხი. საჩხერის

რ-ნი. გაგრძელდა მისი შესწავლა [Куфтин 1946:დნ.].

**საჩხერე-ქორეთი-პასიეთი** – ყორღანული სამარხი. გაგრძელდა მისი შესწავლა [Куфтин 1946:დნ.].

**ქ. სოხუმი - წითელი შუქურა** – კულტურული ფენა. ანტიკური ხანის [Куфтин 1946:დნ.].

1947 წლის წალკის არქეოლოგიური ექსპედიცია ორგანიზებული იყო საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების მიერ. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი ბ. კუფტინი, გ. მჭედლიშვილი, ლ. სკლიფასოვსკი, ო. ბენდუქიძე, ა. კუფტინი.

ანგარიში გამოქვეყნებულია წიგნში «Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе».

**კუმბი** – ყორღანი XLVI «მწვანე ყორღანი». წალკის რ-ნი. მდებარეობს სოფლიდან სამხრეთით. ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1947:დნ; Жоржикашвили, Гогодзе 1974:13]

**კუმბი** – ყორღანი XV «თოფ-კარი» №2. პატარა. მდებარეობს სოფლის სამხრეთით 1 კმ-ში. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახ. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1947:დნ; Жоржикашвили, Гогодзе 1974:27].



**კუმჩი** – სამაროვანი. მდებარეობს სოფ. კუმჩის სკოლის ჩრდილო-დასავლეთით. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1947:дн; Куфтин :1948:7].

**კუმჩი** – სამაროვანი. მდებარეობს სოფლის სკოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით. გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანის [Куфтин 1947:дн; Куфтин 1948:10].

**კუმჩი** – მეგალითური სახლი «დაშდაში». მდებარეობს ეკოპსარის ფერდთან, სოფელ კუმჩის მაღალმთიან სამოვრებზე [Куфтин 1947:дн].

**ტბა ფარავანი** – ციკლოპური სიმაგრე «ასპარა». წალკის რ-ნი. ტამბოვკიდან 1კმ-ში. აქვეა ყორღანი, რომელზედაც დგას ეკლესია (ეს ცნობა ბ. კუფტინმა გადმოცემით იცოდა) [Куфтин 1947:дн].

**ოზნი** – ნამოსახლარი. წალკის რ-ნი. მდებარეობს სოფლის სამხრეთ ნაწილში. მთა «ნადარ-ხანის» სამხრეთ ფერდზე. ზღვის დონიდან 1800მ. სიმაღლეზე. ადრებრინჯაოს ხანის. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1947:дн; Куфтин 1948:26; Жоржикашвили, Гогадзе 1974:8].

**ოზნი** – ნამოსახლარი. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტერიტორიაზე. ადრებრინჯაოს ხანის (ენეოლითური ფენა). მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1947:дн; Жоржикашвили, Гогадзе 1974:8].

1948 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია ორგანიზებული იყო საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების მიერ. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ ხელმძღვანელი ბ. კუფტინი, ტ. ჩუბინიშვილი, ო. კიროვა, პ. ივანოვი, ა. კუფტინი.

**ავრანლო** – სამაროვანი. წალკის რ-ნი. მდებარეობს სოფლის დასავლეთ ნაწილში [Куфтин 1948:дн].

**ოზნი** – ნამოსახლარი. ჰიდროელექტროსადგურის ტერიტორია. გაგრძელდა სამუშაოები, აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენა. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Жоржикашвили, Гогадзе 1974:8].

**ავრანლო** – სამაროვანი. სარატოვის და ნარილოვის ნაკვეთი [Куфтин 1948:дн].

**ავრანლო** – სამაროვანი. კერელოვის ნაკვეთი [Куфтин 1948:дн].

**საბით-ახჩა** – ყორღანი. წალკის რ-ნი. საბით-ახჩასა და წყარო «კობ-აბურ»-ს შორის. მთა შავნაბადას ქვედა მხარეს გზასთან [Куфтин 1948:дн].

**ოზნი** – ციკლოპური სიმაგრე. მდებარეობს მთის წვერზე, დანგრეული [Куфтин 1948:дн].

**ავრანლო** – ყორღანები. სოფელ კუმჩისკენ მიმავალ გზაზე, სოფლის დასავლეთით კალოსთან [Куфтин 1948:дн].

**კიკეთი** – ყორღანი. გარდაბნის რ-ნი. მდებარეობს პატარა თეთრ დუქანთან [Куфтин 1948:дн].

**კიკეთი** – სამაროვანი. მდებარეობს კოჯრიდან მანგლისისაკენ მიმავალ გზაზე. ადრებრინჯაოს ხანის. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1948:дн].

**ავრანლო** – ყორღანი. პატარა «კუჩუკ-თეფე». მდებარეობს სოფელ ავრანლოს მინდვრებზე (გათხრის შედეგად დადგინდა, რომ ყორღანი არ იყო) [Куфтин 1948:дн].

**მთა შავნაბადა** – ყორღანი. მდებარეობს მთა შავნაბადას ძირში. წყარო «კობ-აბურთან» (ბრმა აბური). გამარცული [Куфтин 1948:дн].

**ავრანლო** – ყორღანი. 1941 წელს გათხრილი იყო ადგილობრივი მასწავლებლის მიერ. გამარცული [Куфтин 1948:дн].

**ტაბაწყურის ტბა** – ყორღანი. მდებარეობს უღელტეხილთან. იქვეა სასაზღვრო ქვა «ტიკმა-ტაში» [Куфтин 1948:дн].

**კიუმბატი (ახალი გუმბათი)** – ყორღანი. წალკის რ-ნი. მდებარეობს ეკლესიასთან, სასაფლაოსთან. გამარცული [Куфтин 1948:дн].

**კიუმბატი** – ყორღანი. დიდი ზომის. ამ ადგილს ბერძნულად «დოსია» (სინათლე) ჰქვია. ჰქონდა თხრილი და სამი შერწყმული შემადგენლისაგან შედგებოდა [Куфтин 1948:дн].

**მდ. ქციის ზედა წელი** – ყორღანი. წალკის რ-ნი. ადგილი «ნარიანი» [Куфтин 1948:дн].

**ბეშთაშენი** – ყორღანი. მდებარეობს სოფელ ბეშთაშენის სათიბებზე, თავად ბარათოვის ყოფილ მიწაზე. ბორცვებს შორის ხევში სამლოცველო «მედამ-ავროს» აღმოსავლეთით. სოფ. ახალიკის უკან, ხეობის შუაში, პატარა ტბასთან «პოშტუნ-გოლ» [Куфтин 1948:дн.].

1949-50 წლებში ბ. კუფტინმა ჩაატარა დაზვერვითი სამუშაოები.

**წყალგამყოფი ფხაცა-ყვირილა.** სოფ. წონას გავლით [Куфтин 1974:133].

**ღვანის ნაცარგორა** – გორა ნამოსახლარი. ზნაურის რ-ნი [Куфтин 1974:133].

**ქ. ცხინვალი ქულბაქები** – ნამოსახლარი. სოფ. ოსპრისთან. ჩატარდა გათხრები. გამოვლინდა ენეოლითური ფენა [Куфтин 1974:133].

**ძალინა** – სამაროვანი. ზნაურის რ-ნი [Куфтин 1974:133].

1951 წელს მოეწყო სამარშრუტო არქეოლოგიური ექსპედიცია მდინარეების ლიახვის, ფრონეს, ყვირილის აუზებში და რიონის შუაწელში. ექსპედიცია ორგანიზებული იყო საქართველოს ძეგლთა დაცვის კომიტეტის და ისტორიის ინსტიტუტის მიერ. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი ბ. კუფტინი, ს. ნადიმაშვილი, რესტავრატორ-პრეპარატორი ო. ბენდუქიძე-კიროვა, პ. ივანოვი და ა. კუფტინი. –ანგარიში გამოქვეყნებულია სტატიის სახით Археологическая маршрутная экспедиция в бассейны рек Лиавхи, Проне, Квирили и среднего Риони в 1951 году.

**გუმათი** – მღვიმე. მდებარეობს მდ. რიონის შუაწელზე. სოფელ გუმათიდან სოფელ ბანოჯაში მიმავალი გზის ახლოს. პირველად აღმოაჩინა ადგილობრივმა მხარეთმცოდნემ, სათაფლიის ნაკრძალის დირექტორმა პ. ჭაბუკიანმა 1935 წელს (ეპოქა უცნობია. ეს ადგილი ბ. კუფტინის ხელნაწერში გამოტოვებულია) [Куфтин 1974:141].

**ბანოჯა** – კულტურული ფენა. წყალტუბოს რ-ნი. ადგილი ნაციხვარი. მდებარეობს ბორცვის ძირთან, მთის ფერდების ნაპირებზე. ზედა ფენა – ელინისტური და ადრერკინის, ქვედა ფენა – გვიანბრინჯაოს ხანის [Куфтин 1974:142].

**ბანოჯა** – ქვევრსამარხები. მდებარეობს ბორცვ ნაციხვარის ჩრდილოეთით, სოფლის კოლმეურნეობის ფერმებთან. აღმოჩნდა იმიტირებული კოლხური მონეტები. სამარხი ეკუთვნოდა უფრო მოგვიანო ეპოქას ვიდრე დაბლაგომის სამარხები [Куфтин 1974:144].

**ივანე წმინდა** – სამარხი მდებარეობს სოფლიდან დასავლეთით [Куфтин 1974:145].

**მოდინახე** – სამარხები. მდებარეობს მთის სამხრეთ-დასავლეთ ფერდზე. გვიანელინისტური ხანის [Куфтин 1974:145-146].

**ბჟინევი** – ყორღანი. ჭიათურის რ-ნი [Куфтин 1974:146].

**ღვანი** – ყორღანი ნაცარგორა. მდ. ფრონეს ხეობა. მდებარეობს სოფელ ღვანის და სოფელ გუგუთის მიწების საზღვარზე. შუაბრინჯაოს ხანის [Куфтин 1974:147].

**წუნარი** – ყორღანი. მდ. ფრონეს ხეობა. მდებარეობს ხეობების «დოდოთის» და «ტიტახის» ანუ «ტიტას მიწა» საზღვარზე [Куфтин 1974:149].

**გალუათა** – ყორღანი. მდ. ფრონეს ხეობა. მდებარეობს პატარა შემაღლების ქედზე. ყორღანის შემაღლებაზე მდებარეობს დანგრეული ეკლესია «ძუარა». შუაბრინჯაოს ხანის [Куфтин 1974:149-150].

**ძალინა** – სამაროვანი. ზნაურის რ-ნი. გაგრძელდა სამუშაოები. ძეგლის დასავლეთ უბანზე აღმოჩნდა ენეოლითური ფენა, ხოლო აღმოსავლეთ უბანზე ადრებრინჯაოს ფენა. მასალა ინახება ეროვნულ მუზეუმში [Куфтин 1974:150].

**ქ. ცხინვალი, ქულბაქები** – საკულტო ბორცვი. მდებარეობს სოფელ ოსპრისთან. ადრებრინჯაოს ხანის [Куфтин 1974:152].

### **გათხრების მეთოდის კა**

ყველა ის პუნქტი, სადაც ბორის კუფტინი აწარმოებდა გათხრებს, იმ დროისათვის თითქმის შეუსწავლელი იყო. თრიალეთი უძველესი დროიდან იპყრობდა ყურადღებას თავისი მღვიმური სადგომებით, ობსიდიანის ინდუსტრიით, ციკლოპური სიმარგრებით, ყორღანული ყრილებით, სხვადასხვაგვარი სამარხებით, შუასაუკუნეთა ეპოქის ძეგლებით. ასევე საინტერესოა კოლხეთის დაბლობი, ადრეული სამოსახლოებითა და დოლმენებით,

რომელთა დათარიღების საკითხი საკმაოდ მოიკოჭლებდა. ამდენად ბორის კუფტინის მიერ ჩატარებული სამუშაოები დიდ მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენდა.

თრიალეთში 1936-40 და 1947-48 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად ბორის კუფტინმა შესწავლა 50-მდე ყორღანი. მოპოვებული მასალისა და მუზეუმში დაცული ადრინდელი კოლექციების შესწავლის საფუძველზე მან ყორღანების უფროსი ჯგუფი მიაკუთვნა ადრებრინჯაოს ხანას, ხოლო უმცროსი ჯგუფი შუაბრინჯაოს ხანას ანუ თრიალეთის ყორღანების «აყვავების პერიოდს» [Джапаридзе 1993:248]. შემდგომში ცხადი გახდა, რომ თრიალეთის ყორღანები ბევრ იმდაგვარ ინფორმაციას შეიცავს, რასაც ადრე ყურადღება არ ექცეოდა, მაგალითად ყრილები, სარიტუალო გზები და სხვ. ბორის კუფტინის სავლედღიურებში ასახულია ბევრი ისეთი ცნობა, რომელიც საინტერესო იქნება ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის. გარკვეულ ინტერესს იწვევს აგრეთვე ის მეთოდოლოგია, რომელსაც ბორის კუფტინი იყენებდა გათხრების დროს, იმ ექსტრემალურ პირობებში, რომელიც განპირობებული იყო მშენებლობის ტერიტორიაზე მუშაობით. ამდენად, ვფიქრობთ საინტერესოა ზოგადად მიმოვიხილოთ ამ საკითხთან დაკავშირებული ადრინდელი მდგომარეობა და აღვადგინოთ თრიალეთის ყორღანების შესწავლის ისტორიის ერთი ნაწილის სურათი.

საქართველოში ყორღანულ სამარხებს ჯერ კიდევ 1837 წელს მიაქციეს ყურადღება. საქართველოს სტატისტიკური კომიტეტის მიერ შექმნილი იყო ისტორიული ძეგლების აღრიცხვა-დაცვისათვის სპეციალური ინსტრუქცია-მითითება, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ყორღანებისა და მსგავსი სიძველეების გამოვლენა-აღნუსხვაზე იყო გამახვილებული [გამყრელიძე 1996:3]. თრიალეთისადმი უდიდესი ყურადღება გამოიჩინა ექვთიმე თაყაიშვილმა. მან 1896 წელს ბორჩალოს მაზრის, თრიალეთის საბოქაულოს (კერძოდ წალკის) რამდენიმე სოფელში გათხარა ქვის სამარხები. ე. თაყაიშვილს სოფ. წინწყაროსთან, მითითებული აქვს წალკის ყორღანებს შორის ყველაზე დიდი ყორღანი, რომელიც შემდგომ ბორის კუფტინმა გათხარა და ცნობილი გახდა «კარანტინის» სახელით. ეს ყორღანი უფრო ადრე აღნიშნულია ვ. წილოსანის რუკაზე, რომელიც ერთვის ა. კომაროვის 1882 წლის მიმოხილვას [Куфтин 1936:дн.]. როგორც გიორგი ლომთათიძე წერდა, ბორის კუფტინი წალკისკენ გარკვეული თვალსაზრისით სწორედ ექვთიმე თაყაიშვილის ნამუშევარმა და ნააზრევმა მიიზიდა [ლომთათიძე 1990:46-47].

წალკაში ჩატარებულმა ცალკეულმა გათხრებმა (ა. იაკიმოვი, ა. გრენი, ა. კომაროვი) მნიშვნელოვანი კვალი მაინც ვერ დატოვეს, თუ არ ჩავთვლით დ. ერმაკოვის ფოტოებს. თვით გათხრილი მასალა თითქმის არ მოხვედრილა თბილისის მუზეუმში, გარდა ობსიდიანის იარაღების სახეობებისა, ხოლო მასალის ნაწილი შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე სხვა ინვენტარის კატალოგში აღმოჩნდა ჩაწერილი (იხ. ლალიანის საინვენტარო კოლექცია)[Куфтин 1936:дн.].

ექსპედიცია, რომელსაც ბორის კუფტინი ხელმძღვანელობდა სამუშაოებს ატარებდა ხრამჭესის მშენებლობის ტერიტორიაზე, სადაც უნდა შექმნილიყო ხელოვნური ტბა. ამის გამო აქ აუცილებელი იყო უძველესი კულტურის ძეგლების შესწავლა. ექსპედიციას აფინანსებდა ხრამჭესის ადმინისტრაცია და ძეგლთა დაცვის კომიტეტი. მუშაობის პერიოდში არსებობდა ხელისშემშლელი მიზეზები. უპირველეს ყოვლისა საქმეს ართულებდა ის გარემოება, რომ ექსპედიცია უნდა შემოფარგულიყო მხოლოდ ვიწრო დასატბორი ტერიტორიით, რაც მის საზღვრებს გარეთ გასვლის და დაკვირვების საშუალებას არ იძლეოდა. გარდა ამისა, გათხრები უნდა ჩატარებულიყო სწრაფად, განსაზღვრული დროის განმავლობაში. სეზონი, რომელშიც მუშაობდნენ, ხშირად დაგვიანებული იყო (აგვისტო-ოქტომბერი; ივლისი-ნოემბერი). ამ პერიოდში წალკის კლიმატი ძალიან ცივია და ისინი ხშირად წვიმაში და თოვლში მუშაობდნენ. ექსპედიცია დაბანაკებული იყო სოფ. ბარმაქსიში. ხრამჭესის ადმინისტრაციამ მათ ობიექტებზე სასიარულოდ ფაეტონი გადასცა, ხოლო თვით ბორის კუფტინს ცხენი, მაგრამ ადმინისტრაცია ხშირად არ ასრულებდა ხელშეკრულების პირობებს, ხშირად უგვიანებდა მუშების დასაქირავებელ თანხას. ამის

გამო ექსპედიცია მუშახელისა და ფულის ნაკლებობას განიცდიდა. ბორის კუფტინი აგზავნიდა დეპეშებს ძეგლთა დაცვის კომიტეტში, მაგრამ არანაირ რეაგირებას ადგილი არ ჰქონდა. გარდა ამისა ადგილობრივი კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ხშირად იგნორირებას უკეთებდნენ მოთხოვნებს მუშახელის გამოყოფის თაობაზე. ამის გამო ექსპედიცია იძულებული იყო ზოგჯერ მხოლოდ დაზვერვები ეწარმოებინა. ხანდახან ბორის კუფტინი სამუშაოს შესასრულებლად საკუთარ და თანამშრომელთა ხელფასს ხარჯავდა [Куфтин 1936:дн.]. სამუშაოები მიმდინარეობდა ერთდროულად რამოდენიმე უბანზე: ყორღანებზე, მღვიმეებში, ითხრებოდა სამარხები. იმის გამო, რომ ბორის კუფტინი ზოგჯერ ავადმყოფობდა (1936 წელს მღვიმეში ფეხი დაიზიანა; 1937 წელს თირკმელების ტკივილის გამო მხოლოდ 15 სექტემბერს მოახერხა წალკაში ჩასვლა), სამუშაოების წარმოება გარკვეულ პერიოდში მ. ივანჩენკოს ჰქონდა მინდობილი და გათხრების ფოტოგრაფირება და ჩახატვა თითქმის არ ხდებოდა. 1937 წელს მ. ივანჩენკოს მიერ გათხრილი «კარანტინისა» და «კორუბ-ტაშის» საველე დოკუმენტაციაში ნეგატივების მხოლოდ 24 კადრი აღმოჩნდა. ამასთან, მხოლოდ გათხრების პროცესი იყო გადაღებული. გათხრების დეტალები, ჭრილები, არტეფაქტები, ნიადაგი, საერთოდ არ იყო ფიქსირებული. «კარანტინიდან» მხოლოდ 3 სამარხი და 1 სამარხი ფილა იყო გადაღებული, ხოლო «კორუბ-ტაშზე» მხოლოდ ერთი კადრი. ბორის კუფტინის სიტყვით, ფოტოგრაფი მიზნობრივად არ იყო გამოყენებული და საინტერესო ძეგლები ჩახატვის და ფიქსაციის გარეშე დარჩა [Куфтин 1936:дн.]. შემდგომში იგი თვითონ აწარმოებდა ჩახატვას და ფიქსაციას.

გათხრების ექსტრემალურ პირობებში წარმოების გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ ყორღანის ორმოს ადგილმდებარეობა ადვილი ამოსაცნობი არ იყო, (რადგან ხშირად იგი «ექსცენტრულად» მდებარეობდა ყრილთან მიმართებაში) [Куфтин 1941:79], ბორის კუფტინი ყორღანების გათხრისას ერთ რომელიმე კონკრეტულ მეთოდს არასდროს მიმართავდა. დასაკრძალავი კამერის აღმოსაჩენად იგი ზოგჯერ ყორღანის ცენტრალურ ნაწილში ავლებდა თხრილს, ხან კვადრატების ჭადრაკულად ამოღების მეთოდს იყენებდა (კვადრატს იგი სიმბოლურად უწოდებდა, რადგან გათხრილ ფართობს ხშირად მართკუთხედის, რომლის ან სიგრძივი ფორმა ქონდა, იმის მიხედვით თუ მოედნის რა ნაწილი და ფართი სჭირდებოდა სამუშაოდ), ხან კი მთელი ყორღანის ტერიტორიაზე თხრიდა შურფებს და მათ შიგნით ეტაპობრივად ფენების მოხსნით ღრმავდებოდა [აბულაშვილი 2001:97]. ფენის მოხსნა ხდებოდა განსაზღვრულ დონემდე, ქვის ზომის ან ნიადაგის შემადგენელი შრეების და ფერის მიხედვით. მცირე ზომის ყორღანების გათხრისას (მაგ. «ქუჩუკ-თეფე», მისი სიმაღლეა 1მ-ია), იგი უპირატესობას ყორღანის ცენტრალურ ნაწილში ყრილის ფენებად მოხსნას ანიჭებდა და უკეთეს მეთოდად ჯვარედინად გათხრის მეთოდს მიიჩნევდა, რაც ყრილის მთლიანად შესწავლის საშუალებას იძლევა.

ზოგადად ყორღანების გათხრის ბორის კუფტინისეულ მეთოდს ჩვენ ვხედავთ «ბეიუკ-თეფე», შეფიაკი №2 (XV) (ტაბ. XII) და შეფიაკი №4 (XVII) (ტაბ. XI) ყორღანების გათხრის მაგალითზე.

ყორღანი «ბეიუკ-თეფე» მდებარეობს სოფელ სანთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 2-2,5კმ-ის დაშორებით. ყორღანი გეგმაში ოვალურია, მისი უდიდესი დიამეტრი 65მ-ს აღწევს და მიმართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, უმცირესი დიამეტრი 40მ-ია, ხოლო სიმაღლე 4მ. ამ ყორღანის გათხრა ბორის კუფტინს თავდაპირველად შემდეგნაირად წარმოედგინა: ყორღანის სამხრეთი მხრიდან ჩრდილოეთის მიმართულებით უნდა გაჭრილიყო 20მ. სიგანის თხრილი. ეს სამუშაო მოითხოვდა 100 შრომადღეს, ამიტომ არჩეულ იქნა დასაკრძალავი კამერის გამოვლენის სხვა მეთოდი. თავდაპირველად მოხდა ყორღანის აზომვა, ფოტოგრაფირება, აღწერა [Куфтин 1936:дн.]. ყრილის სტრუქტურის გამოსარკვევად, ყორღანის აღმოსავლეთ ფერდობზე გაიჭრა 16მ. სიგრძის სადაზვერვო თხრილი, სამხრეთის მიმართულებით. თხრილმა ცხადყო, რომ ყორღანი აგებული იყო რიყის ქვებისაგან, რომლის ქვეშაც ალაგ-ალაგ შავმიწანიადაგიანი ფენა ჩანდა. თხრილში არანაირი არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩნდა. ვერტიკალურ ჭრილზე დაკვირვების მიზნით და იმისათვის, რომ უფ-

რო მყარად დაფიქსირებულიყო ყრილის საზღვრები, არსებული თხრილი გაგრძელებული იქნა სამხრეთის მიმართულებით და ასევე დაღრმავდა დედაქანში.

სადაზვერვო თხრილის მთლიანმა სიგრძემ 33მ. შეადგინა. რის შედეგადაც დადგინდა, რომ თხრილის ჩრდილოეთი საზღვრიდან ქვის ყრილი ვრცელდებოდა 17მ. სიგრძეზე, შემდეგ იწყებოდა შავმიწანიადაგი, რომელიც გადადიოდა ყვითელ თიხაში. იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ნამდვილად ყორღანი იყო, ყორღანის შიგნით მდებარე საცდელი თხრილის გასწვრივ გაკეთდა სამი შურფი, რომელმაც რიყის ქვყრილის ქვეშ ისეთივე შავმიწანიადაგი გამოავლინა, როგორც ყორღანის გარეთ იყო. ვინაიდან სადაზვერვო თხრილმა არქეოლოგიური მასალა არ გამოავლინა ბორის კუფტინმა სხვა ხერხს მიმართა, კერძოდ ყორღანის სამხრეთიდან ცენტრისაკენ დედაქანის დონემდე გაავლო 10მ-ის სიგანის თხრილი [აბულაშვილი 2001:98]. გათხრის ასეთი მეთოდი ეკონომიური და ეფექტური იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ დასაკრძალავი კამერა ყორღანის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდებოდა, ხოლო თუ იგი იქ არ გამოვლინდებოდა, მაშინ ასეთივე სიგანის თხრილი გაიჭრებოდა ცენტრიდან აღმოსავლეთის და დასავლეთის მიმართულებით.

იმის გამო, რომ ყორღანის აღმოსავლეთი ნაწილი დასავლეთ ნაწილთან შედარებით უფრო მაღალი იყო და უმაღლესი წერტილი გეომეტრიული ცენტრის აღმოსავლეთით მდებარეობდა, თხრილის გაჭრა ისე გადაწყდა, რომ მისი ფართობის დიდი ნაწილი ცენტრიდან აღმოსავლეთით მოხვედრილიყო. გავლებული თხრილის სიგრძე ყორღანის სამხრეთის მიმართულებით 37,5მ-ს შეადგენდა. თხრილის აღმოსავლეთი კიდე ყორღანის ღერძიდან 8მ-ით იყო დაშორებული, ხოლო დასავლეთი კიდე 2მ-ით. თხრილის უკანა ნაწილის სიმაღლე 3,5მ-ს აღწევდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით ყრილის სიმაღლე 2,5მ-ს, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით 2,45მ-ს შეადგენდა. თვით ჭრილი, ბორის კუფტინის სიტყვებით თუ ვიტყვით, საკმაოდ იმპოზანტურად გამოიყურებოდა. მის გვერდითა კედლებზე მშვენივრად ჩანდა პროფილი და ყრილის აღნაგობა. იგი საკმაოდ დიდი ზომის ქვებისაგან შედგებოდა, რომელთა შორის სიცარიელე იკვეთებოდა. მიწაყრილის გავლის შემდეგ გამოჩნდა ორმოს კიდე. იგი დედაქანის დონიდან 1,2მ-ზე გამოვლინდა. მთელი სივრცის ფართობი ორმოს ზედაპირთან 100 კვმ-ს შეადგენდა. ორმოს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წაგრძელებული ფორმა ჰქონდა. ეკონომიური თვალსაზრისით სივრცის განთავისუფლება დაიწყო ჩრდილოეთიდან 1,5 მეტრ სიღრმეზე. ორმო შრეების მოხსნით გასუფთავდა. ქვის ფენის ქვეშ თიხის ფენა სიგანეში 5-6მ-ს, ხოლო სიმაღლეში 1მ-ს აღწევდა. ამ ფენის ალების შემდეგ ორმო გასუფთავდა [Абулашвили 2008:177].

ორმოს სიგრძე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დედაქანის დონეზე 10მ. იყო, ფსკერთან 7მ., სიგანე დედაქანის დონიდან 6,5მ., ფსკერთან 2,5მ., სიღრმე დედაქანის დონიდან 2მ. [Куфтин 1936:дн; Жоржикашвили, Гогадзе 1974:14].

შეფიაკის №2 (XV) ყორღანი «გორდჟეგელენ გონი» (აქ მცხოვრები გლეხის სახელი), მდებარეობს სოფ. შეფიაკის მახლობლად. ყორღანს ოთხკუთხა ფორმა ჰქონდა, მომრგვალებული კუთხეებით [Куфтин 1941:80]. მისი სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთით 45მ-ს შეადგენდა, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთით 35მ-ს. ცენტრალური ნაწილი ჩაღრმავებული ჰქონდა, ჩრდილოეთი, სამხრეთი და დასავლეთი კიდეები – ამაღლებული, რომლებიც პატარა მიწაყრილებს – ლილვაკებს ქმნიდნენ. აღმოსავლეთ ნაწილში ასეთი მიწაყრილი არ შეიმჩნეოდა. ჩრდილოეთი მიწაყრილი სამხრეთთან შედარებით უფრო მაღალი იყო. ყველაზე მაღალი წერტილი ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდებარეობდა.

ამ თავისებური ყრილის შესასწავლად ბორის კუფტინმა განივი ჭრილის გავლება გადაწყვიტა. ყორღანის დასავლეთ ნაწილში 1,3მ. ფართობზე გაიჭრა 15მ. სიგრძის და 3მ. სიგანის თხრილი, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ იყო მიმართული. თხრილი თავდაპირველად 5 კვადრატად დაიყო. ყრილი შედგებოდა პატარა რიყის ქვებისაგან, რომელთა ქვეშ 0,70მ. სიღრმეზე კირქვის ღორღი ჩანდა. პირველად გაითხარა მე-2 და მე-4 კვადრატი. კვადრატებში 0,50-0,70მ-ზე მოხდა ფენის მოხსნა და სამხრეთით გაფართოვდა. მთლიანი თხრილი გაგრძელდა როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით 0,40-0,50მ-ზე ფენის

მოხსნით. ამის შემდეგ თხრილი დაიყო 9 კვადრატად. თიხის ფენის ქვეშ, შავმიწანიადაგიანი ფენის აღმოსაჩენად მე-9 კვადრატში 2,1მ-ზე მოხდა დაღრმავება [აბულაშვილი 2001:99]. 1 კვადრატში ფსკერზე თიხის ფენა 0,55მ-ს შეადგენდა. მე-3 კვადრატში 2,8მ-ზე შავმიწანიადაგიანი ფენის ქვეშ თიხის ფენა აღმოჩნდა. მე-9, მე-8, მე-7, მე-6 და მე-5 კვადრატებში 0,90მ-ზე ჩაღრმავდნენ. ორმოს აღმოსავლეთი საზღვრის დასადგენად, მე-5 კვადრატის გასწვრივ გვერდიგვერდ დაემატა A და B კვადრატი და მოხდა მათი დაღრმავება ძირითადი თხრილის დონემდე. მთლიანად თხრილის ცენტრალური ნაწილი 1,5მ-დე დაღრმავდა. დაემატა B, G, D, I, K, L, M, N, კვადრატები, რომლებიც 2მ-დე დაღრმავდა. მთელი ორმოს გასუფთავება მოხდა 2,2მ. სიღრმეზე. თხრილმა გადაკვეთა ორმო, რომლის დიამეტრი 12მ-ს აღწევდა. ორმოს სიგრძე დედაქანის დონეზე 17მ-ს აღწევდა, სიგანე - 11მ-ს. ფსკერთან სიგრძე 11მ., ხოლო სიგანე 6მ. იყო. ორმოს ოვალური ფორმა ჰქონდა [Куфтин 1938:дн; Жоржикашвили, Гогодзе 1974: 20].

შეფიაკის №4 (XVII) ყორღანი «ხაშაბკოლელი გონც», მდებარეობს სოფელ შეფიაკიდან ჩრდილო-დასავლეთით 1,2კმ-ზე. ყორღანი საკმაოდ დიდი ზომისა იყო და ოვალური ფორმა ჰქონდა. მისი სიგრძე 45მ-ს შეადგენდა, ხოლო სიგანე 37მ-ს. ყრილის აღება დაიწყო ყორღანის სამხრეთით მდებარე წაგრძელებული ოთხკუთხედის (12X3მ.) ფართობზე. აქ ბორის კუფტინმა გათხრის ჭადრაკული მეთოდი გამოიყენა. მთელი ფართობი დაყო 14 კვადრატად. პირველად გაითხარა მე-2 და მე-4 კვადრატები 0,80მ. სიღრმეზე [აბულაშვილი 2001:99]. 1 კვადრატში ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში 0,80მ. სიღრმეზე თიხის ფენა გამოჩნდა. გაითხარა მე-6 კვადრატი, რომელიც მე-3 და მე-10 კვადრატებს შორის მდებარეობდა, აქ 0,80მ. სიღრმეზე თიხის ნატეხები აღმოჩნდა. ხდებოდა მე-12 და მე-14, აგრეთვე მე-3, მე-5 და მე-7 კვადრატების გათხრა. ყრილი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: კორდოვანი ფენის ქვეშ 0,20მ. სიღრმეზე შავმიწანიადაგიანი ფენა მოდიოდა 0,60მ. სიდიდის ქვებით, შემდეგ 0,40მ. სისქის თიხის ფენა, ბოლოს კი დედაქანის შავმიწანიადაგი [Абулашвили 2008:177]. მოხდა მთელი ფართობის გათანაბრება, 2მ. სიღრმეზე ჩაღრმავება. დედაქანის დონიდან 0,80მ. სიღრმეზე მომრგვალდა ცენტრალური მოედანი და დადგინდა ორმოს კიდეები. ორმო დაღრმავდა 0,60-0,70მ-ზე. დასაკრძალავი კამერა დედაქანის დონიდან 0,8მ-ზე მდებარეობდა. ორმოს ჰქონდა ოვალური ფორმა, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ იყო ორიენტირებული. მისი სიგრძე დედაქანის დონეზე 15მ. შეადგენდა, სიგანე 11მ., ფსკერზე სიგრძე 13,5მ. იყო, სიგანე - 10,5მ., სიღრმე ორმოს ზედაპირიდან - 5-5,5მ. [Куфтин 1938:дн; Куфтин 1941:79; Жоржикашвили, Гогодзе 1974:21]. იქ, სადაც ჭრილი არანაირ არქეოლოგიურ მასალას არ იძლეოდა ბორის კუფტინი წყვეტდა მუშაობას და დროის სიმცირის გამო ამ ყორღანების შესწავლას არ აგრძელებდა.

## ბორის კუფტინის სამუზეუმო მოღვაწეობა

ბორის კუფტინი დიდ დროს უთმობდა მუზეუმის ფონდებში დაცული მასალების შესწავლას. სხვადასხვა წლებში ის აქტიურად მუშაობდა საქართველოსა და მსოფლიოს უდიდეს მუზეუმებში – ბრიტანეთის, სტოკჰოლმის, ანკარის, თეირანის, ვენის, მოსკოვის, ლენინგრადის, ერევნის, ბაქოს, ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, ბორჯომის, გორის, ცხინვალის მუზეუმებში. ხანგძლივმა მუშაობის გამოცდილებამ დიდი დახმარება გაუწია მას შემდგომში არქეოლოგიური გამოფენების მომზადებისა და მოწყობის საქმეში.

1933 წელს იგი აქტიურად ჩაება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული არქეოლოგიური მასალის შესწავლისა და სისტემატიზაციის საქმეში. ბორის კუფტინი წერდა: «1933 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის და მხარეთმცოდნეობის მუზეუმების არქეოლოგიური მასალების კომპლექსების შესწავლამ, საშუალება მომცა გარკვეულ წილად, გამომეყო უძველესი პლასტები და გამემიჯნა ისინი შედარებით მოგვიანო და გვიანი ფენებისაგან» [Куптин 1941:13]. მანამდე მეცნიერულად გამოუკვლეველი სამუზეუმო ფონდების შესწავლის საფუძველზე მან შეძლო 1934 და 1941 წლებში მოეწყო არქეოლოგიური გამოფენები, რომლებიც ისტორიული პრინციპების საფუძველზე იყო აგებული.

ექსპოზიციის მოწყობა საზოგადოდ განსაკუთრებულ სიფაქიზეს მოითხოვს, მას ძირითადად სამი პირობა განსაზღვრავს: პოლიტიკური სიტუაცია, არსებული მასალა და საზოგადოების დაკვეთა, ამასთან გასათვალისწინებელია ორი მნიშვნელოვანი მომენტი; საგამოფენო მასალის მეცნიერული დამუშავება ანუ თემატური გეგმის შედგენა და მხატვრული სახის, მისი გამომხატველობითი ფორმის კონცეფციის დამუშავება.

ყოველი ეპოქა თავისებურ გავლენას ახდენს ფაქტებზე, ამიტომ მეტად საინტერესოა ამა თუ იმ პერიოდში როგორ კეთდებოდა ექსპოზიციები, რა იდეურ-პოლიტიკური და მეცნიერული დატვირთვა ჰქონდათ მათ. თვალს თუ გავადევნებთ სამუზეუმო საქმიანობის ისტორიას ვნახავთ, რომ იგი მართალია სტიქიური თვითდინებით, მაგრამ მაინც ადრეული პერიოდიდან იჩენს თავს. მუზეუმების, როგორც თავისებური ინსტიტუტების არსებობა შეიძლება უძველესი დროიდან ვივარაუდოთ, როდესაც ბუნებიდან ან საზოგადოებრივი ცხოვრებიდან აღებულ ნივთებს ინახავდნენ როგორც მემორიალურს, რელიკვიურს, ან ესთეტიკურად მნიშვნელოვანს. ღირსახსოვარი და მნიშვნელოვანი მოვლენების ამსახველი საგნები პირველყოვლისა ამკობდნენ ძველ სასახლეებს და ტაძრებს. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მნიშვნელოვან სიძველეთსაცავებად იქცნენ ეკლესია-მონასტრები. ცნობების მიხედვით, მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩენილ სამარხეულ ან სხვა ნივთებს ასევე ბუნებიდან აღებულ სხვა საოცრებებს, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესის წყაროს წარმოადგენდნენ ინახავდნენ სამეფო სალაროში [ჭილაშვილი 1984:33].

საქართველოში სამუზეუმო დაწესებულებების მშენებლობის აუცილებლობა დღის წესრიგში XIX საუკუნის მეორე ნახევარში დადგა. მართალია, მანამდე ხდებოდა კავკასიის სიძველეთა მასალების შეგროვება, ითხრებოდა ძეგლები, ქვეყნდებოდა მოკლე ცნობები აღმოჩენების შესახებ, მაგრამ კოლექციების შესახებ არადაამაკმაყოფილებელი დოკუმენტაციის არსებობის გამო, მათი მეცნიერული ღირებულება არასრულყოფილი იყო. გარდა ამისა, ამ მასალების მოვლა-პატრონობა ძირითადად არაპროფესიონალების ხელში იყო და კავკასიიდან მომდინარე მასალებით მდიდრდებოდა სხვადასხვა მუზეუმები როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ხოლო ის მასალები, რომლებიც საქართველოში რჩებოდა, სხვადასხვა ადგილას იყო გაფანტული და მიუწვდომელი მეცნიერული შესწავლისათვის. სწორედ ამიტომ, 1852 წელს თბილისში რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიურ განყოფილებასთან დაარსდა მუზეუმი, რომელიც პირველი იყო კავკასიაში [გამყრელიძე 1996:6-7]. 1855 წლის 19 სექტემბერს ჭავჭავაძისა და საკომენდანტო ქუჩების კუთხეში ამ მუზეუმმა ფართო საზოგადოებისათვის მოაწყო პირველი გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო შემოწირულობების გზით შემოსული არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ბოტანიკური და

ზოოლოგიური მასალები. სწორედ ამ კოლექციებმა დაუდეს საფუძველი სამუზეუმო ფონდებს და დიდი მნიშვნელობა შეიძინეს, როგორც მუზეუმში შემოსულმა პირველმა ექსპონატებმა [ბოლქვაძე 1974:154]. 1856 წელს დიდუბეში გაიხსნა «ნატურალისტ ბაიერნის კაბინეტის» კოლექციების გამოფენა. ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო გეოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური მასალები [ჩხაიძე 2003:44]. დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო 1865 წელს თბილისში სერგეევის ქუჩაზე (მაჩაბლის ქუჩა) კერძო სახლის სამ ოთახში კავკასიის მუზეუმის გახსნა. მუზეუმის დამაარსებელი იყო გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი პლატონ იოსელიანი [გამყრელიძე 1991:17], მისი ხელმძღვანელი კი გუსტავ ივანეს ძე რადე, ეროვნებით გერმანელი ქ. ლაიფციგიდან, პროფესიით ბუნებისმეტყველი და ეთნოგრაფი. მუზეუმის შექმნა მიზნად ისახავდა კავკასიაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მასალების შეგროვებას, მათ ფონდებში მოთავსებას, გამოფენას და შესწავლას [ჩხაიძე 2003:56], ეს როგორც ჩანს, ემსახურებოდა რუსეთის ხელისუფლების ამოცანას შეესწავლათ და თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ კავკასიაში არსებული ბუნებრივი და ადამიანური რესურსები.

1867 წლის 2 იანვარს, კავკასიის მუზეუმი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა, სადაც ნაჩვენები იყო გეოლოგიური, ბოტანიკური, ზოოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები. ეთნოგრაფიული და ისტორიული შინაარსის მასალები მოთავსებული იყო პირველ დარბაზში, კერძოდ კი შემთხვევით ნაპოვნი, ანდა ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი არქეოლოგიური ნივთები: ქვის ხელცულები, ხელსაფქვავეები, ბრინჯაოს პატარა ფიგურები, რკინის ისრისპირები, ანტიკური ხანის ნივთები, მდიდრული სამკაულები. აქვე იდგნენ მხატვარ ლ. გეიზერის მიერ პეტერბურგში დამზადებული მანეკენები. გამოფენის შესახებ 1867 წლის 5 იანვარს გაზეთი კავკაზი წერდა - «ფართის სივიწროვის გამო სამუზეუმო მასალათა ექსპონირება სისტემატიზაციისა და სამუზეუმო წესების სრული დაცვით ძნელი იყო, ამიტომ ეს უფრო იყო მასალების ჩვენება, ვიდრე თემატური გამოფენა» [раз. Кавказ:1867]. სამუზეუმო მასალათა სისტემატიზაციასა და მეცნიერულ შესწავლაში კავკასიის მუზეუმს დახმარებას უწევდა ბევრი ცნობილი მეცნიერი, კერძოდ არქეოლოგიურ და ნუმისმატიკურ მასალათა გამოკვლევაში მონაწილეობას იღებდნენ - ბროსე, გრიმი, ტიზენჰაუზენი, ივერსენი, ბართოლომეი, ბერჟე, მორგანი, ვირხოვი, ივანოვი და სხვ. [ჩხაიძე 2003:70]. 1870 წლის 13 სექტემბერს გოლოვინის პროსპექტისა და ნიკოლოზის ქუჩის კუთხეში, ახალ შენობაში მოეწყო მუზეუმის სტაციონარული გამოფენა, რომლის მიზანი იყო იმ დროს არსებული სამუზეუმო ხერხებით აესახა კავკასიის ფლორა, ფაუნა და მხარის ეთნოგრაფია. გამოფენას რვა დარბაზი ჰქონდა დათმობილი. მეოთხე დარბაზში ოთხ კარადაში მოთავსებული იყო ამიერკავკასიაში აღმოჩენილი სიძველენი. 1872 წლის მაისში კავკასიის მუზეუმმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვში პეტრე პირველის დაბადების 200 წლისთავისადმი მიძღვნილ დიდ საერთაშორისო პოლიტიკურ გამოფენაზე. კავკასიის მხარე აქ წარმოდგენილი იყო ცალკე პავილიონად. 1136 ექსპონატიდან ჯილდო 118 ნივთმა მიიღო [ჩხაიძე 2003:86]. მუზეუმმა მხარის ამსახველი საბუნებისმეტყველო და ეთნოგრაფიული ექსპონატები ასევე წარმოადგინა 1873 წელს ნოემბერში ვენის საერთაშორისო გამოფენაზე.

1879 წელს თბილისში მოეწყო ახალი გამოფენა, სადაც ექსპონატები სისტემური წესით იყო წარმოდგენილი და უპირატესობა თვალსაჩინოებას ენიჭებოდა. არქეოლოგიური ნივთები ოთხ დარბაზში იყო მოთავსებული. პირველ დარბაზში გამოფენილი იყო ბაიერნის მიერ მცხეთის სამაროვანზე აღმოჩენილი ნივთები, მეორე დარბაზში - კაჟისა და ობსიდიანის ნივთები, ბრინჯაოს სამკაულები, მესამე დარბაზი ყუბანის სიძველეებს ჰქონდა დათმობილი, მეოთხე - ძველ ნივთებს დაღესტნიდან, დიგორიიდან, ოსეთიდან, ხევსურეთიდან [ჩხაიძე 2003:105]. 1881 წლის 8 სექტემბერს თბილისში ჩატარებული არქეოლოგიური ყრილობის მონაწილეთათვის კავკასიის მუზეუმმა მოაწყო ექსპოზიცია, რომელსაც მნიშვნელოვნად გაფართოებული და შევსებული სახე ჰქონდა. მის განკარგულებაში იყო დიდი შენობა 17 საექსპოზიციო დარბაზით. ცალკე დარბაზი ჰქონდა დათმობილი არქეოლოგიას, სადაც მასალები გეოგრაფიული ნიშნით იყო დალაგებული, ოთხი მდინარის:



ყუბანის, თერგის, რიონისა და მტკვრის აუზების მიხედვით. მათ შიგნით კი მასალები წარმოდგენილი იყო აღმოჩენის ადგილების მიხედვით. მათი ქრონოლოგიური რიგით წარმოდგენა, როგორც გ. რადე აღნიშნავდა, შეუძლებელი იყო იმის გამო, რომ მუზეუმს არ ჰყავდა არქეოლოგი [ბოლქვაძე 1974:157-159]. ამ ექსპოზიციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1880 წელს ვანის ნაქალაქარზე «ახვლედიანების გორაზე» აღმოჩენილი მდიდრული სამარხის ინვენტარი, ასევე დებედის ხეობაში სოფ. ვორნაკთან 1871 წელს ნ. მარისა და ა. ერიწოვის მიერ გათხრილი წარმართული სამაროვნის ნივთები. აგრეთვე ჟაკ დე-მორგანის ახტალა-ალავერდის მიდამოებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის ნივთები [ჩხაიძე 2003:107]. ეს გამოფენა 28 წლის განმავლობაში მოქმედებდა მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე, მაგრამ კავკასიის მუზეუმი ძირითადად რუსეთის გარკვეულ დაკვეთებს ასრულებდა და ვერ აკმაყოფილებდა ქართულ ეროვნულ ინტერესებს. ქართველი მოწინავე საზოგადოების – ექვთიმე თაყაიშვილის და სხვა პატრიოტების მიზანი იყო, ქართველი ხალხის ცნობიერებაში არ შენელებულიყო, არ მოსპობილიყო საკუთარი ისტორიის შესწავლის სურვილი, სწორედ ამ მიზნით 1885 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკასთან ექ. თაყაიშვილმა დააარსა პატარა «საარხეოლოგო მუზეუმი», სადაც ხელნაწერებთან ერთად არქეოლოგიურ ნივთებსაც აგროვებდნენ [მუმლაძე 2007:85]. 1888 წელს თბილისში გაიხსნა საეკლესიო მუზეუმი, რომელიც სიონის ტაძართან მდებარეობდა და კავკასიის მუზეუმის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან კოლექციებს განაგებდა. აქ გარდა საეკლესიო ნივთებისა შედიოდა მცხეთაში, გარეჯში, სოხუმში მოპოვებული ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური ნივთები [მუმლაძე 2007:88]. ქართული სიძველეების შეკრებით და დაცვით იყო დაკავებული ქართველი ფოტოგრაფი ალექსანდრე როინაშვილი. მის მუზეუმში («პატარა კავკასიის მუზეუმი»), შედიოდა ძვირფასი ისტორიული და არქეოლოგიური კოლექციები. ეს კოლექციები მან 1887 წლის 8 სექტემბერს ქ. ასტრახანში გამოფინა. გამოფენა ოთხი განყოფილებისაგან შედგებოდა: არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და ნუმიზმატიკური. შემდგომში ეს გამოფენა ნაჩვენები იყო მოსკოვში, სადაც მას დიდი მოწონება ხვდა წილად [ჭილაშვილი 1984:44]. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის სახელმწიფოებში და რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა დროებითი გამოფენები, რომლებიც პერიოდულად ეწყობოდა და ამა თუ იმ დარგის განვითარებას და პოპულარიზაციას ეძღვნებოდა. ამგვარ გამოფენებში საქართველოც დიდი ინტერესით და აქტიურობით იღებდა მონაწილეობას. 1900 წელს პარიზში «ტრანპლეს» სასახლეში მოეწყო ასეთი გამოფენა. საქართველო რუსეთის პავილიონში იყო წარმოდგენილი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ექსპონატებით. ეს ექსპოზიცია დაკომპლექტდა კავკასიის მუზეუმის კოლექციებით. გაგზავნილი ექსპონატებიდან 60-მა მიიღო ჯილდო, მუზეუმის დირექტორი გ. რადე დაჯილდოვდა ოქროს მედლით, ხოლო კონსერვატორ ფ. კენიგს კი ბრინჯაოს მედალი მიენიჭა [გაზ. კვალი:1900].

ახალი საუკუნის დასაწყისში კავკასიის მუზეუმმა შეწყვიტა აქტიური საექსპოზიციო საქმიანობა, და დახურა თავისი გამოფენები. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი. მუზეუმმა ორჯერ მოახერხა გამოფენის მოწყობა. 1914 წელს თავადაზნაურთა გიმნაზიის შენობაში გაიხსნა ფოტო გამოფენა სადაც ნაჩვენები იყო სამეგრელოსა და გურიაში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები და მხარის ეთნოგრაფიული ყოფა. 1917 წელს იმავე შენობაში ნაჩვენები იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მდებარე ეკლესია-მონასტრებთან აღებული ფრესკების პირები. 1920 წელს მოეწყო ქართული ხუროთმოძღვრული ნიმუშების გამოფენა, რომელიც უმთავრესად ექ. თაყაიშვილის მიერ ჩატარებული ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალის საფუძველზე მოეწყო [ჩხაიძე 2003:200]. ექსპოზიციაში ნაჩვენები იყო ქართული ხუროთმოძღვრების განვითარება VII-დან XVIII-მდე.

ამის შემდგომ იწყება ახალი ეტაპი საქართველოს სამუზეუმო ცხოვრებაში. კავკასიის მუზეუმის ბაზაზე, რომელიც თავის ფონდებში 180000 ექსპონატს ითვლიდა, 1919 წლიდან

აღმოცენდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც შემდგომში მსხვილ სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებად იქცა. მის ფონდებში გადავიდა ასევე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ექსპონატებიც. მუზეუმმა დაიწყო თავისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციის – საგამოფენო სამუშაოების შესრულება. 1923 წელს მუზეუმის შენობის ახლადდამთავრებულ კორპუსში მოეწყო ხუროთმოძღვრების ისტორიული გამოფენა, 1927-28 წლებში ზოოლოგიური ექსპოზიცია, 1930 წლის ივლისს-ოქტომბერში გერმანიაში და ავსტრიაში მოეწყო საშუალო საუკუნეების ქართული კულტურის ძეგლების გამოფენა, რომელიც ევროპელებისათვის გასაცნობად წაიღეს უნივერსიტეტის პროფესორებმა გ. ჩუბინაშვილმა და შ. ნუცუბიძემ. გამოფენა გაიხსნა 8 ივლისს ბერლინში. შემდეგ ნაჩვენები იყო: კიოლნში, ლაიფციგში, მიუნხენში, ვენაში. ამ გამოფენის მოწყობის საქმეში დიდი იყო ივანე ჯავახიშვილის წვლილი [ჯორბენაძე 1984:455]. 1931 წელს გაიხსნა ეთნოგრაფიული ექსპოზიცია «ხევსურეთის ეთნოგრაფია», ხოლო 1932 წელს «სვანეთის ეთნოგრაფია». ამავე წელს ისტორიულ-ეთნოგრაფიული განყოფილების მიერ მომზადდა ექსპოზიცია «ქართული ტანსაცმელი» და «ქართული ხელსაქმე».

\* \* \*

მუზეუმი დაცული არქეოლოგიური ფონდების შესწავლის საფუძველზე 1934 წელს ივანე ჯავახიშვილის ხელისშეწყობით, გიორგი ნიორაძის ხელმძღვანელობით და ბორის კუფტინის უშუალო მონაწილეობით პირველად მოეწყო წინაკლასობრივი საზოგადოების ამსახველი გამოფენა. ექსპოზიცია აგებული იყო ქრონოლოგიურ პრინციპზე. მასში არქეოლოგიური მასალები პირველად იყო განლაგებული საზოგადოების სამეურნეო, სოციალური და კულტურული განვითარების ე.ი. თვითონ ისტორიული პროცესის საჩვენებლად. ეს გამოფენა მთელ კავკასიას მოიცავდა, რის საშუალებასაც აქ დაცული კოლექციები იძლეოდა. ამ პერიოდში საბჭოთა სინამდვილე მთავარ პრიორიტეტად სოციალური ცხოვრების და კლასობრივი ბრძოლის ასახვას მიიჩნევდა, ეს ჩანდა ექსპოზიციის დასახელებაში, რომელსაც ეწოდებოდა «Выставка доклассового общества на Кавказе по материалам археологического отдела музея Грузии.» გამოფენა მიზნად ისახავდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული არქეოლოგიური კოლექციების საფუძველზე პროპაგანდა გაეწია მარქსისტულ-ლენინური თეორიისათვის. Цель выставки – служить политико-просветительным задачам и способствовать делу культурной революции и социалистического строительства. რუსულენოვანი თემატური გეგმა, რომელიც ბორის კუფტინმა შეიმუშავა, შედგებოდა განყოფილებებისა და თემებისაგან, სათანადო ექსპონატების ჩვენებით. თითოეულ თემაზე არსებობდა სათანადო სტენდი, ლოზუნგებითა და სათაურებით, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ციტატებით იყო შევსებული. არტეფაქტებთან და ეკოფაქტებთან ერთად წარმოდგენილი იყო დამხმარე მასალებიც – ნახატები, ნახაზები, სქემები რუკები, ტაბულები, რაც ხელს უწყობდა მასალის შემეცნებას, დემონსტრირებას და განმარტებას. თემებს წინ უსწრებდა წამყვანი, ძირითადი და სათაური ტექსტები.

გამოფენა სამ ძირითად ნაწილად დაიყო – ქვის ხანა, ბრინჯაოს ხანა და რკინის ხანა [ჯავახიშვილი 1989:63]. გეგმა გათვალისწინებული იყო ორი დარბაზისათვის. პირველ დარბაზში გამოფენილი მასალა წარმოაჩენდა წინაგვაროვნულ კომუნას და შედგებოდა ოთხი თემისაგან. ეს განყოფილება მთლიანად გ. ნიორაძის მიერ მოპოვებულ და შესწავლილ ახალ მასალაზე იყო დაფუძნებული [ჯავახიშვილი 1989:64]. პირველ დარბაზში, ვრცელ სივრცეში მოთავსებულ მინის დიდ ვიტრინებში არქეოლოგიური ნივთები სიმეტრიულად იყო განაწილებული. აქ გამოფენილი იყო ქვის იარაღები, განმარბებული ცხოველების ნაშთები, ფერწერული პანოები ქვის ხანის ადამიანის ნადირობის სცენებით, ლაკონური წარწერები, «დევისხვრელის» მაკეტი შესასვლელთან ხვლიკზე მონადირე ბიჭით, ვასილ ვატაგინის ნახატებში გაცოცხლებული ფაუნა. აქვე იყო გვარჯილას კლდის მასალაც. მეორე დარბაზში გამოფენილი მასალა ასახავდა გვაროვნულ კომუნას, შედგებოდა თოთხმეტი თემისაგან და ძირითადად მუზეუმში არსებულ საფონდო კოლექციებს ემყარებოდა

[აბულაშვილი 2002:93]. გამოფენილი იყო ცალკეული ნივთები და კომპლექსები სამთავროდან, ყოზანიდან, ეშერიდან, ნახიჩევანიდან, კუმჩიდან, ყაზბეგის განძიდან, ყარაბახიდან და სხვ. დარბაზის ცენტრში მოთავსებული იყო მიწიანად ამოჭრილი ზემო ავჭალის სამარხი.

მთლიანად გეგმის ნაბეჭდი ტექსტი, რომელიც ინახება ეროვნულ მუზეუმის არქივში, შედგება 26 გვერდისაგან და ბორის კუფტინის ხელით შესრულებული 18 ჩანახატისაგან. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ექსპოზიციის მხატვრულ გაფორმებას, რომელიც ნაწილობრივ აგრძელებდა ძველ ტრადიციებს (დიორამა) და ამავე დროს შეიცავდა ახალ ელემენტებს. მხატვრებად მოწვეულნი იყვნენ: პროფ. ი. შარლემანი, ცნობილი ანიმალისტი ვ. ვატაგინი და დ. ციციშვილი. სპეციალურად ამ ექსპოზიციისათვის უმდიდრესი არქეოლოგიური მასალის ბაზაზე, პირველად იყო ათვისებული კერამიკის შეწებების და რესტავრაციის მეთოდები, რამაც გარკვეულწილად საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში რესტავრაციის განყოფილების შექმნას [აფაქიძე 1940].

ბორის კუფტინის მიერ შემუშავებულ ექსპოზიციის გეგმას მაღალი შეფასება მისცა ივ. ჯავახიშვილმა, თუმცა ამასთანავე გარკვეული შენიშვნები და დამატებებიც გაუკეთა. ივ. ჯავახიშვილი, მაშინ მუზეუმის სწავლული მრჩეველი, ვრცელ 14 გვერდიან წერილში, რომელიც დაწერილია 1934 წლის მარტში და ინახება სახელმწიფო მუზეუმში, მუხლობრივად განიხილავდა წარმოდგენილ გეგმას. იგი იწონებდა მას და აღნიშნავდა, რომ - «სასიამოვნოა მანამდე უსისტემოდ და უქმად მდებარე არქეოლოგიური მასალა, ახლა, რომ სისტემურად, გააზრებულად გამოიფინება და მისაწვდომი გახდება» [ლომთათიძე 1951:12].. შემდეგ ბევრ რამეს ასწორებდა და დამატებითი მოსაზრება-ცნობებით აძლიერებდა. იგი იწუნებდა არქეოლოგიური ნაშთების სადაურობის აღნიშვნას თანამედროვე პოლიტიკურ-ეროვნული სახელებით («სომხეთი», «აფხაზეთი», «ყარაბაღი», და სხვ.) და აცხადებდა, რომ იმ უძველესი ხანისათვის ასეთი წესი მიზანშეუწონელიცაა და შემცდენელიც. ურჩევდა, წარწერა-განმარტებაში არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენის ადგილმდებარეობა ყოველთვის ზედმიწევნითი გეოგრაფიული სახელით ყოფილიყო ნაჩვენები. იქვე გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ პურეული კულტურის დასაწყისი უფრო ძველია, ვიდრე თუნდაც ქვის, ტალისაგან გაკეთებული ნამგალი. არც იმაში ეთანხმებოდა ავტორს, რომ თითქოს მთიანი სამოვრების საჭიროება ნოყიერი სამოვრების არსებობით აიხსნება და აღნიშნავდა, რომ - «ეს საჭიროება მეცხვარეობის გაჩენისთანავე გაჩნდა, რადგან ცხვარი ვერც სიცხეს უძლებს და ვერც სიცვიეს» [ლომთათიძე 1951:14]. ივ. ჯავახიშვილი იწონებდა «სამარხავების» სხვადასხვა დროის წესის და სახეობის თვალსაჩინოდ, მთელი ინვენტარის შემადგენლობის კომპლექსურად წარმოჩენას, რაც დამთვალეირებელს საშუალებას მისცემდა მაშინდელი ადამიანის ნივთიერი ავლა-დიდება და კულტურის დონე შეძლებისდაგვარად სრულად წარმოედგინა. მიაჩნდა, რომ გამოფენას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს - «ყოველმა მნახველმა უნდა შეიგნოს, რომ ოქრო-ვერცხლის გარდა მეცნიერებისათვის ძვირფასია სამარხავის ყოველი ნივთი, ძვალი, ყოველი წვრილმანი». ეს შენიშვნები ბორის კუფტინს დაეხმარა უფრო სრულყოფილი გეგმა შეემუშავებინა.

შემდგომ წლებში შედარებით დიდი მასშტაბის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად შესაძლებელი გახდა რიგი კარდინალური საკითხის ახლებურად გაშუქება. ამას ხელი შეუწყო ახალმა აღმოჩენებმა თრიალეთში, მცხეთაში. 1941 წლისათვის მუზეუმის ფონდებში უკვე 700000 ექსპონატი ირიცხებოდა [Джавахишвили 1950:111], რაც საშუალებას იძლეოდა მომხდარიყო ქართული კულტურის მდიდარი მემკვიდრეობის პოპულარიზაცია. წინა გამოფენისაგან განსხვავებით, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ მარქსიზმის პროპაგანდას ისახავდა მიზნად, ამ გამოფენის ძირითადი მიზანი საზოგადოებისათვის საქართველოს უძველესი კულტურის გაცნობა იყო.

1941 წელს გაიხსნა არქეოლოგიური გამოფენა «ქართული კულტურის უძველესი კერები - თრიალეთი და მცხეთა», რომელიც ორგანიზებული იყო ისტორიის ინსტიტუტთან ერთად. ექსპოზიცია ასახავდა ქართული კულტურის განვითარების ორ უძველეს პერიოდს,

ბრინჯაოს ხანას - თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვრის საფუძველზე და ანტიკურ ხანას - მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვართა მიხედვით. ამ ექსპოზიციას უდიდესი საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა. აქ ნათლად წარმოგვიდგა საქართველოს ისტორიის მეტ-ნაკლებად ერთიანი სურათი უძველესი დროიდან ა.წ. V-VI საუკუნეებამდე [ბოლქვაძე 1074:167-168].

თრიალეთის განყოფილების საექსპოზიციო გეგმა შეიმუშავა ბორის კუფტინმა. გეგმა 8 ნახეჭდი გვერდისაგან შედგებოდა და ასევე რუსულენოვანი იყო - «Триалети древний культурный очаг Грузии эпохи бронзы». მცხეთის განყოფილების ქართულენოვანი გეგმა კი შემუშავდა სიმონ ჯანაშიას ხელმძღვანელობით. თრიალეთის გეგმა გათვალისწინებული იყო ორი დარბაზისათვის. აქ გამოფენილი იყო ბორის კუფტინის მიერ წალკის რაიონში 1936-1940 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა. საექსპოზიციო ნივთები კარადებში იყო განაწილებული. არსებობდა განმარტებითი ტექსტები და სათაური ტექსტები.

პირველ დარბაზში გამოფენილი იყო ენეოლითური ხანის მასალა ბემთაშენის ნამოსახლარის ქვედა კულტურული ფენიდან და ადრეული ყორღანების მასალა. მეორე დარბაზის ცენტრალურ ნაწილში გამოფენილი მასალა ასახავდა თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურას. კედელზე ვერცხლის თასის საკულტო სცენის და ვერცხლის სარწყულზე ასახული ცხოველების ფოტოები იყო წარმოდგენილი. დარბაზის მარჯვენა მხარე გვიან ბრინჯაოს პერიოდს, ხოლო მარცხენა - რკინის ხანას ასახავდა. ამ ექსპოზიციების მასალების შესწავლისა და დაკვირვების შედეგებმა შემდგომ ასახვა ჰპოვა ბორის კუფტინის შრომებში, თავად ექსპოზიციებმა კი ბრწყინვალედ გაუძღეს დროის გამოცდას და ამასთან, საფუძველი ჩაუყარეს შემდგომში საქართველოში ფართო საექსპოზიციო სამუშაოებს. ამ ექსპოზიციების საშუალებით ბორის კუფტინმა შეძლო ეპოქების შიგნით დაელაგებინა ერთგვაროვანი მასალა და ამით ეჩვენებინა მატერიალურ კულტურაში არსებული განსხვავებები.

### ბორის კუფტინის შრომები

ბორის კუფტინის სამეცნიერო მემკვიდრეობაში, ძირითადად ორი ტიპის შრომები შეიძლება გამოვყოთ: 1. საგაზეთო პუბლიკაციები, რომელთა ძირითად მიზანს არქეოლოგიისაგან შორს მყოფი ადამიანებისათვის არქეოლოგიის პოპულარიზაცია წარმოადგენს. 2. სამეცნიერო შრომები, რომელთა მიზანია წინ წამოსწიოს და გააცნოს სპეციალისტებს მატერიალური კულტურის ძეგლები, უცნობი და ნაკლებად ხელმიწვდომი მასალა, ახალი იდეები.

1940 წელს დაიბეჭდა ბორის კუფტინის სტატია «К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии». ეს იყო 1940 წლის 7 მარტის მოხსენების მოკლე შინაარსი (17 გვერდი), სადაც მოცემულია 1934-40 წლებში ავტორის მიერ, საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდებში ჩატარებული სამუშაოების მოკლე მიმოხილვა. სტატია წარმოადგენს თავისებურ მოკლე გეგმას, კონსპექტს, რომელიც შემდგომში საფუძველად დაედო მის ცნობილ შრომებს.

ავტორმა სტატიაში ნათლად გამოხატა თავისი მიზანი - გამოეკვლია და დაედგინა ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში, ქრონოლოგიურად და სტადიალურად, «ყოზანური» და მისი სინქრონული ძეგლების წინამორბედი ფორმაციების არსებობა.

იმ დროისათვის უცნაურად გამოიყურებოდა ის ფაქტი, რომ ჩრდილოეთი კავკასია, რომელიც უქველად იყო დამოკიდებული ამიერკავკასიაზე და იმ კულტურულ დინებებზე, რომლებიც წინააზიური კერებიდან ამიერკავკასიის გავლით მომდინარეობდა, უმდიდრეს მასალას იძლეოდა ნეოლითიდან მოყოლებული სკვითური საზოგადოების ფორმირებამდე,

ხოლო ამიერკავკასიის მასალა, რომელიც ბევრად წინ უსწრებდა ბერძნულ-რომაულ ხანას, მიჩნეული იყო ყობანური ბრინჯაოს და ვანის სამეფოს ექსპანსიის სინქრონულად. ამას ხელს უწყობდა, ისტორიული გზების მიმართულებების არასწორი გათვალისწინება, გადმონაშთი წარმოდგენები კავკასიაში ლითონის წარმოების ადრეული სტადიების არ არსებობის შესახებ, ვანის სამეფოს ეპოქის წერილობითი წყაროების გადამეტებული როლი კავკასიის არქეოლოგიური მასალის პერიოდიზაციაში. ყოველივე ეს ბადებდა ცრუ შთაბეჭდილებებს და არასწორ ქრონოლოგიას, რაც გამოიხატებოდა გაუბედაობაში, ამიერკავკასიის მთელი რიგი ძეგლები მიეკუთვნებინათ ბრინჯაოს ადრეული ეტაპისათვის [Куфтин 1940:7]. ბორის კუფტინის წინაშე ამ ამოცანის გადაჭრის აუცილებლობა წამოიჭრა 1934 წელს, როდესაც იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდებში ამზადებდა მასალას გამოფენისათვის. უკვე დასაწყისშივე, როდესაც მან დაიწყო მასალის კლასიფიკაცია და სამარხების მიხედვით ინვენტარის განაწილება, აღმოჩნდა მთელი რიგი ნივთები და კომპლექსები – ბაიერნის (სამთავროსა და რედკინის ბანაკში), ანტონოვიჩის (ოსეთში), ჩარკოვსკის (მდ. ზანგზე) გათხრების შედეგად აღმოჩენილი, რომლებიც აუცილებლად მოითხოვდა გადახედულიყო საკითხი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ბრინჯაოს უძველესი ფენების შესახებ. ამ მიზნით, ბორის კუფტინმა შეისწავლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდებში არსებული კომპლექსები, კერძოდ: საჩხერეში – ექ. თაყაიშვილის მიერ 1910 წელს აღმოჩენილი კომპლექსი (თვით კუფტინმა აქ გათხარა 10 სამარხი); აფხაზეთში მ.მ. ივაშჩენკოს მიერ აღმოჩენილი დოლმენების მასალები; ნამოსახლარი ოჩამჩირის პორტმშენის ტერიტორიაზე; დაბლაგომის ნამოსახლარი; წალკაში სხვადასხვა ტიპის არქეოლოგიური ძეგლები. ახალი მონაცემების საფუძველზე მან შეძლო ქრონოლოგიური ადგილი მიეკუთვნებინა ახლადაღმოჩენილი ძეგლებისათვის და მათ საფუძველზე გადაეთარიღებინა ადრე არასწორად დათარიღებული ძეგლები.

**აფხაზეთის დოლმენები** – გამოყო სამი კულტურული ფენა 1. კოლხური მონეტით დათარიღებული. 2. სოფ. რუტხის და თლიის სამაროვნების მსგავსი. 3. დოლმენების მშენებლობის დასაწყისი [Куфтин 1940:12].

**დაბლაგომი** – გამოყო სამი კულტურული ფენა. 1. კოლხურ მონეტით დათარიღებული. 2. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის. 3. უძველესი ტიპის ენეოლითური ფენა [Куфтин 1940:14].

**საჩხერის კომპლექსი** – მიაკუთვნა ადრეული ლითონის ეპოქას (ლითონის ხასიათის მიხედვით). ამის საფუძველზე გადაათარიღა ოსეთის სამაროვნები - სოფ: კუმბულთა, რუთხა, ფასკაუ – გამოყო სამი კულტურული ფენა - 1. წინა-ყობანური პერიოდი. 2. შუა პერიოდი მიახლოვებული ძვ.წ. II ათასწ. შუა ხანებთან. 3. ყობანური პერიოდი [Куфтин 1940:8].

**ბეშთაშენის ციკლოპური ნამოსახლარი** – გამოყო სამი კულტურული ფენა 1. ბრინჯაოს ეპოქა. 2. შავპრიალა ჭრილი სწორხაზოვანი ორნამენტის კერამიკის შემცველი ფენა. 3. ენეოლითური ფენა [Куфтин 1940:20].

ამ გამოკვლევების საფუძველზე ბორის კუფტინმა არქეოლოგიურ ძეგლებს შემდეგი ქრონოლოგიური ადგილი მიაკუთვნა:

I. ძვ.წ. III-II ათასწ. მიჯნა – წალკის ყორღანების უფროსი ჯგუფი, აფხაზეთის დოლმენები, საჩხერის კომპლექსი [Куфтин 1940:34].

II. ადრე ლითონის ხანა – ოჩამჩირის ნამოსახლარი (სტატიგრაფიულად დაუკავშირა ანაკლიის ქვედა კულტურულ ფენას და ნაწილობრივ ნაოხვამუს) [Куфтин 1940:12].

III. ძვ.წ. II ათასწ. შუა ხანა – წალკის ყორღანების უმცროსი ჯგუფი [Куфтин 1940:32].

IV. ყობანური ხანა – წალკა. ბეშთაშენის სამაროვანი [Куфтин 1940:17].

V. ადრერკინის ხანა – წალკა. სამაროვანი (ადგილი მითითებული არ არის). პარალელი – მარალინ-დერესის სამაროვანი [Куфтин 1940:16].

VI. ადრე აქემენიდური ხანა – წალკა. სამაროვანი. ბეშთაშენის ციხესთან. პარალელი – ჟაკ დე მორგანის გათხრები ლელვარში (სომხეთი) [Куфтин 1940:16].

VII. აქემენიდური ხანა – წალკა. სამაროვანი. ნერონ-დერესის ხეობა. პარალელი დაბლაგომის ქვევრსამარხები [Куфтин 1940:16].

VIII. გვიანელინისტური ხანა – წალკა. სამარხები. ბრინჯაოს ბალთები ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებით [Куфтин 1940:16].

IX. რომაული ხანა – წალკა. სამარხები. დათარიღდა ყორღანებში ჩაშვებული სამარხების დამათარიღებელი რომაული მონეტების და სერდოლიკის გემიანი ბეჭდების საფუძველზე [Куфтин 1940:16].

X. სასანიდური ეპოქა – წალკა. სამარხები. დაათარიღა მეფე კავადის მონეტით.

ამის საფუძველზე გამოყო ანალოგიური ინვენტარი სამთავროში ბაიერნის და ექ. თაყაიშვილის გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებში [Куфтин 1940:15].

ბორის კუფტინმა ოთხი წლის მუშაობის შედეგად აღმოჩენილი მასალა, რომელიც სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარეობდა, მოათავსა დროის დიდ შუალედში, ენეოლითიდან სასანიდურ ეპოქამდე [Куфтин 1940:16]. იგი შეეცადა ეჩვენებინა კულტურის განვითარების უწყვეტი ჯაჭვი. მას მიაჩნდა, რომ წალკის ყორღანების უფროსი ჯგუფის კერამიკა მნიშვნელოვან მსგავსებას ამჟღავნებს ციკლოპური სიმაგრეების ენეოლითურ ფენასთან და ესადაგება მთელი ამიერკავკასიისათვის დამახასიათებელ იმ ფენის კერამიკას, რომელსაც მან უწოდა – «Культура нижнего слоя холмов и древнейших циклопических крепостей Закавказья» [Куфтин 1940:20]. ასევე აღნიშნავდა, რომ ციკლოპური სიმაგრეების მშენებლობის დასაწყისს შეესაბამება დოლმენების კულტურის უძველესი პერიოდი ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო დაბლაგომის უძველესი ენეოლითური ფენა, ციკლოპური სიმაგრეების ენეოლითური ფენის გვიან მოდიფიკაციად მიაჩნდა. აქედან გამომდინარე ცდილობდა ეჩვენებინა კავშირი ბეშთაშენის ციკლოპურ ნამოსახლარს, წალკის ყორღანების უფროს ჯგუფს, დოლმენებსა და დაბლაგომის უძველეს ენეოლითურ ფენას შორის. ამის საფუძველად მიაჩნდა კერამიკა და გამომდინარეობდა ორნამენტის, სიმეტრიის და ფორმების დამთხვევიდან [Куфтин 1940:21-23]. ავტორს იმ დროისათვის ჯერ კიდევ გაურკვეველი ჰქონდა ყორღანული კულტურის ეთნიკური კუთვნილების საკითხი. არსებული მონაცემების საფუძველზე იგი ამ დროისათვის მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამდა, რომ ძვ.წ. II ათასწ. შუა პერიოდის საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები უფრო მეტად ხურიტულ ტომებს ეკუთვნოდა [Куфтин 1940:35].

როგორც უკვე აღვნიშნეთ სტატია წინ უსწრებდა ბორის კუფტინის ცნობილ მონოგრაფიას «Археологические раскопки в Триалети. Опыт периодизации памятников». წიგნი გამოვიდა 1941 წელს თბილისში. შრომა ივ. ჯავახიშვილის ხსოვნას მიეძღვნა. წიგნს უაღრესად დიდი მეცნიერული მნიშვნელობის გამო სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ავტორმა ეს კვლევა 1936-1940 წლებში თრიალეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების და ყოფილ კავკასიის მუზეუმში დაცული არქეოლოგიური კოლექციების შესწავლის საფუძველზე შემოგვთავაზა. წიგნის ტირაჟი მცირე იყო, სულ 1500 ეგზემპლარი.

ნაშრომის მიზანი იყო, შეეცაო ის ქრონოლოგიური ხარვეზები, რომელიც არსებობდა სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს ძველ ისტორიაში. მანამდე არსებული შეხედულებების მიხედვით, რომელიც ეკუთვნოდა შანტრს, ვირხოვს, ფარმაკოვსკის, ჟაკ დე მორგანს, გერნესს, მილერს, პრჟევორსკის – ამ ტერიტორიაზე არ იყო ძეგლები, რომლებიც განვითარებული ბრინჯაოს ხანაზე უფრო ადრეულები იყვნენ და რომ ლითონის ნივთები აქ მზა სახით შემოვიდა. წალკაში აღმოჩენილმა ძეგლებმა ავტორს საშუალება მისცა ეს შეხედულება გაემათილებინა.

ბორის კუფტინმა წიგნში გამოაქვეყნა მოპოვებული მასალის მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელიც ამ ვიწრო ტერიტორიაზე მოიპოვა (წალკა, ტაბაწყური, გუჯარეთი, ფარავანი) [Куфтин 1941:2]. ამ მასალის შესწავლის აუცილებლობა იმაში მდგომარეობდა, რომ ფარდა აეხადა საქართველოს ძველი ისტორიის ბევრ მანამდე უცნობი საკითხისათვის, მკვეთრად გარდაეჭმნა საქართველოს და სამხრეთ კავკასიის ისტორიაში დამკვიდრებული შეხედულებები და ქრონოლოგიური ნორმები. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი

მასალა ჯერ კიდევ დამუშავებისა და გამოქვეყნებისათვის მზადების პროცესში იმყოფებოდა, ამ ნაწილის გამომზეურების გადადება აღარ შეიძლებოდა. დანარჩენი მასალა მას გადაწყვეტილი ჰქონდა სათანადო დამუშავებისა და შესწავლის შემდეგ წიგნის მეორე ნაწილში წარმოედგინა, რასაც ის არა ერთხელ იხსენიებს სქოლიოებში, მაგრამ სამწუხაროდ ამ ტომის გამოცემა არ მოხერხდა.

ნაშრომში მასალა წარმოდგენილია რეტროსპექტულად, ანუ თავდაპირველად განხილულია უფრო ახალგაზრდა ძეგლები, სასანიდური ეპოქიდან დაწყებული ენეოლითური და «ეპიპალეოლითური» ძეგლების ჩათვლით. ამით ავტორმა სცადა ძეგლთა უწყვეტი მწკრივით შეეხსო მთელი ის პერიოდი, რომელიც ადრერკინის და გვიანბრინჯაოს ხანებს შეიცავს, მიახლოვებოდა შუა და ადრებრინჯაოს ხანის ყორდანულ კულტურას და მიეღწია ენეოლითურ ფენამდე. «თავისებური ეთნიკური ტიპების და სტადიების რთული გადახლართვა გვაიძულებს ფრთხილად მიუდგეთ ცალკეული კულტურული გამოვლინებების ტიპოლოგიურ სინქრონიზაციას და მოითხოვს არქეოლოგიური ანალიზის რთული და მრავალმხრივი მეთოდის გამოყენებას» - წერდა ბორის კუფტინი [Куфтин 1941:1].

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასია იმ დროისათვის არქეოლოგიურად არასათანადოდ იყო შესწავლილი და ნაკლებად იძლეოდა ქრონოლოგიისათვის საყრდენ წერტილებს. საჭირო იყო მათი პოვნა, ახლიდან გადასინჯვა, ხშირად კი უკვე არსებული საერთო ისტორიული ან წმინდა ხასიათის ცრურწმენების გადალახვა. ამასთან თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ეს ქვეყანა წარმოადგენდა სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით კულტურული დინებების გამტარს, მთიან რაიონებში შემონახული რელიქტული ფორმების ცენტრს, რის გამოც ქრონოლოგიური საკითხების გადაჭრა აქ დიდ სირთულეს წარმოადგენდა. ბორის კუფტინმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ფონდების სისტემაში მოიყვანით და ცალკეულ აღმოჩენათა გამოკვლევით, ასევე ფართო პარალელების მოზიდვის საშუალებით, შეიმუშავა კონკრეტული ძეგლების ქრონოლოგია, რომელიც სინქრონულად დაუკავშირა თანადროულ ეპოქებს. ძეგლების ნაწილი გააერთიანა ახლად აღმოჩენილ ერთ კულტურებად - «თრიალეთის», «მტკვარ-არაქსის» და პარალელური მასალების გამოყენებით დაათარიღა. მან შეძლო გადაეთარიღებინა ადრე ცნობილი კავკასიის ძეგლების კომპლექსები მაგალითად: ყობანის, ყიზილ-ვანქის მასალები, მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის სპილენძ-ბრინჯაოს ხანის ძეგლები, შავიზღვისპირეთის, ასევე ნოსირისა და ფარცხანაყანევის განძები [Куфтин 1941:134].

იმისათვის, რომ უცნობი კულტურული ფენები ისტორიული შემეცნების საგნად იქცნენ, მათ უნდა მოიპოვონ საკუთარი გარკვეული ქრონოლოგიური ადგილი ისტორიულ პროცესში, რისთვისაც უნდა შედგეს ძეგლების ქრონოლოგიური სკალა. თრიალეთში ჩატარებული გათხრების შედეგად დაგროვილი მასალა დროის დიდ მონაკვეთში თავსდება, რომელიც ადრეული ლითონის ხანიდან სასანიდურ ეპოქამდე აღწევს. მონოგრაფიაში ეს ქრონოლოგიური სკალა შემდეგნაირად გამოიყურება:

### **სასანიდური ეპოქა**

**ადგილი** \_ სოფ. სანთა - სამაროვანი; სოფ. ბარმაქსიზი – სამაროვანი; სოფ. მანგლისიდან ბარმაქსიზისაკენ მიმავალი გზა-სამაროვანი.

**პარალელები:** კარსნისხევი, ზაჰესი, მცხეთა, სართიჭალა, მანგლისი, სოხუმი, ჩრდ. კავკასია [Куфтин 1941:22-23].

**დათარიღება:** მეფე კავადის ვერცხლის მონეტის საფუძველზე. ახ.წ. Vს. [Куфтин 1941:216].

### **რომაული და პართული ეპოქა**

**ადგილი:** სოფლები: ტაშ-ბაში, საფარ-ხარაბა, სანთა - სამარხები; წალკა - სამაროვანი; სოფ. როზენბერგი - სამაროვანი.

**პარალელები:** სამხრეთ ოსეთი, ქერჩი, ოდესა, აზერბაიჯანი, კოლხეთი [Куфтин 1941: 25-28].

**დათარილება:** იმპერატორ ავგუსტუსის მონეტის მინაბადით მოჭრილი ვერცხლის მონეტის საფუძველზე. ახ.წ. პირველი საუკუნეები. ლ.ბ. შულცის მიერ სოფ. როზენბერგთან და სოფ. მანგლისთან აღმოჩენილი სამი რომაული ხანის მონეტის საფუძველზე. ძვ.წ. ბოლო საუკუნეები [Куфтин 1941:25-28].

#### **ელინისტური ან გვიან აქემენიდური ხანა**

**ადგილი:** სოფ. სანთის სამხრეთ-დასავლეთით «ნერონ-დერესის» ხევის ნაპირი-სამაროვანი.

**პარალელები:** სამთავრო, ეშერა, დაბლაგომი, ამურდარიის განძი, აზერბაიჯანი, ახალგორის განძი, ჩრდ. კავკასია.

**დათარილება:** ახალგორის განძის საფუძველზე ძვ.წ. V-IVსს. [Куфтин 1941:30-32].

#### **აქემენიდური ეპოქა**

**ადგილი:** სოფ. წინწყაროს აღმოსავლეთით, მდ. ალგეთზე - სამაროვანი.

**პარალელები:** ახალგორის განძი, დაბლაგომი, კვიპროსი, ტელ-ჰალაფი, მიკენი, აბუ-დარინის განძი, ჩრდ. კავკასია, ხერონეს-ტავიჩი [Куфтин 1941:34-39].

**დათარილება:** პარალელებზე დაყრდნობით ძვ.წ. V-IVსს. [Пассек 1946:144].

#### **ადრე აქემენიდური ხანა**

**ადგილი:** სოფ. ბეშთაშენი - სამაროვანი.

**პარალელები:** სომხეთი (ლელვარი); ხოჯალანის ყორღანები; სამთავრო; მცირე აზია; აღმოსავლეთ ევროპა; დაბლაგომი; ყაზბეგის განძი.

**დათარილება:** პარალელების მიხედვით ძვ.წ. VIს-ის დასაწყისი [Куфтин 1941:41-47].

#### **მიდო-სპარსული და გვიანი ვანის ეპოქა**

**ადგილი:** სოფ. ბეშთაშენი - სამაროვანი.

**პარალელები:** სომხეთი; ანატოლია; სირია; ოსეთი.

**დათარილება:** პარალელების მიხედვით ძვ.წ. VIIს. [Куфтин 1941:49-50].

#### **ვანის ეპოქა**

**ადგილი:** სოფ. სანთა - სამაროვანი; სოფ. გუნია-კალას და დარეკვავს შორის გზაზე-სამაროვანი; სოფ. კუმჩი - სამაროვანი.

**პარალელები:** ირანი; ლურისტანი; მცირე აზია; მიკენი; სომხეთი; შაგულა-დერე; დმანისი; სამთავრო; დაბლაგომი; განჯა-ყარაბადი; აზერბაიჯანი [Куфтин 1941:50-51].

**დათარილება:** პარალელების მიხედვით ძვ.წ. VIIს. [Куфтин 1941 :64].

#### **გვიანბრინჯაო \_ ადრერკინის ხანა**

**ადგილი:** სოფ. ბეშთაშენი - სამაროვანი.

**პარალელები:** სირია; ეგვიპტე; სომხეთი; აზერბაიჯანი; ოსეთი; მცხეთა-სამთავრო; აფხაზეთი; გოსტიბე; განჯა-ყარაბადი [Куфтин 1941:65-60].

**დათარილება:** პარალელებზე დაყრდნობით ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ.წ. XII-XI სს [Куфтин 1941:70].

#### **გვიანბრინჯაოს ხანა**

**ადგილი:** სოფ. ბაიბურთი. სამაროვანი.

**პარალელები:** აფხაზეთი; ქურთისტანი; ნიგავერდი [Куфтин 1941:75-76].

**დათარილება:** პარალელების მიხედვით ძვ.წ. II ათასწ. მესამე მეოთხედი [Куфтин 1941a:76].

#### **შუაბრინჯაოს ხანა**

**ადგილი:** სოფლები: ბეშთაშენი, შეფიაკი, სანომერი, კუმჩი, წინწყარო, სანთა, საბით-ახჩა, საფარ-ხარაბა, ბაიბურთი, ჯინისი, ავრანლო, ტაბაწყურის ტბა, თაფარავნის ტბა - ყორღანები: I, V, VI, VII, IX, XV, XVI, XVII, XVIII, XXII, XXIX, XXXIV, XXXVI.

**პარალელები:** განჯა-ყარაბადი; ური; ურუკი; ტელ-ხალაფა; შუმერი; სირია; ეგეოსის სამყარო; ირანი; ეგვიპტე; ვანის ტბა; მესოპოტამია; ასურეთი; კაბადოკია; ალაჯა [Куфтин 1941:87-88].

**დათარილება:** ანალოგების საფუძველზე ძვ.წ. II ათასწ. შუა პერიოდი [Куфтин 1941:99].

#### **ადრებრინჯაოს ხანა**

**ადგილი:** თაფარავნის ტბა, უღელტეხილი. მდ. ქციის ხეობა - ყორღანები: IV, X, XIX, XXIV.



**პარალელები:** სირია; პალესტინა; ალიშარის ბორცვი; ალაჯა-ჰუიუკი; საჩხერე [Куфтин 1941:101].

**დათარილება:** ძვ.წ. III ათასწ. ბოლო [Куфтин 1941:101].

**ენეოლოგიური ხანა**

**ადგილი:** სოფ. ბეშთაშენი - ციკლოპური ნამოსახლარი; ბარმაქსიზი - სამარხები; ტამ-ბაში - სამარხები.

**პარალელები:** მცირე აზია; ტროა I; ეგეოსის სამყარო; სომხეთი; ეგვიპტე; აზერბაიჯანი; დაბლაგომი; დიდუბე; კიკეთი; თეთრამიწა [Куфтин 1941:101-115].

**დათარილება:** პარალელების საფუძველზე

**«ეპიპალეოლითური» ხანა**

**ადგილი:** ბარმაქსიზი. მდ. ხრამის მარცხენა ნაპირი – ნახევრად მღვიმური სადგომი.

**პარალელები:** მესოპოტამია; შუმერი; ელამი.

არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ბორის კუფტინმა წარმოგვიდგინა საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი თრიალეთის მაღალმთიან ზოლში, წალკის პლატოზე, კულტურული განვითარების სურათი ქვის ხანიდან მოყოლებული ვიდრე ადრე საშუალო საუკუნეებამდე და გვიჩვენა ამ კულტურებს შორის უწყვეტი ჯაჭვის არსებობა. სასანიდური ეპოქიდან ადრერკინა – გვიანბრინჯაოს ხანამდე კულტურული განვითარების უწყვეტობას იგი წერილობით წყაროებზე და აკად. ს. ჯანაშიას მოსაზრებებზე დაყრდნობით ადასტურებდა. ს. ჯანაშია ადარებდა რა ასურულ ლურსმულ დამწერლობაში, არგონავტიკაში, აგრეთვე ჰეროდოტესთან და სტრაბონთან დაცულ ცნობებს, ქართლის მოქცევის მასალებს, გულისხმობდა ამ ტერიტორიაზე იბერია-ქართლის წარმოშობას იმ ეპოქაში, რომელიც ბევრად წინ უსწრებდა არმაზის ქართლს მცხეთაში. ბორის კუფტინი ასევე ითვალისწინებდა ნათესაური კავშირის არსებობას თანამედროვე ქართველებისა მუშქებთან (მესხები), ქაშქებთან (კოლხები), ტიბარენებთან (იბერები) და მიუთითებდა წმინდა ადგილობრივი ქართული კულტურის არსებობას კავკასიაში [Куфтин 1941:130-131].

გვიანბრინჯაოს ხანიდან შუაბრინჯაოს ხანაზე გადასვლის უწყვეტობას ბორის კუფტინი საიუველირო მასალის საფუძველზე იძლეოდა. იგი განიხილავდა ყაზბეგის განძს, ნოსირის განძს, ჭუბურხინჯის გვიანბრინჯაოს ხანის განძს, ფარცხანაყანევის ნივთებს და აქ აღმოჩენილ კოლხურ მონეტებს, რის საფუძველზეც ადასტურებდა ამ კოლექციების მჭიდრო კავშირს შუაბრინჯაოს ხანის საიუველირო ხელოვნებასთან. ამის შედეგად ასკვნიდა, რომ შუაბრინჯაოს ხანის საიუველირო ოსტატობის დონემ, ნიადაგი შეუმზადა ძვ.წ. IVს-ის საიუველირო ხელოვნების ახალ აღმავლობას (ახალგორის განძი, ალგეთის სამარხი. ასევე მომდევნო ახ.წ. პირველ საუკუნეების ბორისა და არმაზის ნეკროპოლთა ინვენტარი) [Куфтин 1941:130]. შუაბრინჯაოს ხანასა და მტკვარ-არაქსის ენეოლითს (მტკვარ-არაქსის კულტურა) შორის გენეტიკური კავშირის არსებობას ბორის კუფტინი ძირითადად კერამიკული ნაწარმის საფუძველზე ასაბუთებდა. მისი აზრით, ყორღანული სამარხების კერამიკა ფორმების მიხედვით, ორნამენტით, ზოგიერთი საერთო კომპოზიციურ ნიშნებით, ბევრ საერთო პოულობს მტკვარ-არაქსის კერამიკასთან. ის თრიალეთის კულტურის ფესვებს მტკვარ-არაქსის ორმდინარეთში არსებულ კულტურაში ხედავდა და აცხადებდა, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდში არსებული თრიალეთის ბრწყინვალე კულტურა ადგილობრივია და მყარი კავშირი აქვს ამავე ტერიტორიაზე განვლილ წინამორბედ ფორმაციებთან და რომ იგი ქართველ ტომებს ეკუთვნის, რომლებსაც ოდითგანვე ეკავათ მტკვარ-არაქსის და ეფრატ-ჰოროხის ორმდინარეთი [Куфтин 1941:130].

საქართველოს ტერიტორიაზე შემდგომმა კვლევა-ძიებამ გამოავლინა ბევრი ახალი ძეგლი, რომლებიც ბორის კუფტინის მიერ აღმოჩენილ კულტურებს მიეკუთვნა. ახალი მონაცემების საფუძველზე ახლებურად გაშუქდა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სურათი, დაზუსტდა ქრონოლოგიის საკითხები. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურის უწინარესი კულტურა, რომელიც ენეოლითს მიაკუთვნეს. ხოლო თვით მტკვარ-არაქსის კულტურა ადრეობრინჯაოს ხანის კულტურად მიიჩნეის

[ჯაფარიძე 2003:11]. საინტერესოა ისიც, რომ საქართველოში ანთროპოლოგიური მონაცემებითაც შეინიშნება უწყვეტი გენეტიკური ერთიანობა მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში და შემდგომშიც [Абдушлишвили 1966:16; Абдушлишвили 1966a:21]. შემდგომში ახალ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის ე.წ. გარდამავალი პერიოდის გამოყოფა [ფიცხელაური 1973:127-138]. უნდა აღინიშნოს, რომ შუა და გვიანბრინჯაოს პერიოდებს შორის გარდამავალი ეტაპის არსებობას ბორის კუფტინიც გულისხმობდა სოფ. ბაიბურთში გათხრილი ორმოსამარხის ინვენტარის განხილვისას, როცა ეს ინვენტარი მან ამ ორ პერიოდს შორის მოათავსა [Куфтин 1941:75-77].

ბორის კუფტინის შემდეგი ნაშრომის «Урартский колумбарий у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит» მიზანი იყო, საქართველოს სახ. მუზეუმში დაცული მასალების ანალიზის საფუძველზე სამხრეთ კავკასიის მიწაწყალზე ენეოლითურ ეპოქაში კულტურული განვითარების საკუთარი კერის გამომჟღავნება და არსებული ფაქტების საფუძველზე «კოლუმბარიუმის» დათარიღების საკითხის გადახედვა, რომელიც ანტონიუს პიუსის რომაული ვერცხლის დენარის საფუძველზე შეცდომით რომაული ეპოქით თარიღდებოდა [Куфтин 1943:27, 124]. ეს მასალები ეკუთვნოდა ქრონოლოგიურად ორგვაროვან ძეგლს სოფ. იგდირის მახლობლად.

შრომას საფუძვლად დაედო პ. ფ. პეტროვის მიერ 1914 წელს საქართველოს სახ. მუზეუმში შემოტანილი მასალა, რომელიც სოფ. იგდირში (არარატის მთის ქვეშ) სამაროვანის გათხრების შედეგად იყო მოპოვებული. ასევე ჩანახატების ალბომი, ნახაზები, დოკუმენტური აღწერილობა და დღიური, ასევე ნაცროვანი ფენის მასალა, რომელიც ავტორმა 1935 წელს აღმოაჩინა [Куфтин 1943:1]. ბორის კუფტინი ამ ნაშრომში, ისევე როგორც წინამორბედებში ძეგლებს განიხილავს რეტროსპექტულად.

**ადგილი** – სოფ. იგდირი. «კოლუმბარიუმი»

**დათარიღება:** ძვ.წ. I ათასწ. პირველი მეოთხედი. ვანის ექსპანსიის ეპოქა სამხრეთ კავკასიაში. დათარიღდა ურარტული ზოომორფულგამოსახულებიანი ბეჭდების საფუძველზე.

**პარალელები:** ლეჩხუმის განძი, სამთავრო, კახეთი, ბორჯომი, ახალციხე, ვანის ტბა, თოპკალე, ტროა I, კვიპროსი, სომხეთი, ლურისტანი [Куфтин 1943:2, 16-17, 20-21, 25, 37, 44-45, 56].

**ადგილი** – სოფ. იგდირი. ნასოფლარი - «თიხის ქალაქი».

**დათარიღება** – ენეოლითური ფენა.

**პარალელები** – ალიშარის ბორცვი, მცირე აზია [Куфтин 1943:74].

**ადგილი** – არმავირ-ბლური. სამარხები, ნამოსახლარი.

**დათარიღება** – 1. ურარტული ეპოქა. 2. ენეოლითური ფენა. დათარიღდა ნალისებური სადგარის საფუძველზე.

**პარალელები** – ზაგლიკი, თრიალეთი, დიდუბე [Куфтин 1943:93; 95].

**ადგილი** – კიკეთი. სამარხი.

**დათარიღება** – ენეოლითური ფენა.

**პარალელები** – თრიალეთი, ნიკოპოლის განძი [Куфтин 1943:9].

**ადგილი** – ნახიჩევანი. ნაცროვანი ბორცვი – «ქიულ-თეფე».

**დათარიღება** – ქვედა ფენა - ენეოლითური ხანა. დათარიღდა კერამიკის საფუძველზე.

**პარალელები** – მალაკლიუ [Куфтин 1943:96].

**ადგილი** – ალიგრიხი (ნორბაიაზეტი). კერამიკული კომპლექსი.

**დათარიღება** – ენეოლითური ხანა.

**პარალელები** – მალაკლუ, ეჩმიაძინი, კიულ-თაფა [Куфтин 1943:99].

**ადგილი** – ეილარი. ნამოსახლარი. ქვის ყორღანი.

**დათარიღება** – ენეოლითური ხანა.

**პარალელები** – მალაკლუ, კიკეთი, ზაგლიკი, თრიალეთი, მცირე აზია, ალიშარის ბორცვი [Куфтин 1943:102-104].

**ადგილი** – შრემ-ბლური. ნამოსახლარი.

**დათარილება** – ენეოლითური ფენა.

**პარალელები** – მალაკლუ, ლორე [Куфтин 1943:104].

დასკვნებს ბორის კუფტინი ჩვეულებრივ არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით და მრავალი ანალოგის მოზიდვის საფუძველზე აკეთებდა. «კოლუმბარიუმში» აღმოჩენილ წითელი ფერის კერამიკის ტიპებს ის უკავშირებდა თოფქარ-კალეს და ძველი არმავირის მსგავს კერამიკას. მიუხედავად დიდი ქრონოლოგიური განსხვავებისა, ფორმის მიხედვით, ამ კერამიკის ამკარა კავშირს ხედავდა წალკის ყორღანების (I, VII, XV) მონათულ კერამიკასთან და მდ. ზანგზე კიზილ-კალას არქაული ტიპის კერამიკასთან [Куфтин 1943:2, 67]. «კოლუმბარიუმს» ის ურარტული ზომორფულგამოსახულებიანი შტამპური ბეჭედის საფუძველზე, ათარილება სამხრეთ კავკასიაში ვანის ექსპანსიის ეპოქით. ამ ბეჭდის ანალოგს ხედავდა კაპადოკიურ ბეჭედებში, რაც მისი აზრით, ამ ტერიტორიაზე ერთიანი კულტურული და შესაძლებელია ეთნიკური სუბსტრატის არსებობაზე მიუთითებს [Куфтин 1943:62]. სამარხში არსებული მრავალრიცხოვანი რკინის იარაღი ავტორის აზრით, ვერ შეეწინააღმდეგება დათარილებას, რადგან ამ ეპოქაში რკინის იარაღი კარგად არის ცნობილი მცირე აზიაში [Куфтин 1943:52]. იმის გამო, რომ «კოლუმბარიუმის» ინვენტარი მკვეთრად განსხვავდება სამხრეთ კავკასიის სინქრონული სამარხების ინვენტარისაგან, ავტორი თვლიდა, რომ ეს ძველი ეკუთვნის არა მკვიდრ მოსახლეობას, არამედ ვანის ტბის მხრიდან მოსულებს და მას ურარტულებად მიიჩნევდა [Куфтин 1943:17]. ავტორის აზრით «კოლუმბარიუმს» სამხრეთ კავკასიის კულტურასთან აკავშირებდა მხოლოდ ბრინჯაოს ტოლჩის ფრაგმენტი, რომლის მსგავსიც დამახასიათებელია ოსეთის და დასავლეთ საქართველოს ყობანური ხანის დროინდელ კომპლექსებისათვის, რაც მეტყველებდა ურარტულების მჭიდრო კულტურულ კავშირებზე კოლხეთთან და წარმოადგენდა კიდევ ერთ ახალ საყრდენ წერტილს ყობანური ბრინჯაოს ქრონოლოგიის დაზუსტებისათვის [Куфтин 1943:68]. ბორის კუფტინი აკეთებდა დასკვნას, რომ კოლხური ბრინჯაოს აყვავების ბოლო პერიოდი შეესაბამება ვანის ეპოქას და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში რკინის მიერ ბრინჯაოს გამოდევნის პერიოდს. ბორის კუფტინის აზრით რკინის მიერ ბრინჯაოს წარმოებიდან გამოდევნა გამოწვეული იყო არა რკინის უპირატესობით არამედ სპილენძის საბადოების ადგილობრივი რესურსების გამოლევის შედეგად [Куфтин 1943:68]. ამ მოსაზრების საფუძველზე ავტორი განვითარებულ კოლხურ-ყობანურ ტიპის მონაპოვრებს საქართველოში აკუთვნებდა ძვ.წ. VIII-ს. იგდირის ნამოსახლარის ანუ «თიხის ქალაქის» მასალის განხილვისას აღნიშნავდა, რომ ის სრულიად განსხვავდება სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოსა და რკინის პერიოდის სამაროვნების კარგად ცნობილი მასალისაგან. ამ ძველ-სათვის საკუთარი კულტურული და ქრონოლოგიური ადგილის მიკუთვნებისათვის ავტორი ცდილობდა ფართოდ განეხილა პარალელური და სტრატეგრაფიულად უკეთ გამოუქებული ნიმუშები და ის ადრეული ლითონის ეპოქას მიაკუთვნა [Куфтин 1943:74]. ნაშრომის მეორე ნაწილში ავტორი დაწვრილებით აღწერდა და აანალიზებდა საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებში არსებულ კერამიკის კომპლექსებს, რომლებსაც ხასიათის მიხედვით ბრინჯაოს ხანის ადრეულ პერიოდებს აკუთვნებს.

**ადგილი** – კიკეთი. სამარხი.

**დათარილება** – ენეოლითური ხანა

**პარალელები** – იგდირი [Куфтин 1943:90].

**ადგილი** – დიდუბე. კერამიკული კომპლექსი.

**დათარილება** – ენეოლითური ფენა.

**პარალელები** – კიკეთი, იგდირი, ნუხა, ზაგლიკი [Куфтин 1943:90].

**ადგილი** – არმავირის ბორცვი. სამარხები. ნამოსახლარი.

**დათარილება** – 1. ურარტული ხანა. 2. ენეოლითური ხანა.

**პარალელები** – იგდირი.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოედგინა ენეოლითური ხანის არსებობა, ბორის კუფტინმა ფართოდ განიხილა ასევე თრიალეთის და შენგავითის ნაქალაქარებზე მოპოვებული მასალა. მან სოფ. ბეშთაშენის «ახილარის» ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილი ენეოლითური ხანის მოდიფიკაციათა რიგი დაუკავშირა თრიალეთის შუა და ადრეული ხანის ყორღანების კულტურას. ასევე აქაური კერამიკის ერთ ნაწილს ის უკავშირებდა კიკეთისა და ეილარის მასალას, ხოლო მეორე ნაწილს მალაკლუს, ეჩმიადინისა და შენგავითის ბორცვებზე აღმოჩენილ მასალას. მსგავსება ძირითადად ფორმებში და ორნამენტში აისახებოდა. ყოველივე ამის საფუძველზე ავტორი მტკვარ-არაქსის ორმდინარეთში გულისხმობდა მაღალ კულტურულ აღმავლობას ლითონის გამოჩენის ეპოქაში [Куптин 1943:109-110]. მისი აზრით, ეს კულტურა ჩრდილოეთ ტერიტორიაზეც აღწევდა. თაკავორნასტის ნაქალაქარზე (კიროვაკანის რ-ნი), რომლის კერამიკული ნიმუშები შენგავითურის მსგავსად მიაჩნდა და ამავე დროს თვლიდა, რომ ისინი გარდამავალ ფორმებს წარმოადგენენ «ახილარის ციხის» და დმანისში ლ. მუსხელიშვილის მიერ აღმოჩენილ ნიმუშებთან მიმართებაში [Куптин 1943: 124]. ავტორმა დაასკვნა, რომ ადრეული ლითონის ეპოქაში, არა უგვიანეს ძვ.წ. III ათასწ. მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის შუა წელზე არსებობდა სრულიად ერთგვაროვანი კულტურა, რომელიც ვრცელდებოდა ყარაყურთადან ნახიჭევანამდე და თბილისიდან არარატამდე [Куптин 1943:125]. ნაცროვანი ბორცვების კულტურის აღმოჩენას მიიჩნევდა მეტად მნიშვნელოვან ფაქტად, რადგან ეს კიდევ ერთი საფუძველი იყო თავისი მოსაზრების «კავკასიაში ქართული კულტურის ავტოქტონურობის» სიმყარისა.

სტატიაში «К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе по данным археологии», ავტორი მიზნად ისახავდა გამოეკვლია ქართული კულტურის ფესვები, კავკასიასთან დაკავშირებული ისტორიული პროცესები და კულტურული მოვლენები. ისტორიული ცნობებისა და არქეოლოგიური ფაქტების ახლებურად ინტერპრეტაციის საფუძველზე შეეცადა ეჩვენებინა სამხრეთ კავკასიის უძველესი ადგილობრივი კულტურის კავშირი ქართველ ტომებთან და კიდევ ერთხელ დაპირისპირებოდა არქეოლოგიაში მანამდე დამკვიდრებულ აზრს, სამხრეთ კავკასიაში ბრინჯაოს კულტურის ანდაზეულად გამოჩენის შესახებ.

ავტორი განიხილავდა სამხრეთ კავკასიაში გავრცელებული ცულების ორ ტიპს, სწორფრთიანს და ყუადაშვებულს. საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე სპილენძის იშვიათი ფორმის კომბინირებული ცულების ანალიზის საფუძველზე კიდევ ერთხელ ადასტურებდა მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის ტერიტორიაზე «ნაცროვანი ბორცვების ენეოლითური კულტურის» არსებობას, რაც სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის მკვიდრ ბინადრობაზე მიუთითებდა. შემდგომ, უფრო განვითარებულ სტადიად თვლიდა ყუადაშვებულ ცულების კულტურას, რომლის ბრწყინვალე ძეგლად აფხაზეთის დოლმენების ქვედა ფენა მიაჩნდა [Куптин 1944:305]. იგი თრიალეთის კულტურულ კერას ვერ უკავშირებდა ყუადაშვებულ ცულების კულტურას, თუმცა თრიალეთის ყორღანების ტერიტორიაზე აღმოჩენილი სპილენძის ექოს პირის საფუძველზე ეს კავშირი ბუნებრივად და შესაძლებლად მიაჩნია [Куптин 1944:308]. ავტორი სამხრეთ კავკასიის რუკაზე შემოსაზღვრავდა ყუადაშვებულ ცულებისა და მოხატული კერამიკის კულტურას, რაც მისი აზრით ძვ.წ. II ათასწ. შუა ხანებში კულტურულ-ეთნოკური ერთიანობის ფორმირებაზე მიანიშნებდა – ერთი მხრივ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურის და მეორე მხრივ სამხრეთ კავკასიურის [Куптин 1944:312-313]. ჰეროდოტეს ცნობაზე დაყრდნობით, იარადის ანალიზის საფუძველზე, გამოყოფდა ორ ძირითად ეთნოკურ ჯგუფს: აღმოსავლეთ ჯგუფს – მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის შუა წელში და დასავლეთ ჯგუფს – აღმოსავლეთ შავიზღვის აუზის ტერიტორიაზე, რომელიც თავისი ერთგვაროვანი კულტურით მოიცავდა დასავლეთ საქართველოს დიდ ტერიტორიას, სადაც ძველი კლასიკოსები ათავსებდნენ ტიბარენებს, მოსხებსა და კოლხებს [Куптин 1944:315]. მას მიაჩნდა, რომ აღმოსავლურ ქართული ტომები უფრო მეტ აქტიურობას იჩენდნენ ტერიტორიულ ექსპანსიაში, ვიდრე დასავლურ ქართული ტომები. მან გამოავლინა ის რაიონები, სადაც ძვ.წ. I ათასწ. დასაწყისში ერთდროულად მკვიდრობდა,

როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური ჯგუფების ელემენტები და, სადაც უკანასკნელის აქტიურობა შეინიშნება, რაც მათ მიერ დასავლური ტომების ასიმილაციის პროცესზე მეტყველებდა. ამ ურთიერთმოქმედების რაიონად მიაჩნდა ერთი მხრივ ძველი ქართული პროვინცია გოგარენი და მესხეთი (სამცხე), მეორე მხრივ კი ისტორიული არმაზი - მცხეთა. ამ შერწყმის დადასტურებად მოჰყავდა არქეოლოგიური კომპლექსები, მეხვის ციხის განძი ფოცხოვიდან (ყოფილი ყარსის რ-ნი) და სამთავროს ქვედა იარუსის სამარხეული ინვენტარი, რაც ძირითადად აისახება ცულების ტიპებში [Куфтин 1944:328-330]. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ასკვნიდა, რომ საქართველო უკვე ადრეულ ეტაპზე ეზიარა ლითონის წარმოებას და დაკავშირებული იყო მსოფლიო მეტალურგიის განვითარების უძველეს ცენტრებთან, რამაც შუაბრინჯაოს ხანაში გამოიწვია მისი კულტურული აღმავლობა, რომელსაც ფესვები ადგილობრივ ენეოლითში ჰქონდა გადგმული. ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დიდი ხნის განმავლობაში შემონახულ კულტურულ ურთიერთობებს, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მისი აზრით სამდინარო და საზღვაო კომუნიკაციებს შეჰქონდათ [Куфтин 1944:328-332]. ბორის კუფტინმა თავისი კვლევებით დაარღვია გაბატონებული წარმოდგენა სამხრეთ კავკასიის პერიფერიული ადგილის შესახებ ძველი აღმოსავლეთის კულტურულ სამყაროში. წინ წამოსწია ქართული კულტურის ავტოქტონურობის საკითხი და აჩვენა, რომ კავკასია ოდითგან დაკავშირებული იყო წინააზიური ცივილიზაციის უძველეს კერებთან.

ნაშრომის «Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию» მიზანი იყო, მოცემულ ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძეგლების საფუძველზე გაემუქებინა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიაში ნაკლებად შესწავლილი ეპოქები. რაც ავტორს კიდევ ერთხელ მისცემდა საშუალებას, გაეზიარებინა დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, თითქოს აქ ლითონის წარმოება პირველად კოლხურ-ყოზანურ ბრინჯაოს პერიოდში დაიწყო. ავტორი შეეცადა მუზეუმში დაცული არქეოლოგიური კომპლექსების აღმოჩენის ადგილის დადგენის საფუძველზე, სტრატეგრაფიულ მონაცემებზე და თრიალეთის მასალაზე დაყრდნობით, დაეზუსტებინა ბრინჯაოს ადრეული ეპოქების ძეგლების პერიოდიზაცია და მასში ჩაერთო სხვა რაიონების ძეგლები.

არქეოლოგიური დაზვერვა განხორციელდა მდ. ლიახვის, ფრონეს და ყვირილის აუზებში. მარშრუტი არ იყო შემთხვევითი და წარმოადგენდა იმ ფართო გეგმის ნაწილს, რომელიც კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი კალთებისა და მცირე კავკასიონის შესწავლას გულისხმობდა. არსებული არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე ბორის კუფტინმა შეძლო ყველა ძეგლისათვის საკუთარი ქრონოლოგიური ადგილი მიეკუთვნებინა.

**ადგილი** \_ სოფ. სოხთა. სამაროვანი.

**დათარიღება** \_ ელინისტური ხანა.

**პარალელები** \_ კუმბულთა, კამუნთა, ბორი [Куфтин 1949: 22-23].

**ადგილი** \_ სოფ. დირგჯინი. სამაროვანი (მხოლოდ სამი შემთხვევით ნაპოვნი ნივთი) [Куфтин 1949:23-24].

**დათარიღება** \_ ელინისტური ხანა.

**ადგილი** \_ სოფ. ურს-ძუარი. სამაროვანი.

**დათარიღება** \_ ელინისტური ხანა.

**პარალელები** \_ როკი [Куфтин 1949:24].

**ადგილი** \_ სოფ. როკი. სამაროვანი.

**დათარიღება** \_ ელინისტური ხანა.

**პარალელები** \_ ეშერა, დაბლაგომი (აქვე აღმოჩნდა ადრე სკვითური ეპოქის ინვენტარი. პარალელი ფასკაუდან) [Куфтин 1949:24].

**ადგილი** \_ სოფ. ჯრია.

**დათარიღება** \_ რომაული ხანა.

**პარალელები** \_ ხვცე.

**ადგილი** \_ სოფ. მეღვრევისი. სამაროვანი.

დათარილება \_ გვიანბრინჯაოს ხანა [Куфтин 1949:25].  
ადგილი \_ სოფ. წოისი. სამარხები.  
დათარილება \_ გვიანბრინჯაოს ხანა  
პარალელები \_ ლეჩხუმის განძი, სამთავრო [Куфтин 1949: 26].  
ადგილი \_ სოფ. ყორნისი. ბრინჯაოს ნივთების კოლექცია.  
დათარილება \_ გვიანბრინჯაოს ხანა [Куфтин 1949:28].  
ადგილი \_ სოფ. ხვცე.  
დათარილება \_ გვიანბრინჯაოს ხანა.  
პარალელები \_ სოფ. თლია [Куфтин 1949:29].  
ადგილი \_ ცარციატის კლდე. სამაროვანი.  
დათარილება \_ ყობანური პერიოდი.  
პარალელები \_ სამთავრო, ქსოვრისი, წეროვანი [Куфтин 1949:29].  
ადგილი \_ რუსთავი. ბრინჯაოს ბეჭდები.  
დათარილება \_ გვიანბრინჯაოს ხანა.  
პარალელები \_ ცხინვალის განძი [Куфтин 1949:31].  
ადგილი \_ ჯავისთავი. ნივთები.  
დათარილება \_ გვიანბრინჯაოს ხანა.  
პარალელები \_ ტერეგვა [Куфтин 1949:31].  
ადგილი \_ სოფ. ნული. სამარხები.  
დათარილება \_ გვიანბრინჯაოს ხანა.  
პარალელები \_ დაღესტანი, ყობანი, წალკა [Куфтин 1949:31-33].  
ადგილი \_ სოფ. ნული. 1. კულტურული ფენა. 2. სამარხი.  
დათარილება \_ 1. შუაბრინჯაოს და გვიანბრინჯაოს ხანის მიჯნა. 2. ძვ.წ. VII ს.  
პარალელები \_ თრიალეთი [Куфтин 1949:49-51].  
ადგილი \_ კალოსანის უღელტეხილი. ციკლოპური სიმაგრე «ზილდი».  
დათარილება \_ ადრეშუასაუკუნეები [Куфтин 1949:39].  
ადგილი \_ სოფ. ედისი. ბორცვი «ცარციათა.» კულტურული ფენა.  
დათარილება \_ შუა საუკუნეები [Куфтин 1949:41].  
ადგილი \_ სოფ. სტირფაზი. ბორცვი «ცარციატ ყაზახი». სამარხების ნაშთები.  
დათარილება \_ აქემენიდური ხანა. გვიანბრინჯაო-ადრერკინა.  
პარალელები \_ აღმ. საქართველო, ყობანი, თლია, გარი, სამთავრო, იყალთო, ბაიბურთი, აფხაზეთი [Куфтин 1949:41-44].  
ადგილი \_ სოფ. ქვედა ხვცე. ბორცვი «გორა» [Куфтин 1949:51].  
ადგილი \_ სოფ. დიდი მუხა. ბორცვი «კიბრავა» [Куфтин 1949:51].  
ადგილი \_ სოფ. დვანი. ბორცვი სამნიფერდა.  
დათარილება \_ ენეოლითური ხანა და შუა საუკუნეები [Куфтин 1949:51].  
ადგილი \_ სოფ. ავნივი. ბორცვი «გორა». კულტურული ფენა.  
დათარილება \_ ურარტუს ეპოქა.  
პარალელები \_ თრიალეთის ახილარი, სომხეთში - მუხანათ-თაფა [Куфтин 1949:52].  
ადგილი \_ ქ. სტალინირი (ცხინვალი). ბორცვი «ნაცარგორა».  
დათარილება \_ ზედა ფენა \_ შუა საუკუნეები. შუა ფენა \_ ურარტუს ეპოქა. ქვედა ფენა \_ გვიანბრინჯაო. ფენები გამოიყო კერამიკული მასალის საფუძველზე.  
პარალელები \_ ნაოხვამუ, თლია, სტირფაზი, გარი [Куфтин 1949:53; 55; 62-63].  
ადგილი \_ ქ. სტალინირი. (ცხინვალი) ზღუდრისგვერდა.  
დათარილება \_ ენეოლითური ხანა [Куфтин 1949:17].  
ადგილი \_ საჩხერე. ნაჩერქეზევი. სამაროვანი.  
დათარილება \_ შუაბრინჯაოს ხანა. ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახევარი.  
პარალელები \_ თრიალეთი, ჩრდ. იტალია [Куфтин 1949:65].  
ადგილი \_ ქორეთი. ყორღანი.

დათარილება \_ ძვ.წ. III და II ათასწ. მიჯნა.

პარალელები \_ ეგვიპტე, ტროა II, კვიპროსი, დუნაის შუა წელი [Куфтин 1949:65-66].

ადგილი \_ სოფ. დურები. სამაროვანი.

დათარილება \_ «განვითარებული» კოლხური ბრინჯაოს ხანა [Куфтин 1949:67].

ადგილი \_ სოფ. კალუათა. მსხმელის განძი.

დათარილება \_ «განვითარებული» კოლხური ბრინჯაოს ხანა [Куфтин 1949:67].

ადგილი \_ სოფ. ბჟინევი. ბორცვი.

დათარილება \_ გვიანბრინჯაოს ხანა [Куфтин 1949:67].

ადგილი \_ საჩხერე. ბორცვი «ცარცის გორა». სამარხები.

დათარილება \_ ძვ.წ. XXIV-XXIII სს.

პარალელები \_ თრიალეთი. ქვედა დუნაი [Куфтин 1949:71-72].

ადგილი \_ ქ. ქუთაისი და წყალტუბოს რ-ნი.

დათარილება \_ გვიანი ნეოლითიდან ენეოლითურ ხანაზე გარდამავალი ეტაპი [Куфтин 1949:80].

ბორის კუფტინმა გადაათარილა 1910 წელს ექ. თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი საჩხერის კომპლექსი და ლითონის უძველეს ეპოქას მიაკუთვნა. მას ეს კერამიკა ფორმის, ძერწვის და კონტურების მიხედვით მდ. ხრამის ტერიტორიაზე აღმოჩენილი კერამიკის ერთგვაროვნად მიაჩნდა, რაც მისი აზრით, ადრებრინჯაოს ხანის ბოლოს, ანუ დაახლ. ძვ.წ. XXIV-XXIII სს-ში საქართველოს მოსახლეობის მჭიდრო კავშირზე და შესაძლო ეთნიკურ ერთიანობაზე მიუთითებდა [Куфтин 1949:75-76]. მიაჩნდა, რომ საჩხერის კერამიკა ხაზს უსვამდა მის ერთიანობას თრიალეთთან და ასევე ნათლად მეტყველებდა ენეოლითური ტრადიციების არსებობაზე. ეს კარგად აისახება ორნამენტაციაში და დამახასიათებელია როგორც საჩხერის სამარხებისათვის, ისე თრიალეთის ადრეული ბრინჯაოს ხანის ყორღანებისათვის. ეს გარემოება მას ადრეული ხანის ღარიბი ინვენტარის მქონე ყორღანებისათვის კიდევ ერთ მყარ დამატარილებლად მიაჩნდა [Куфтин 1949:78]. მუზეუმებში არსებული არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე ავტორმა დაადგინა კოლხეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის კულტურული ურთიერთკავშირის არსებობა. ეს კავშირი ნათლად აირეკლება ცხინვალის განძში, მიუხედავად იმისა, რომ განძი ეკუთვნის გვიანბრინჯაოს ხანას, მისი აზრით აქ კარგად ჩანდა კოლხური და აღმოსავლურ ქართული ფორმების ურთიერთშედწევის პროცესი [Куфтин 1949:18]. შიდა ქართლსა და ძველ კოლხეთს შორის ბრინჯაოს ხანის დასასრულისათვის მჭიდრო კულტურულ-ეთნიკური კავშირის დადასტურებად მიაჩნდა «ნაცარგორას» ბორცვის კერამიკული ნაწარმის მსგავსება ნაოხვამუს ბორცვის ძირითად ფენასთან [Куфтин 1949:62], ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კოლხურ-ყობანური კულტურის გავრცელებას დადასტურებად ბორის კუფტინს მიაჩნდა «ცარციატ-ყაზახის» სამაროვნის კერამიკული ნაწარმი, რომელიც განსხვავდება აღმოსავლურ ქართულისაგან. შუაბრინჯაოს ხანასა და გვიანბრინჯაოს ხანას შორის გარკვეული წყვეტილის არსებობას ბორის კუფტინი იმით ხსნიდა, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში ხდება სამეურნეო სავარგულების სწრაფი ათვისება, რის შედეგადაც გამწვავდა კონფლიქტები მომთაბარე და მიწათმოქმედ ტომებს შორის, რაც იწვევდა ბრინჯაოს იარაღების მკვეთრ მატებას. ავტორი არ იზიარებს აზრს, რომ მდიდარი ყორღანების მშენებლები შეიძლება მცირე აზიიდან მოსულლებად ჩაითვალოს. ეს მისი აზრით, ეწინააღმდეგება ყველა არქეოლოგიურ ფაქტს, რომლებიც აშკარად მეტყველებენ იმ მემკვიდრეობით კავშირებზე, რომელთა საშუალებითაც შუაბრინჯაოს კულტურა უკავშირდება ადრეული ხანის ყორღანებს და კიდევ უფრო ადრეულ ამიერკავკასიის ენეოლითურ ფენებს [Куфтин 1949:5]. შუაბრინჯაოდან ხანიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის არსებობა შეიძლება ნულის ნეკროპოლის ინვენტარში. აქაური კერამიკული მასალა და ინვენტარი ფორმისა და ორნამენტის მიხედვით მსგავსებას ამჟღავნებდა წალკის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანების მასალებთან და შესაძლებლად მიიჩნევა ამ სამაროვნის ადგილას არსებულიყო განვითარებული კოლხურ-ყობანური ბრინჯაოს წინამორბედი ეპო-

ქები [Куфтин 1949:35]. ნულში აღმოჩენილი კულტურულ ფენას ავტორი უახლოვებდა თრიალეთის გვიან ყორღანებს და ასევე 1931 წელს ა.პ. პჩელინას მიერ ნულში გათხრილ კოლექტიური სამაროვნის კერამიკულ მასალას, რომელიც XV-XIVსს-ით თარიღდება [Куфтин 1949:51].

გამოვლენილი ძეგლების კულტურული ფენებიდან მიღებული კერამიკული მასალის საფუძველზე ავტორმა დაამტკიცა აშკარა კულტურულ-ეთნიკური ერთიანობა კავკასიის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ ფერდობსა და მცირე კავკასიის უძველესი მოსახლეობას შორის იმ ეპოქაში, რომელის წიაღშიც იზადებოდა ძვ.წ. II ათასწ. შუა პერიოდის თრიალეთის ბრწყინვალე კულტურა და, რომ ლოთონის ათვისების გარიჟრაჟზე მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის მთელ ტერიტორიაზე არსებობდა მკვიდრი მიწათმოქმედი საზოგადოება, რომელიც ქმნიდა ერთიან ენოლითურ კულტურას, რომლის ანარეკლიც შეიმჩნევა ადრებრინჯაოდან შუაბრინჯაოზე გარდამავალ ხანაში და აღწევს განვითარებულ ბრინჯაოს ხანაშიც.

ბორის კუფტინმა განსაზღვრა საქართველოს ისტორიული როლი უძველესი სამყაროს მეტალურგიული კულტურის განვითარებაში და აჩვენა საქართველოსი და მთლიანად სამხრეთ კავკასიის საზოგადოების თანმიმდევრული ადგილობრივი განვითარების პროცესი. თავისი გამოკვლევებით უარყო იმ დროისათვის გაბატონებული თეორია მიგრაციების შესახებ.

სტატიის «К проблеме энеолита внутренней Картли и Юго-осетии» მიზანს შეადგენდა კავკასიის ქრონოლოგიური მონაცემების უფრო მეტად კოორდინირება დასავლეთ-ევროპულ და წინააზიურ კულტურებთან. ახალი გათხრების მონაცემების გამო, ბორის კუფტინის წინაშე ხელმეორედ წამოიჭრა საკითხი სამხრეთ კავკასიის ენოლითის შესახებ, რომელსაც მან ტერიტორიის მიხედვით «მტკვარ-არაქსული» უწოდა. მოპოვებული ახალი არქეოლოგიური მასალა – სომხეთში (შრემ-ბლური), საქართველოში (თრიალეთი) და ნაწილობრივ აზერბაიჯანში (სტეფანაკერტი, ხანლარი), ასევე ზოგიერთი ძველი სამუზეუმო კოლექციები არმავირ-ბლურიდან, ნახიჭევანის «ქიულ-თეფედან», ელარიდან, ალაგეზიდან, კიკეთიდან და სხვ. ავტორს საშუალებას აძლევდა შეესწავლა სამხრეთ კავკასიური პრეისტორიული კულტურული პერიოდი და დაეკავშირებინა სხვადასხვა სტადიებთან.

იგი ძირითადად განიხილავდა ენოლითური ხანის ორ კომპლექსს.

**ადგილი** – ზემო ავჭალა.

**დათარიღება** – ენოლითური ხანა.

**პარალელები** – ტყვიავის ყორღანები, მდ. დნესტრი-კოშილოვეცი, მდ. სერეტი, მღვიმე ბილჩე-ზლოტო.

**ადგილი** – ქ. სტალინირი. ზღუდრისგვერდა

**დათარიღება** – ენოლითური ხანა.

**პარალელები** – ტროა I, ზემო ავჭალა.

ამ ორივე კომპლექსს კერამიკული მასალის მიხედვით ბორის კუფტინი აკუთვნებდა ერთიან ენოლითურ ტიპს, რომელიც წინ უსწრებს საჩხერის სამაროვანს [Куфтин 1947:74]. ისინი რიგი ნიშნებით მიისწრაფვიან ჩრდილო კავკასიის დიდი ყორღანების სპილენძის ეპოქის კულტურისაკენ. ასევე უშუალოდ უკავშირებდა მათ მტკვარ-არაქსის გვიან საფეხურს და ტყვიავის ყორღანების ინვენტარს.

მიაჩნდა, რომ მთელი რიგი თავისებურებების მიხედვით სამხრეთ კავკასიის მასალები უახლოვდება ერთი მხრივ ხმელთაშუაზღვას და მეორე მხრივ ევროპას [Куфтин 1947:68-70, 81]. მასალის შეპირისპირების საფუძველზე იგი ადგენდა მჭიდრო კავშირს სამხრეთ კავკასიის ენოლითსა (შიდა ქართლი) და გვიანი სტადიის ჩრდილოეთ კავკასიის დიდი ყორღანების კულტურას შორის [Куфтин 1947:77]. ავტორი ეთანხმებოდა გორდონ ჩაილდის ადრე გამოთქმულ ჰიპოთეზას ცენტრალურევროპული ჭილოფისდაგვარი კერამიკის დამოკიდებულების შესახებ ჩრდილო კავკასიურთან და თვლიდა, რომ ქსოვილიანი კერამიკა უკვე შუა ენოლითში გავრცელდა სირიიდან და პალესტინიდან ერთი მხრივ შორეულ აღ-



მოსავლეთში და მეორე მხრივ კავკასიაში, სადაც მის ადგილობრივ ვარიანტად მიაჩნდა დაბლაგომში და დიხა-გუძუბას ენეოლითურ ფენაში აღმოჩენილი ქსოვილის ანაბეჭდიანი ჭურჭლის ძირები [Куфтин 1947:79-80]. ამგვარად, ახალი მასალის საფუძველზე ავტორმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ლითონის გამოჩენის გარიჟრაჟზე კავკასიის ტერიტორიაზე მკვიდრი მესაქონლე-მიწათმოქმედი მოსახლეობის თავისებური კულტურული აღმავლობის არსებობა.

შრომაში «Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе» გამოქვეყნებულია 1947 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. ეს იყო მეექვსე კამპანია იმ სამუშაოებისა, რომელიც ჩაატარა ავტორმა წალკაში ხრამჭესის მშენებლობის ტერიტორიაზე. ნაშრომის ძირითადი მიზანი იყო თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანული კულტურის ხასიათის განსაზღვრა და მისი კავშირების დადგენა ადრებრინჯაოს ხანის ყორღანებთან და უფრო ადრეულ, ენეოლითურ ხანასთან, მათი ქრონოლოგიური დანაწევრება და პერიოდიზაცია.

ბორის კუფტინმა ჯერ კიდევ 1936 წლის გათხრების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე იგულისხმა საქართველოს უძველესი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა ძველი აღმოსავლეთის კულტურის შექმნაში. მრავალგვარი ყორღანული და რიგითი სამარხების, ნამოსახლარების, ციკლოპური სიმაგრეების კვლევის შედეგად მან წინა შრომებში დაადგინა თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ბრწყინვალე კულტურის მემკვიდრეობითი კავშირები უფრო ადრეულ ძეგლებთან და იმ თავისებურ უძველეს ფენასთან, რომელიც დატოვა მკვიდრმა მიწათმოქმედმა საზოგადოებამ ლითონის გამოჩენის გარიჟრაჟზე [Куфтин 1948:4-5]. ავტორმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სწორედ მტკვარ-არაქსული ენეოლითის საფუძველზე აღმოცენდა და განვითარდა თრიალეთის აყვავებული კერის თავისებური ნიშნები.

#### **აქემენიდური ხანა**

ადგილი \_ სოფ. კუშჩი. სამაროვანი.

**პარალელები** \_ სირია, იტალია, აზერბაიჯანი, კიზილ-ვანჯი, ალგეთი, ახალგორის განძი [Куфтин 1948:7-8, 10].

#### **გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა**

ადგილი \_ სოფ. კუშჩი. სამარხები.

**პარალელები** \_ ე.წ. სამხრეთ ოსეთი, თლია, ბორჯომი, სამთავროს ქვედა იარუსი, ბემთაშენი [Куфтин 1948:10-11].

#### **გვიანბრინჯაოს ხანა**

ადგილი \_ სოფ. გუნია (ოზნი)

**პარალელები** \_ მაიკოპის ყორღანი, ბიბლოსი, აფხაზეთის დოღმენები, კუმბულთა, დონიფერსი, ირანი [Куфтин 1948:33-34].

#### **შუაბრინჯაოს ხანა**

ადგილი - სოფ. კუშჩი. ყორღანი «თოფ-კარ» 2.

**პარალელები** - «თოფ-კარ» 1, 5 ყორღანი, მიკენი, კაკავატოსი, ტროა II, ეგეოსის სამყარო [Куфтин 1948:11, 17-18, 20].

#### **ადრებრინჯაოს ხანა**

ადგილი \_ სოფ. კუშჩი. ყორღანი «კანაშ-თაფა» - მწვანე ყორღანი.

**პარალელები** \_ წალკა, ყორღანი 11 [Куфтин 1948:22, 25].

#### **გვიან ენეოლითური ხანა**

ადგილი \_ სოფ. გუნია (ოზნი). ნამოსახლარი.

**პარალელები** \_ შენგავითი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი, კიკეთი. დაათარილა კერამიკული მასალის საფუძველზე [Куфтин 1948:26, 28, 30].

ავტორი იხილავდა არქეოლოგიური ძეგლების ფართო ქრონოლოგიურ სერიას ენეოლითური კულტურული ფენიდან დაწყებული ადრე და შუაბრინჯაოს ხანის, გვიანბრინჯაოსა და ადრე აქემენიდური ხანის სამარხების ჩათვლით. იგი სოფ. გუნიაში

ენეოლითური ხანის ნამოსახლარზე აღმოჩენილი მრგვალი ფორმის კერის საფუძველზე ადგენდა საწარმოო და ეთნო-კულტურულ ერთიანობას მთელ მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის ტერიტორიაზე ლითონის გამოჩენის გარიჟრაჟზე და თვლიდა, რომ სამხრეთ კავკასიის ტერიტორია შავიზღვისპირეთთან ერთად მიეკუთვნება აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის კულტურულ სამყაროს, რის დადასტურებადაც მიაჩნდა სპირალური ორნამენტი [Куфтин 1948:44]. საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპს აკუთვნებდა მწვანე ყორღანს და თვლიდა, რომ ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა ქონებრივი დიფერენციაცია, თუმცა მისი ნიშნები შეიმჩნეოდა. აქ აღმოჩენილ კერამიკულ მასალას ის მტკვარ-არაქსის ენეოლითს აკუთვნებდა [Куфтин 1948:26]. ყორღანს «თოფ-კარ» 2, მიიჩნევდა გვაროვნული საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპად, როცა ხდება წარმოების ზრდა და სიმდიდრის დაგროვება, გამოიყოფა ხელოსანთა ფენა და ყალიბდება ნათესაური კავშირები [Куфтин 1948:45]. გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ძეგლების შესწავლის საფუძველზე ავტორი ადგენდა შიდა ქართლისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებს შორის კავშირების არსებობას და მიაჩნდა, რომ სწორედ იმ პერიოდში ყალიბდება ქართველთა ძირითადი გვაროვნული მასივები.

მომდევნო აქემენიდური ეპოქის მასალის საფუძველზე ავტორი უჩვენებდა ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებიდან იმპორტის ფართოდ შემოსვლას. ამასთანავე, აქ აღმოჩენილი მოხატული თიხის ჭურჭლის მაგალითზე ხაზს უსვამდა კერამიკული პროდუქციის ადგილობრივ განვითარებას [Куфтин 1948:46-47], რომელიც თრიალეთში არსებული ძველი ტრადიციებიდან მომდინარეობდა.

ბორის კუფტინის ცნობილი ნაშრომი «Материалы к археологии Колхиды» შედგება ორი ტომისაგან. პირველი ტომი გამოიცა 1949 წელს, მეორე - 1950 წელს. ტირაჟი შეადგენდა 2000 ეგზემპლარს. ავტორს განზრახული ჰქონდა გამოექვეყნებინა წიგნის მესამე ტომიც, რომლის სათაური იყო «Памятники неолита и ранней бронзы по разведкам 1937 и 1939 годов в Абхазии и Имеретии». ეს ნაწილი გამზადებული იყო დასაბეჭდად, მაგრამ უცნობი მიზეზების გამო არ გამოსულა. მისი კვალი არც გამომცემლობაში და არც არქივში არ აღმოჩნდა.

ნაშრომის აღნიშნული ორი ტომი მრავალწლიანი შრომის შედეგია და ეძღვნება კავკასიის იმ რეგიონს, რომელიც იმ დროისათვის ნაკლებად იყო შესწავლილი.

პირველი ტომში წარმოდგენილია აფხაზეთის ტერიტორიაზე კერძოდ კი სოფ. ეშერაში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები. თავდაპირველად ავტორს ეს კვლევები გადაწყვეტილი ჰქონდა გამოექვეყნებინა ანგარიშის სახით, მაგრამ მისი გამოცემა ვერ მოახერხა. შემდეგ ომმა კიდევ რამდენიმე წლით გადადო ამ შრომის გამოქვეყნება. ბოლოს მხოლოდ თხუთმეტი წლის შემდეგ, 1949 წელს გამოიცა პირველი ტომი. ეს წიგნი ბორის კუფტინმა დიდი მადლიერების გრძნობით მიუძღვნა «ახალი სწავლების» შემოქმედს აკად. ნიკო მარის ხსოვნას, რომელსაც იგი კავკასიისა და საქართველოს კვლევისკენ მის კარდინალურ შემობრუნებას უმაღლოდა.

წიგნის მიზანს და კვლევის საგანს წარმოადგენს კავკასიაში ადრეული სპილენძ-ბრინჯაოს ხანის მეგალითური კულტურის ძეგლების, ყობანური ტიპის ბრინჯაოს ძეგლების და ბერძნული კოლონიზაციის პერიოდის ძეგლების შესწავლა, ასევე მ.მ. ივანჩენკოს მოსაზრების სისწორის შემოწმება, რომელმაც ყობანური ხანის ძეგლები აფხაზეთში ელინისტურ ხანას მიკუთვნა [Куфтин 1949a:1]. შრომას საფუძველად უდევს სოფ. ეშერაში (ადგილი «კიურ-დერე»), შესწავლილი, სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლების მოკრძალებული მოცულობის კომპლექსები, ასევე აფხაზეთის მუზეუმის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ბათუმის, ფოთის, ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმების კოლექციები და გუდაუთის რაიონის მხარეთმცოდნის, ექსპედიციის წევრის ა.ა. ლუკინის კერძო კოლექცია [Куфтин 1949a:3]. ავტორმა უშუალოდ, მასალაზე დაყრდნობით მოგვცა ძეგლების პერიოდიზაცია და დაადგინა ძველი კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლების შედარებითი და აბსოლუტური ქრონოლოგია, რომელთა საფუძველზე შეეცადა

დაეთარილებინა ადრე ცნობილი სხვა ძეგლები და შემოგვთავაზა საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო ფორმების ჩამოყალიბების სურათი.

ქვევით მოგვყავს იმ ძეგლების ნუსხა, რომლებიც ბორის კუფტინმა შეისწავლა და დაათარილა.

**ადგილი** \_ სოფ. ეშერა - ნამოსახლარი. ორი იზოლირებული ბორცვი.

**დათარილება** \_ ძვ.წ. IV-III სს.

**პარალელები** \_ სომხეთი, საბერძნეთი, ტროა, ნოვოროსიისკი, მცირე აზია, დაბლაგომი [Куфтин 1949a:5-6, 738].

**ადგილი** \_ სოფ. ეშერა - სამარხები.

**დათარილება** \_ ძვ.წ. I ათასწ. დასაწ. გვიანბრინჯაოს ხანა.

**პარალელები** \_ ოსეთი [Куфтин 1949a:128, 178].

**ადგილი** - სოფ. პრიმორსკოიე (ყოფილი პეტროპავლოვსკი). გუდაუთის რ-ნი. აფხაზეთის მუზეუმის კოლექცია. შემთხვევითი აღმოჩენა. აღწერა ვ.ი. სტრაჟევმა.

**დათარილება** \_ ყობანური პერიოდი.

**პარალელები** \_ ყობანი, ასურეთი, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური მასალები [Куфтин 1949a:139].

**ადგილი** \_ ზემო ეშერა - ადგილი («კიურ-დერე»). დოლმენები.

**დათარილება** \_ ძვ.წ. III-II ათასწ. მიჯნა.

**პარალელები** \_ რუხტა, კუმბულთა, არხონი, საჩხერე, შუა აზია, უნგრეთი, მესოპოტამია, ირანი [Куфтин 1949a:271, 294, 287].

**ადგილი** \_ სოფ. მგუდზირხვა. გუდაუთის რ-ნი. აფხაზეთის მუზეუმის კოლექცია. შევთხვევითი აღმოჩენა. 1929 წელს გათხარა ა.ა. ლუკინმა. შეისწავლა გ.პ. ბარაჩმა.

**დათარილება** \_ ყობანური პერიოდი.

**პარალელები** \_ ოსეთი, ბორჯომი, კიურ-დერე, პროფ. პ.ზ. ვინოგრადოვა-ნიკიტინას კოლექცია [Куфтин 1949a:147-148, 151].

**ადგილი** \_ სოფ. ეშერა. აფხაზეთის მუზეუმის კოლექცია.

**დათარილება** \_ ძვ.წ. I ათასწ. შუა პერიოდი.

**პარალელები** \_ ყობანი, სამთავრო, ასურეთი [Куфтин 1949a:173, 178].

**ადგილი** \_ სოფ. ეშერა. საქართველოს სახ. მუზეუმის 1927 წლის კოლექცია.

**დათარილება** \_ ყობანური პერიოდი.

**პარალელები** \_ ააგტინის სამარხი, სამთავროს ქვედა ფენა, ყობანი, [Куфтин 1949a:152].

**ადგილი** \_ ბომბორის მდელი. განძი - ა.ა. ლუკინის კოლექცია.

**დათარილება** \_ ყობანის შემდგომი პერიოდი.

**პარალელები** \_ ყაზბეგის განძი, ერმიტაჟის მასალები [Куфтин 1949a:236, 253].

**ადგილი** \_ აბგარხუკი. სხვადასხვა მონაპოვარი.

**დათარილება** \_ ყობანის შემდგომი პერიოდი.

**პარალელები** \_ კვიპროსი, სირია, მცირე აზია, ყობანი [Куфтин 1949a:236, 243].

ნაშრომში დიდი ადგილი უკავია ორ ბრინჯაოს ბეჭედზე არსებული გამოსახულებების სემანტიკას, რომელსაც ავტორი ძირითადად არქეოლოგიური და ლინგვისტური მონაცემების საფუძველზე გვაწვდის. ამ გამოსახულებების კვლევისას იგი ეყრდნობოდა პირველყოფილი აზროვნების ნორმებს და ელემენტთა ანალიზს, რის საფუძველზეც ცდილობდა წარმოეჩინა ის ძირითადი მომენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ძველი კოლხეთის კულტურულ-ისტორიულ ბედს ელინიზმის ეპოქაში.

ბორის კუფტინი დაწვრილებით განიხილავდა საზარელი ძაღლის თუ მგლის გამოსახულებას. მას მიაჩნდა, რომ ეს გამოსახულება ადგილობრივი ხასიათისაა და მემკვიდრეობით დაკავშირებულია ადგილობრივი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებთან. ავტორი იზიარებდა ი.ი. მეშჩანინოვის აზრს, რომ ყობანურ ცულებზე გამოსახული მსგავსი ფანტასტიკური ცხოველის სახე ასახავს საერთო სემანტიკურ მითოლოგიურ კავშირს ძაღლს, წყალს და გველს შორის, რასაც ნიკო მარის ეტიმოლოგიური ძიებანიც ადასტურებდა. ასევე

მნიშვნელოვნად მიაჩნდა ავტორს ნ. მარის მეორე მოსაზრება, რომ მგელი და გველი იბერ-მეგრელების ე.ი. «გერების» და «გურების» ტომობრივი სახელწოდების ტოტემურ საფუძველშია გაიგივებული. ქართულ «გერი»-მგელს, შეესაბამება მეგრული «გური»-გველს. ბორის კუფტინის აზრით, ყობანურ ბრინჯაოზე გამოსახული საზარელი ძაღლი, ასევე გველი და თევზი შედის მსგავსი წარმოდგენების წრეში და ამის საფუძველზე ადგენდა ეშერის გამოსახულებების ადგილობრივ ხასიათს [Куфтин 1949a:57]. ასევე ადგილობრივ ტიპად მიაჩნდა მეორე ბეჭედზე გამოსახული გრიფონი, რომელშიც ვერანაირ მიბაძვას ბერძნულთან ან მცირეაზიურთან ვერ ხედავდა. მნიშვნელოვნად მიაჩნდა ჰეროდოტეს ცნობა, რომ გრიფონები თავისი დანიშნულებით ოქროს მცველებად ითვლებოდნენ [Куфтин 1949a:66]. ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა ი. ფრანკ-კამენეცკის ცნობას, რომ სხვადასხვა ხალხების შეხედულებებისა და ანალოგების მიხედვით ღვთაება თავდაპირველად მითოლოგიურ მხეცს შეესატყვისება, რომელზედაც ის შემდგომ აღემატება. სწორედ ასეთად მიაჩნდა გრიფონი. ამიტომ, ის ახდენდა სიტყვის – გრიფონი, სემანტიკურ ანალიზს და ცდილობდა ქართულში ეპოვა ისეთი ტერმინი, რომელიც შეესაბამება გრიფონს. ასეთად მას მიაჩნდა ფასკუნჯი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში მითოლოგიური პერსონაჟია. ფასკუნჯი ბერძნულიდან თარგმანით ბიბლიაში ფრინველს და გრიფონს ნიშნავს. სულხან-საბას მიხედვით, ფასკუნჯი არის ლომისმაგვარი ტანით, ხოლო თავი, ნისკარტი, ფრთები და ფეხები კი არწივისებური აქვს. მისი თავდაპირველი მნიშვნელობაა «მაგი», «გრძნეული». ბორის კუფტინი სწორედ მასში ხედავდა იმ ფანტასტიკურ მხეცს, რომელიც ღვთაების მნიშვნელობას ატარებდა და იყო ფრინველი მაცნე, შუამავალი ზეცასა და ქვესკნელს შორის. ის ატარებდა იმ ახალ ნიშნებს, რომელიც საერთოა გრიფონთან. ამ ტერმინის საშუალებით ავტორს შესაძლებლად მიაჩნდა მოცემულ მატერიალურ ძეგლში გამოეაშკარავებინა ის კონკრეტული ნიშნები, რომელთა საშუალებით განისაზღვრება საზოგადოებრივ გარემოში მოცემული მითოლოგიური გამოსახულების ფორმირების ეტაპი და მისი იდეოლოგიური შინაარსი [Куфтин 1949a:70-72].

ფასკუნჯის საპირისპირო ასპექტს წარმოადგენს დრაკონი-ძაღლი ან მგელი, რომელიც მისი ტრადიციული სარგებლობიდან გამომდინარე უფრო ქვესკნელის ნიშნებს ინარჩუნებს. მონადირულ-მწყემსური მეცხოველეობის სტადიაში იგი დრაკონი-ძაღლის ან მისი ავი ორეულის მგლის სახეს იღებს, რაც მისი სამეურნეო ფუნქციის გამოხატულებაა ძალაში. დრაკონი - ძაღლი ან მგელი ჯოგის გამგებელი ხდება, უფროსი გარეულის და შინაურის, რომელიც თავის მიმართ განსაკუთრებულ კულტს ითხოვს. ავტორის აზრით, სწორედ ეს არის ამ გამოსახულების მითოლოგიური შინაარსი, რომელიც ზემოქმედებდა გარემომცველ სამყაროზე [Куфтин 1949a:86]. აქედან გამომდინარე, ბორის კუფტინი ამ საბეჭდავებს მაგიური ნიშნების მატარებლად მიიჩნევდა, რომლებსაც თავისი გარკვეული საზოგადოებრივ-ისტორიული ფუნქცია გააჩნდათ. მისი აზრით, ისინი დაკავშირებულნი იყვნენ იმ ხელთან, რომელიც მაგიური ქმედების საგანთან მიმართებაში მაგიური ნიშნის მეტყველების იარაღს წარმოადგენს. ასეთი საგანი კი სხვადასხვა ეპოქაში და გარემოში არის ურჩხული, ტოტემი და ბოლოს ღმერთი [Куфтин 1949a:86]. ავტორი თვლიდა, რომ ეს ბეჭედები ეკუთვნოდა ოჯახის გავლენიან დიასახლისს, რომელიც მათ მაგიურ ფუნქციას იყენებდა პირადი და ოჯახური მეურნეობის დასაცავად [Куфтин 1949a:8-876]. რადგანაც ბეჭედ-საბეჭდავები ყობანურ და მის სინქრონულ კულტურებში არ გვხვდება იგი თვლიდა, რომ გრიფონი-ფასკუნჯი სამხრეთ კავკასიაში ბეჭედ-საბეჭდავებთან ერთად გაჩნდა.

ორივე ბეჭედზე ჩატარებული ანალიზის შედეგად მათი ფუნქციიდან გამომდინარე, როგორც მაგიური ნიშნების მატარებლები ბორის კუფტინი მათ გარკვეულ სამეურნეო და გეოგრაფიულ გარემოს უკავშირებდა და მათში ხედავდა უძველესი აზროვნების დანალექს, როცა ტოტემის მნიშვნელობა გაიგივებული იყო საწარმოო ორგანიზმთან და მის ყველა ნაწილებს და კავშირებს მოიცავდა. სწორედ ამ კავშირების იდეოლოგიურ გამოხატულებად მიაჩნდა დრაკონი-მგელი და დრაკონი-ფასკუნჯი. პირველ შემთხვევაში «გერ»-ს უკავშირებდა ეთნიკურ ტოტემს იბერ, ხოლო მეორე შემთხვევაში ფასკუნჯის ტერმინს

უკავშირებდა აზაზგ-აფხაზების ტომს და ასევე მესხებ-მოსოხებს [Куфтин 1949a:89-90]. ამ ძეგლში ავტორი გულისხმობდა ორი ტოტემის არსებობას, რომელთა შორის უფრო ძველია პირველი, რომელიც მემკვიდრეობით ყობანურ ძეგლებთანაა დაკავშირებული. ხოლო ფასკუნჯი მოგვიანდა და სამხრეთ კავკასიაში ჩნდება არაუადრეს ორი საუკუნის შემდეგ. ერთ ძეგლზე ერთდროულად ორი ბეჭდის პოვნა ავტორის აზრით, მიუთითებდა იმ პერიოდში გარდამავალი მომენტის არსებობაზე, როცა ირღვევა პირველყოფილი-გვაროვნული კავშირები და წარმოიქმნება საწყისი კლასობრივი ურთიერთობები. ხდება მეურნეობრივად განსხვავებული კოსმიური წარმოდგენების ჩამოყალიბება. პირველი მემკვიდრეობით შემორჩენილი და მეორე ახლად წარმოშობილი. პირველ შემთხვევაში უფრო, ქვესკნელის დრაკონის ძაღლისმაგვარი გამოსახულება ინარჩუნებს მემკვიდრეობით ტრადიციულ მონადირულ-მწყემსური მეცხოველეობის ნიშნებს, ხოლო მეორე ფასკუნჯი, რომლის მსგავსი მანამდე არ არის ცნობილი სამხრეთ კავკასიის ძეგლებზე, ატარებს ახალ ნიშნებს, რომელიც ჩამოყალიბდა სახნისიანი მიწათმოქმედების საფუძველზე ძველი აღმოსავლეთის და ხმელთაშუაზღვის მონათმფლობელურ სახელმწიფოებში. თუმცა, მისი ადგილობრივი ნიშნები არ წარმოადგენს არც მექანიკურ გადმოღებას და არც ამ ქვეყნების გავლენას. ისინი აშკარად მიუთითებენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ახალი სოციალურ-მეურნეობრივი სისტემის წარმოშობაზე [Куфтин 1949a:66]. რითი იყო გამოწვეული ეს ცვლილებები - ახალი ხალხების შეჭრით თუ სამეურნეო-საზოგადოებრივი წესის შიდა გადაჯგუფებებით ბორის კუფტინი ზუსტად ვერ განსაზღვრავდა, თუმცა არ გამორიცხავდა იმ დროისათვის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე ტომების ფორმირების რთულ პროცესში გარეგანი ფაქტორების მოქმედებასაც [Куфтин 1949a:91].

აფხაზეთის მუზეუმში არსებული ყობანური პერიოდის (გვიანბრინჯაოს ხანის) არქეოლოგიური კოლექციების განხილვისა და პარალელების ფართოდ მოზიდვის საფუძველზე, ბორის კუფტინმა განსაზღვრა ამ ნივთების თარიღი დრო და დაადგინა მოცემული კულტურის დამახასიათებელი ნიშნები.

ემერის სამარხეული ინვენტარი ფორმების მსგავსების საფუძველზე ზემო ყობანურ სამარხებს დაუკავშირა და ამით გააბათილა მ.მ. ივაშჩენკოს მცდარი შეხედულება მათი ბერძნული კოლონიზაციის პერიოდისათვის მიკუთვნების შესახებ [Куфтин 1949a:213].

აფხაზეთის დოლმენებში ქრონოლოგიურად სამი განსხვავებული ფენის ინვენტარის ხასიათის მკვეთრი ცვლილების მიზეზად ბორის კუფტინს მიაჩნია არა ხალხთა ცვლა, არამედ სამეურნეო-საზოგადოებრივი ტრანსფორმაციები, რომლებიც განიცადეს სხვადასხვა საზოგადოებრივმა კოლექტივებმა. [Куфтин 1949a:311]. დოლმენების ინვენტარის საფუძველზე მან ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნებში გამოყო წინა ყობანური პერიოდის ფენა, რომელიც წინამორბედი მკვლევარების მიერ არასწორად თარიღდებოდა [Куфтин 1949a:71]. ბორის კუფტინმა გააკეთა დასკვნა, რომ სოფ. ემერის შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე ერთნახევარი ათასწლეულის განმავლობაში, შავიზღვისპირეთის ელინიზაციის ეპოქამდე ადგილობრივი გვაროვნული საზოგადოების განვითარებაში ხდებოდა მნიშვნელოვანი სამეურნეო და საზოგადოებრივი ძვრები. ეს ძეგლები კი იმ ისტორიული პროცესის განუყრელ ნაწილს წარმოადგენენ, რომლის კანონების მიხედვითაც სამეურნეო-საზოგადოებრივი ურთიერთობების საფუძველზე ყალიბდებოდა ეთნიკური მასები. ავტორი თვლიდა, რომ II ათასწ. მეორე ნახევარში კავკასიაში და შავიზღვისპირეთში ლითონის წარმოებაში მომხდარმა მკვეთრმა ტექნიკურმა გარდატეხამ, მეურნეობის განვითარებამ, შეიარაღების გაძლიერებამ და ვაჭრობის ზრდამ გამოიწვია საგვარეულო არისტოკრატის გამოყოფა [Куфтин 1949a:310]. ამ დებულებებმა გააბათილა უცხოელი მეცნიერების ვირხოვის, შანტრის, ვაილეს და სხვათა მოსაზრებები, სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში «კულტურული» ხალხების ბრინჯაოს ეპოქის დასასრულსა და რკინის დასაწყისში გამოჩენის შესახებ. შემდგომში ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურეს ბორის კუფტინის მოსაზრებები, თუმცა განსხვავებული აზრიც არსებობდა.

ნაშრომის მეორე ტომის კვლევის მიზანი იყო წარმოეჩინა საქართველოს ტერიტორიაზე ძველი ბერძნული კოლონიზაციის ეპოქის ძეგლები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის სამარხები აქ ცნობილი არ იყო მანამდე. 1886 წელს მხოლოდ ვ. სიზოვს ჰქონდა ჩატარებული გათხრები სოხუმში. ლიტერატურაში კი არსებობდა მხოლოდ ჟაკ დე მორგანის ცნობა, რომ საქართველოში აქემენიდური ეპოქიდან გაბატონებული იყო ზაროასტრული კულტის გავლენა, რაც კრძალავდა მიცვალებულის მიწისათვის მიბარებას და ამდენად, აქ სამარხების არსებობის შესაძლებლობა გამორიცხული იყო [Куфтин 1950:149].

ავტორის მიზანს შეადგენდა წარმოედგინა ქრონოლოგიურად განსაზღვრული და მეცნიერულად დამუშავებული ნივთიერი მასალა და მისი ინტერპრეტაციის საშუალებით განეხილა არქეოლოგიის და ეთნოგენეზის საკითხები, რომლებიც აქამდე კოლხეთთან მიმართებაში შეზღუდულად იყო მოცემული. მაშინ, როცა თრიალეთში ჩატარებული გათხრების შედეგად გადაწყვეტილი იქნა საკითხი «კავკასიაში ქართული კულტურის უძველესი ფესვების შესახებ», ავტორს სწორედ დროულად მიაჩნდა კოლხეთის საცხოვრებელი ბორცვების დიდი ხნის წინ დაკონსერვებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე შექმნილიყო საყრდენი წერტილები კოლხეთის ტერიტორიაზე ავტოქტონური პროცესების და ქართველური ტომების ადრეული სამეურნეო-ეკონომიკური და ეთნო-კულტურული ჩამოყალიბების პროცესების შეცნობისათვის. გაბათილებულიყო ვირხოვის მცდარი შეხედულება – კავკასიაში ბრინჯაოს გვიანი ფორმების მზა შემოსვლის შესახებ.

კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საფუძველზე ბორის კუფტინმა დაადგინა აქ ლითონის წარმოშობის უძველეს ეპოქაში მკვიდრი მოსახლეობის არსებობა, თავისი პირველყოფილი მიწათმოქმედი და მესაქონლე მეურნეობით.

ბორის კუფტინმა მრავალი მასალის, საინტერესო ანალოგებისა და შეპირისპირების საფუძველზე შეძლო შეექმნა კოლხეთის უძველესი მატერიალური კულტურის ძეგლების ქრონოლოგია-პერიოდიზაცია და განესაზღვრა მისი ადგილი არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მთლიანად უძველეს სამყაროში. კერამიკასთან მიმართებაში სამხრეთ კავკასიაში არსებული არქეოლოგიური ფონდები აქამდე მხოლოდ გვიანბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის მასალით შემოიფარგლებოდა და ამასთან მხოლოდ მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში იყო ცნობილი. საერთოდ არ არსებობდა არანაირი მასალა მდ. რიონის და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიიდან. კოლხეთში ნაპოვნი ნივთები მუზეუმში ძირითადად თიხის ჭურჭლის ნიმუშების გარეშე ხვდებოდა, ამიტომ კოლხური კერამიკის ტიპი სრულიად უცნობი იყო. ბორის კუფტინმა დაბლაგომის მასალა და მუზეუმში არსებული მისი მსგავსი იზოლირებული კომპლექსები, ცენტრალურ და სამხრეთ ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილებიდან (წალკის ყორღანების, სამაროვნების და ნამოსახლარების) შესწავლილი მასალების საფუძველზე გააერთიანა ერთ კულტურულ-ისტორიულ მთლიანობაში, განსაზღვრული ქრონოლოგიური ადგილი მიუჩინა და დაადგინა მათი ცალკეული ტიპების როგორც შედარებითი, ისე აბსოლუტური ქრონოლოგია.

**ადგილი** – დაბლაგომი. ნამოსახლარი და სამაროვნები.

**დათარიღება** – ნამოსახლარი - 1. ანტიკური ხანის ფენა. თარიღდება კოლხური მონეტის საფუძველზე. 2. გვიანბრინჯაოს და ადრერკინის ხანის ფენა. 3. ადრებრინჯაოს ხანის ფენა. ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნა.

სამარხები - აქემენიდური და ადრეელისტიური ხანა. დათარიღდა კოლხური თეთრის და პარალელური მასალის საფუძველზე. ძვ.წ. IV-III სს. [Куфтин 1950:54-55,132,141].

**პარალელები** – კიკეთი, წალკა, დიდუბე, ეშერა, ბანძა, მანგლისი, კახეთი, ახალგორის განძი, ყაზბეგი, ქუთაისი, გორი, ხერსონესი, სევანის ტბა, ბიზანტია, ბორი, ფარცხანაყანევი, ნოსირი, სირია, მცირე აზია, ვანის ტბა, ავჭალა, აზერბაიჯანი [Куфтин 1950:37,44, 46-48, 52, 56, 64, 110].

**ადგილი** – სოფ. რეყე. ნაოხვამუს ბორცვი.

**დათარიღება** – 1. ქვედა ფენა - შუაბრინჯაოს ხანა. დათარიღდა კერამიკის, ბრინჯაოს ინვენტარისა და პარალელური მასალის საფუძველზე. 2. შუა ფენა - ყობანური გვიანბრინჯაო-

ოს ხანა. ძვ.წ. I ათასწ. დასაწყისი. დათარიღდა კერამიკის საფუძველზე. 3. ზედა ფენა - ადრერკინის ხანა. დათარიღდა კერამიკის საფუძველზე [Куфтин 1950:152, 188, 237].

**პარალელები** \_ ე.წ. სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი, ყოზანი, სირია, ეგეოსის სამყარო, საფრანგეთი, შვეიცარია, წალკა, ვანის ტბა, ქუთაისი, მეჯვრისხევი, სამთავრო, ნუზი [Куфтин 1950:174-175, 179, 198, 221, 224, 230].

**ადგილი** \_ სოფ. ანაკლია. დიხა-გუძუბა.

**დათარიღება** \_ პირველი ფენა - ენეოლითური ხანა. დათარიღდა კერამიკის საფუძველზე. მეორე ფენა - შუაბრინჯაოს ხანა. დათარიღდა კერამიკის და ანალოგების საფუძველზე. მესამე ფენა - მეორე ფენის ანალოგიურია და მის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. დათარიღდა კერამიკის საფუძველზე. მეოთხე ფენა - გვიანბრინჯაოს ხანა. დათარიღდა კერამიკის საფუძველზე [Куфтин 1950:152, 242, 248, 250, 253, 52].

**პარალელები** \_ ეშერა, ოჩამჩირე, ლეჩხუმი, ჩრდ. კავკასია, საბერძნეთი, მიკენი, ეგვიპტე [Куфтин 1950:239, 243, 244].

**ადგილი** \_ ოჩამჩირე. ნამოსახლარი. პორტმშენის ტერიტორია.

**დათარიღება** \_ ქვედა ფენა - ენეოლითური ხანა. ძვ.წ. III-II ათასწ. მიჯნა. დათარიღდა კერამიკული მასალის საფუძველზე. შუა ფენა - ანტიკური ხანა. ძვ.წ. Vს. დათარიღდა კერამიკისა და პარალელური მასალის საფუძველზე. ზედა ფენა - შუა საუკუნეები [Куфтин 1950:152, 267, 269, 273].

**პარალელები** \_ დაბლაგომი, აფხაზეთის დოლმენები, მცირე აზია, სირია, ხმელთაშუაზღვისპირეთი [Куфтин 1950:266-267].

**ადგილი** \_ ოჩამჩირე. სადგომი «ტექსტილური» კერამიკით.

**დათარიღება** \_ გვიანბრინჯაოს დასასრული ადრერკინის ხანა. დათარიღდა კერამიკისა და სტატიგრაფიის საფუძველზე [Куфтин 1950:287].

**პარალელები** \_ სოხუმის ყურე [Куфтин 1950:285].

ბორის კუფტინის მიერ შესწავლილი მასალა მთლიანობაში, ასხავს ბრინჯაოს ხანის კოლხეთის ნამოსახლართა კულტურული ფენების პირველ არქეოლოგიურ ჭრილს დიაგნალში \_ დაბლაგომი - ქვალონი - ანაკლია - ოჩამჩირე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჭრილი თავისი ინტენსივობით ჯერ კიდევ არასაკმარისი იყო, მაინც ბრწყინვალედ წარმოაჩინა კოლხეთის დაბლობის მეურნეობრივი ათვისების სურათი. ავტორმა მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური ხარვეზების გარეშე აჩვენა ამიერკავკასიის პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოებიდან მოყოლებული შუასაუკუნეთა ეპოქამდე ისტორიული პროცესის განვითარება.

ბორის კუფტინმა დაბლაგომში სამარხ ურნებში აღმოჩენილი მასალის საფუძველზე, რომელიც ერთგვაროვანი ფორმით და ორნამენტის თითქმის უქონლობით გამოირჩევა, შეძლო კოლხეთის იმ შესაბამისი ფენების დათარიღება, რომლებიც მსგავსი კერამიკის ფრაგმენტებს შეიცავდა. ავტორს მიაჩნდა, რომ ეს თიხის ურნები განსხვავდება აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვევრსამარხებისაგან და მათ უკავშირებდა ძველი კოლხური კერამიკის ნიშნებს, კერძოდ კი გვიანბრინჯაოს ხანის ურნა-ოსუარიებს აფხაზეთში, რის საფუძველდაც მიიჩნევდა ფორმასა და ორნამენტს [Куфтин 1950:70-71]. იგი დაბლაგომის მონუმენტალურ კერამიკას ადგილობრივი ხასიათისად მიიჩნევდა, ხოლო დაკრძალვის წესს თიხის ურნებში აფხაზეთის ტერიტორიაზე ადრეული წეს-ჩვეულებების ბუნებრივ ტრანსფორმაციად თვლიდა. ვერცხლის მონეტის მიცვალებულისათვის პირში ჩადების წესი, ავტორის აზრით, მეტყველებდა ბერძნული წესების ღრმა შეღწევაზე კოლხეთის მოსახლეობის რწმენასა და დამარხვის წესში და მიაჩნდა, რომ ეს არის კონკრეტული ეკონომიკური გარდაქმნის მაჩვენებელი, რომელიც გამოწვეული იყო კლასობრივი საზოგადოების და საკუთარი მონეტის მქონე კოლხური სახელმწიფოს წარმოშობის შედეგად. [Куфтин 1950:76, 129].

ნაციხვარის ქვედა კულტურულ ფენაში არსებული ადრეული ფორმის კერამიკული ნაწარმის საფუძველზე ბორის კუფტინი მიიჩნევდა, რომ სწორედ აქედან გამომდინარეობს ანტიკურ კოლხეთში კერამიკის ზოგიერთი ტიპი. ამ ქვედა ფენის მსგავსად მიაჩნდა მას

საჩხერის მასალა, რომელიც წალკის კერამიკის საფუძველზე ძვ.წ. III ათასწ. ბოლოთი და II ათასწ. დასაწყისით დაათარიდა. ამავე წრეში ჩართო დიდუბისა და კიკეთის კერამიკული ჯგუფები [Куртин 1950:98-99, 116]. ფიქრობდა, რომ დაბლაგომის ქვედა ჰორიზონტის კერამიკა, რომელიც თავისი ფესვებით ენეოლითში აღწევდა, გენეტიკურად ენათესავება წალკის ციკლოპური ნამოსახლარის ქვედა ფენის კერამიკას, მაგრამ არაფერი აქვს საერთო ნაოხვამუს და დიხა-გუძუბას კოლხურ ფორმებთან [Куртин 1950:136]. ნაოხვამუს ბორცვის ქვედა ფენის მსგავსი კერამიკის არარსებობა დაბლაგომში, ავტორის აზრით, დაბლაგომის კულტურულ ფენებში ქრონოლოგიური წყვეტილის არსებობაზე მიუთითებდას გვიანბრინჯაოს ხანასა და მის წინამორბედ ხანას შორის. ხოლო დაბლაგომის წრის კერამიკის არარსებობა ანაკლიისა და ოჩამჩირის პორტმშენის ტერიტორიაზე, მიუთითებდა დაბლაგომის მოწყვეტილობაზე ქვემო რიონის კულტურისგან, მაშინ, როცა აქ სრულიად ერთგვაროვანი კულტურა გვხვდება გვიანბრინჯაოს ხანაში [Куртин 1950:116]. თვლიდა, რომ დაბლაგომის ქვედა ჰორიზონტის კერამიკა კოლხეთის სხვა ძეგლების ქრონოლოგიური საზღვრების მიღმა რჩება და გარკვეულად სინქრონულია სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს ნაცროვანი ბორცვების ქვედა ფენების, ასევე საჩხერის სამაროვნის უძველესი ფენის [Куртин 1950:139]. ის, რომ დაბლაგომის პირველ და მეორე ფენას შორის წყვეტილი შეიმჩნევა (აქ არ არის წარმოდგენილი შუაბრინჯაოს ხანის ფენა და გადადის კოლხურ-ყოზანურ ფენაში), გამოწვეულია იმით, რომ მეორე ფენა აღმოცენდა მიტოვებულ ადგილზე. ზედა ფენა კი მეორე ფენის შემდგომ განვითარებად მიაჩნდა და აქ აღმოჩენილ კერამიკას ადგილობრივი ტრადიციების განვითარებად მიიჩნევდა, რაც გამოიხატება თავისებურ ფორმასა და ორნამენტში, თუმცა იმპორტსაც არ გამოირიცხავდა [Куртин 1950:146]. საბოლოოდ დაბლაგომის ზედა ჰორიზონტი არსებობას წყვეტს ეპოქაში, რომელიც სინქრონულია ოჩამჩირის და დიხა-გუძუბას ჭილოფიანი კერამიკის ფენისა [Куртин 1950:139]. ნაოხვამუს და დიხა-გუძუბას საცხოვრებელი ბორცვების მასალის საფუძველზე დაადგინა დასავლეთ საქართველოში მანამდე უცნობი კულტურული ფენების არსებობას, რომლებიც წინ უსწრებენ გვიანბრინჯაოს ხანას. ნაოხვამუს ბორცვის ზედა ფენა მან აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთის ადრეული ბერძნული კოლონიზაციის პერიოდის სინქრონულად მიიჩნია, ხოლო «რიყის ქვების ფენაში» აღმოჩენილი კანელურებიანი კერამიკის ფრაგმენტები დაბლაგომის შუა ფენის კანელურებიანი კერამიკის ანალოგიურად [Куртин 1950:188-189]. ნაოხვამუს ქვედა ფენისათვის დამახასიათებელ ორნამენტი (ღარისებური შეთავსებული სავარცხლისებურ შტამპთან) ავტორს ემერის ელინისტური ხანის სამარხში არსებული ორნამენტის შორეულ პროტოტიპად მიაჩნდა, ხოლო ამოღარულ-ამოზნექილი სპირალის ორნამენტს დაბლაგომის შესაბამისად მიიჩნევდა [Куртин 1950:221-222]. თვლიდა, რომ დიხა-გუძუბა უფრო ადრეული ასაკისაა ვიდრე ნაოხვამუ. ამას ის ქვის ინდუსტრიის ხასიათით ასაბუთებდა, რომელიც ნაოხვამუზე არ იყო წარმოდგენილი.

დიხა-გუძუბას ქვედა ფენას ავტორი ახალ საყრდენ წერტილად მიიჩნევდა სამხრეთ კავკასიისა და კერძოდ, დასავლეთ საქართველოს გვიანი კაქის ინდუსტრიის ქრონოლოგიისათვის [Куртин 1950:244]. მის მეორე ფენაში აღმოჩენილი კერამიკული მასალის ერთ ნაწილს იგი დაბლაგომის ანალოგიურად თვლიდა, ხოლო მეორე ნაწილს ოჩამჩირის მასალების ანალოგიურად. დიხა-გუძუბას მეორე ფენა ავტორს ნაოხვამუს ბორცვის ქრონოლოგიურ საზღვარს მიღმა მიაჩნდა და საერთოდ ამ ძეგლის არქეოლოგიური მასალას იგი მნიშვნელოვნად განსხვავებულად მიიჩნევდა ნაოხვამუსთან შედარებით, როგორც კერამიკული კომპლექსების, ისე ნაგებობების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ზედა ფენებს სინქრონულად თვლიდა [Куртин 1950:238]. ბორის კუფტინს დიხა-გუძუბა ნაოხვამუსთან შედარებით უფრო ადრე ჩამოყალიბებულად მიაჩნდა და თვლიდა, რომ მან არსებობა უფრო ადრე დაამთავრა. იგი ამ ორ ძეგლს შორის განსხვავებას მხოლოდ ქრონოლოგიური დაუმთხვევლობით არ ხსნიდა. მას მიაჩნდა, რომ ამ განსხვავების საფუძველი იყო რიონის დაბლობის, მისი მთისწინა და ზღვისპირა რაიონების მოსახლეობის ეთნიკური და სამეურნეო თავისებურებები. ანალიზის საფუძველზე ავტორმა გამოთქვა მოსაზრება, რომ



ნაოხვამუს ბორცვი წარმოიშვა შუაბრინჯაოს ხანის ბოლოს დაუსახლებელ ადგილზე, ხოლო დიხა-გუძუბა უფრო ადრე პატარა მიტოვებული დასახლების ადგილზე, ან ნაკლებად გამოვლენილი სამაროვნის ადგილას [Куфтин 1950:257].

ოჩამჩირის პორტმენის ტერიტორიაზე არსებული ნამოსახლარის ქვედა ფენაში არმოჩენილი ორი სახის კერამიკიდან პირველს ავტორი უკავშირებდა დაბლაგომის და აფხა-ზეთის დოლმენების მასალას, ხოლო მეორის, უფრო არქაულის ანალოგს ხედავდა სირიის, მცირე აზიის და ხმელთაშუაზღვისპირეთის ენეოლითური სტადიის კერამიკაში. ამ ფენის კერამიკა მას ნაოხვამუსა და დიხა-გუძუბასაგან განსხვავებულად მიაჩნდა, თუმცა სტადიალურად დიხა-გუძუბას ქვედა ფენას უახლოვებდა, რასაც მთლიანად შავიზღვისპირეთის დაბლობის მოსახლეობის ერთგვაროვანი სამეურნეო ტიპის არსებობით ხსნიდა ადრეულ სპილენძ-ბრინჯაოს წარმოების ეპოქაში [Куфтин 1950:268]. ქსოვილიანი კერამიკის შესწავლის საფუძველზე ბორის კუფტინის აზრით, შესაძლებელი გახდებოდა კოლხეთის და შავი ზღვის სანაპიროს ფორმირების თანამედროვე გეოლოგიური პროცესების გამოკვლევა. აქ აღმოჩენილ კერამიკის ნატეხებს იგი ეშერის ურნებში აღმოჩენილი მასალის მსგავსად მიიჩნევდა, რაც მის დათარიღების საფუძველს იძლევა. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის განსაზღვრა ბორის კუფტინს უჭირდა. სამეურნეო ნაშთების და იმპორტული კერამიკის არსებობის საფუძველზე იგი აქ ელინების არსებობას ვარაუდობდა, თუმცა არ უარყოფდა მკვიდრი მოსახლეობის არსებობას, რომელსაც ამ დროისათვის მაღალი დონის კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები გააჩნდა [Куфтин 1950:272]. ავტორი ამ წიგნში შემოიფარგლა ახალი არქეოლოგიური ფაქტების ფრაგმენტული გამოვლინებებით და მათ თავისი ქრონოლოგიური ადგილი მიუჩინა, რაშიც ხელი შეუწყო იმ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა რაიონებში (წალკა, საჩხერე, ეშერა, დაბლაგომი, ოჩამჩირე, ანაკლია) ახალმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა. ამ მასალის საფუძველზე მან დაადგინა და გვიჩვენა სამხრეთ კავკასიაში ადგილობრივი კულტურის ხანგძლივი და რთული განვითარების არსებობა იმ პერიოდში, რომელიც წინ უსწრებდა მანამდე ცნობილ გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებს.

კვლევის დროს ბორის კუფტინი მნიშვნელოვნად მიიჩნევდა სტატიგრაფიულ კლასიფიკაციას. იგი თვლიდა, რომ კულტურული ფენების გამოყოფა მხოლოდ სხვადასხვა ასაკის კულტურული ნაშთების სტატიგრაფიაზე დაკვირვების გზით არის შესაძლებელი.

ავტორი ამ ტომში შედარებით ნაკლებად იყენებდა მარისტულ თეორიას, იგი აღნიშნავდა, რომ ამ თეორიამ ნიკო მარის სიკვდილის შემდეგ ვერ შეძლო შესაბამისი სახით გარდაქმნა, მაგრამ ნაოხვამუს ბორცვზე აღმოჩენილი ცხენის თავის სკულპტურული გამოსახულების განხილვისას «იაფეტურ ეკვილინბრისტიკას» მაინც მიმართავდა.

1953 წელს მოსკოვში ჩატარებულ დისკუსიაზე, დიდი კრიტიკის ცეცხლში გაიარა ბორის კუფტინის ამ შრომამ. აქ საბოლოოდ უარყოფილი იქნა მარისტული თეორია და შესაბამისად ბორის კუფტინის პოზიციაც არასწორად იქნა მიჩნეული. «კუფტინს ეგონა, რომ აღარავინ მიუბრუნდებოდა მის კოლხეთის პირველ ტომს და მითუმეტეს არავინ წაიკითხავდა მეორე ტომს, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია მარისტული კონსულტაციები» – წერდა ვ.ს. კისილევი [Кисилев1953:138].

ნაშრომი «Маршрутная экспедиция в бассейны рек Лиахви, Проне, Квирилы и среднего Риони в 1951 году» არ გამოცემულა ავტორის სიცოცხლეში და სტატიის სახით მნიშვნელოვანი შემოკლებებითაა წარმოდგენილი, რაც ჟურნალის რედაქციის შენიშვნის თანახმად გამოწვეული იყო ორიგინალი ხელნაწერის დაკარგვის გამო.

ავტორის კვლევის მიზანი იყო მოცემულ ტერიტორიაზე გამოველინა და შეესწავლა მეტალურგიული წარმოების უძველესი ეტაპების ძეგლები, ასევე გამოეკვლია ეთნოგენეზის პრობლემა და შესაძლებლობის ფარგლებში გამოეკვლინა მოსახლეობის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა და კულტურა სახნისიანი მიწადმოქმედების ათვისების და ლითონის წარმოშობის ეპოქაში. ეს სამუშაოები ძირითადად უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა შიდა ქართლის, ე.წ სამხრეთ ოსეთის, იმერეთის და ქვემო რაჭის ტერიტო-

რიაზე ადრე წარმოებული კვლევისა. გამოკვლეული იქნა საცხოვრებელი ბორცვები და ყორღანები.

**ადგილი** \_ სოფ. გუმათსა და ბანოჯას შორის. კასტის მღვიმე.

**დათარილება** \_ გვიანი პერიოდი. ტექსტში დათარილების ადგილი გამოტოვებულია [Куфтин 1974:140-141].

**ადგილი** \_ სოფ. ბანოჯა. ნაციხვარი. კულტურული ფენა.

**დათარილება** \_ ზედა ფენა - ელინისტური და ადრერკინის ხანა. ქვედა ფენა - გვიანბრინჯაოს ხანა. დათარიღდა კერამიკის საფუძველზე.

**პარალელები** \_ დაბლაგომი, ეშერა, წითელი შუქურა [Куфтин 1974:141-142].

**ადგილი** \_ სოფ. ბანოჯა. ქვევრსამარხები.

**დათარილება** \_ გვიანელინისტური ხანა.

**პარალელები** \_ დაბლაგომი, საჩხერე [Куфтин 1974:144].

**ადგილი** \_ სოფ. ივანე წმინდა. სამაროვანი. მიწისსათხარი და კოპიგორა.

**დათარილება** \_ ადრებრინჯაოს ხანა.

**პარალელები** \_ ცარცის გორა [Куфтин 1974:135, 145].

**ადგილი** \_ საჩხერე. მთა მოდინახე. სამარხები.

**დათარილება** \_ გვიანენეოლითური ხანა. დათარიღდა კერამიკის საფუძველზე [Куфтин 1974:146].

**ადგილი** \_ სოფ. ბჟინევი. ყორღანი. არანაირი მონაპოვარი [Куфтин 1974:146].

**ადგილი** \_ სოფ. გუგუთის და დვანის საზღვარი. ყორღანი ნაცარგორა.

**დათარილება** \_ შუაბრინჯაოს ხანა. აქვე აღმოჩნდა ჩაშვებული სამარხი - ადრერკინის ხანის.

**პარალელები** \_ თრიალეთი, სტალინირი [Куфтин 1974:147-148].

**ადგილი** \_ სოფ. წუნარი. ორი ყორღანი.

**დათარილება** \_ შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისი. დათარიღდა კერამიკის საფუძველზე [Куфтин 1974:149-150]

**ადგილი** \_ სოფ. ძაღინა. სამაროვანი.

**დათარილება** \_ დასვლეთი ნაწილი ენეოლითური ხანა. აღმოსავლეთი ნაწილი ადრებრინჯაოს ხანა.

**პარალელები** \_ საჩხერე, თრიალეთი, ჩრდ. კავკასია [Куфтин 1974:150-151].

**ადგილი** \_ სოფ. ოსპრისი, ქულბაქები.

**დათარილება** \_ ენეოლითური ხანა. აქვე აღმოჩნდა ორმოსამარხი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა [Куфтин 1974:152-153].

**ადგილი** \_ სოფ. დურები. სამაროვანი.

**დათარილება** \_ გვიანბრინჯაოს ხანა.

**პარალელი** - ეშერა [Куфтин 1974:136].

**ადგილი** \_ სოფ. მელაური. სამაროვანი.

**დათარილება** \_ კოლხური სამეფოს ადრეული ხანა.

**პარალელები** \_ დაბლაგომი, დიდუბე, სამთავრო [Куфтин 1974:137-138].

**ადგილი** \_ სოფ. დარკა. სამაროვანი.

**დათარილება** \_ გვიანელინისტურ-რომაული ხანა.

**პარალელები** \_ ბორი, ყობანი, რაჭა [Куфтин 1974:138].

**ადგილი** \_ ქ. ქუთაისი. ნაქალაქარი «უქიმერიონი».

**დათარილება** \_ შუა საუკუნეები [Куфтин 1974:139].

**ადგილი** \_ ქ. ქუთაისი. «თეთრამიწა».

**დათარილება** \_ ანტიკური ხანა. დათარიღდა კერამიკის საფუძველზე. [Куфтин 1974:140].

**ადგილი** \_ წყალტუბო. სამარხი.

**პარალელი** \_ დაბლაგომი [Куфтин 1974:140]

მოცემული მასალის ანალიზის საფუძველზე ბორის კუფტინმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ამ ტერიტორიასა და მტკვარ-არაქსის ენეოლითს შორის, შიდა ქართლის

გავლით არსებობს კულტურული ერთიანობა [Куфтин 1974:133]. კერამიკული მასალის მიხედვით ავტორი ხედავს ძლიერი კულტურული კავშირების არსებობას თრიალეთთან.

ყორღანში «ნაცარგორა» აღმოჩენილი ჭურჭლის საფუძველზე იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ორმოიანი ყორღანები უფრო ადრეულია ვიდრე უორმოები [Куфтин 1974:148]. საჩხერის არქეოლოგიური კომპლექსის შესწავლის შედეგად ავტორი ასკვნის, მდ. ყვირილის ზედა წელის ადრებრინჯაოს ხანის და თრიალეთის ენეოლითური ხანის კერამიკული ნაწარმის სტილისტური და ტექნიკური ერთიანობის არსებობას, რაც მისი აზრით, მეტყველებდა აქ ძირითადი ეთნიკური სუბსტრატის არსებობაზე, რომელიც ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის დასავლეთ და ცენტრალურ ტერიტორიაზე სახნისიან მიწათმოქმედებაზე და მეტალურგიული წარმოების განვითარებაზე გადასვლის პროცესში [Куфтин 1974:151].

ბორის კუფტინის მიერ შემუშავებულ დასკვნებს და თეორიებს დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის. შემდგომმა კვლევებმა და დიდძალმა ფაქტობრივმა მასალამ უფრო მეტად დააზუსტეს და დაამტკიცეს მის მიერ წამოწეული მოსაზრებები.

\* \* \*

ბორის ალექსის ძე კუფტინს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული არქეოლოგიის განვითარებაში. იგი იყო ღრმად ერუდირებული მეცნიერი. მან თავისი ცხოვრების ორი ათწლეული საქართველოს წარსულის შესწავლას მიუძღვნა. საქართველოს არქეოლოგიაში შექმნა ახალი ეტაპი. მრავალწლიანი გათხრების შედეგად მოპოვებული მასალისა და მუზეუმებში დაცული არქეოლოგიური კოლექციების შესწავლის საფუძველზე შეიმუშავა ძეგლების პირველი პერიოდიზაცია, გამოყო ენეოლითური ფენა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთელი რიგი ძეგლებისათვის. მის მიერ მოპოვებული მასალების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე გამოავლინა «მტკვარ-არაქსის» და «თრიალეთის» კულტურა, დაამტკიცა ქართული კულტურის ადგილობრივი ფესვები, რითაც უარყო მანამდე დამკვიდრებული აზრი კავკასიაში განვითარებული ბრინჯაოს მზა სახით შემოსვლის შესახებ. დაადგინა საქართველოსა და ამიერკავკასიის ძვ.წ. III-II ათასწლეულების უწინარესი მაღალგანვითარებული კულტურების კავშირი წინააზიურ სამყაროსთან. მან პირველმა განსაზღვრა აფხაზეთის დოლმენების ასაკი და კოლხური კულტურის კავშირი ყობანურ კულტურასთან. გამოყო კოლხური კულტურის წინარე ხანის ფენები და დაადგინა კოლხეთის დაბლობის საცხოვრებელი ბორცვების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. ყოველივე ამის შედეგად შექმნა კულტურულ-ისტორიული განვითარების სურათი, რითაც კარდინალურად შეცვალა ამიერკავკასიის უძველესი ისტორია და კავკასიას განსაზღვრული როლი მიაკუთვნა აღმოსავლეთის უძველეს კულტურათა სისტემაში. მან სისტემაში მოიყვანა და შეისწავლა იმ დროისათვის ყველა ცნობილი არქეოლოგიური მასალა, დაადგინა მტკვარ-არაქსის და ყორღანული კულტურის გენეტიკური კავშირი. იგი თავის დასკვნებს ამაგრებდა მრავალრიცხოვანი ანალოგებით. ბორის კუფტინის მიერ შემუშავებულმა ქრონოლოგიურმა სქემამ შემდგომში უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის ბრინჯაოს ხანის შესწავლის საქმეში და დღემდე არსებითი ცვლილება არ განუცდია. ბორის კუფტინის მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შეიქმნა ცალკე ფონდი, რომელსაც «თრიალეთის ფონდი» ეწოდა.

ბორის კუფტინის მიერ თრიალეთური კულტურის აღმოჩენა შეფასებული იყო როგორც უდიდესი აღმოჩენა, მასზე არაერთმა გამოჩენილმა უცხოელმა მეცნიერმა აღფრთოვანებული რეცენზია გამოაქვეყნა. მის ნაშრომებს დღემდე არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა, აქტუალობა და მეცნიერული ღირებულება. არქეოლოგებისა და ისტორიკოსებისათვის ისინი სახელმძღვანელოებად და სამაგიდო წიგნებად იქცნენ.

## ბორის კუფტინის შრომების სია

Календарь и первобытная астрономия Киргиз-казакского народа. Этнографические обозрение 1916-1918 г.

Задачи и методы изучения костюма Московской промышленной области. Краеведческий сборник. Труды конф. 1924 года, 1924.

Жилище Крымских татар в связи с историей заселения полуострова. (Материалы и вопросы). М. Асссоц. Научн-ислед. Ин-тов при МГУ, 1925.

Льяловская неолитическая культура на р. Клязме в Московском уезде в ее отношении к Окскому неолиту Рязанской губернии и раннеолитическим культурам северной Европы. Отчет о раскопках 1923 г. - ТОИР, Вып. 5, 1925.

Мелкие народности и этнокультурные взаимоотношения на северо-востоке Сибири. Сев. Азия . М., 1925

Задачи и методы изучения крестьянских построек Рязанской губернии. Вестник Рязанской кроевод, №2, 1925.

Численность малочисленных (реликтовых) племен СССР, Извлечение из доклада. Антроп. Журнал, т. 14, вып. 3-4.

Неолитическая стоянка вблизи с. Льялова Московского уезда -РАЖ, т. 15 вып. 1-2.

Материальная культура русской Мещеры. ч. 1 - Женская одежда: рубаха, понева, сарафан. М. 1926.

Типы жилищ Крымских татар как источник для изучения культурно-этнических смен доисторического и исторического Крыма. Тезисы доклада – бюл. Конференции археологов СССР в Керчи №6, 1926.

Киргиз-казаки. Культура и быт. Центр. музей народоведения, М., 1926, (этнологические очерки №2).

Южно-бережные татары Крыма. Журн. Крым №1. М. 1926.

О методе изучения преемственности погребенных и современных племенных культур. В сб. Материалы к доистории. Центр-Пром. Обл. М. 1927.

Новая культура бронзовой поры в бассейне р. Оки на озере Подборном близ г. Касимова Рязанской губ. В сб. Материалы к доистории. Центр-Пром. Обл. М., 1927.

Краткий обзор пантеона северного буддизма и ламаизма в связи с историей учения. По коллекциям выставленным в Центр. музее Нароковедения. М. 1927.

Опыт выяснения преемственности современных и погребенных племенных культур. Труды Палеоэтнологич. Конф. ЦПО. М. 1927.

Задачи, методы и достижения в изучении народного костюма. Труды палеоэтнологич. Совещ. ЦПО. М. 1927.

Касимовские татары и татары Мещеры. Культура и быт населения. ЦПО. Этнологич. исслед. М. 1927.

Гончарный промысел и его классификация. Труды Палеоэтнологич. Совещ. ЦПО. М. 1927.

Изба-пряха-непряха Московской губернии. М., 1928.

У гончаров Дмитровского и Воскресенского уездов Московской губернии, М. 1928.

Типы и элементы жилища. Крестьянские постройки. Краеведческая библиотека, М., 1929.

Задачи и методы полевой этнологии (тезисы, доклады). СЭ, №2, 1929.

Развернутая программа археологической экспозиции в Гос. музее Грузии (Доклассовое общество на Кавказе) рукопись, 1934.

О древнегреческом городе Гизносе и о том какими путями наука открывает наше прошлое. Газ. Очамчирского Портстроя, 1935.

Раскопки в Цалке. Очаг культуры хетской эпохи на территории Грузии, Газ. Вечерний Тбилиси, №270, 1938 26.11.

Очаг древне Восточной культуры в Грузии. Газ. Заря Востока, 1939. №131, 10. 06.

Некрополь в Колхиде. Газ.Заря Востока, №3 1939.

К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, КСИИМК, М., №8, 1940.

Археологические раскопки в Триалети. Опыт периодизации памятников, Тб., 1941.

Урартский колумбарий у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, Тб., 1943.

К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе по данным археологии. ВГМГ, 12-В, 1944.

Древнейшие корни грузинской культуры на Кавказе. Газ. Заря Востока 1946. 28. 11.

К проблеме энеолита внутренней Картли и Юго-Осетии, ВГМГ, 14-В, 1947.

Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, Тб., 1948.

Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949.

საქართველოს ძველი ეთნო და ტოპონიმიკის ზოგიერთ გაურკვეველ შემთხვევაზე უცხო წყაროებით (ურარტული წარწერები და სხვ.), სმამ, №5, 1949.

ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში. თბილისში წაკითხული საჯარო ლექციის სტენოგრამა თბ., 1949.

